გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№6 (762) 21 – 22 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი



## ადეიშვილი მეგობარმა და „მარჯვენა ხელმა“ ჩაუშვა?!

ვინ არის „ჩხატარა“, რომელი მაღალჩინოსნები და ბიზნესმენები ფიგურირებენ ადეიშვილის საქმეში, როდის ჩამოვა თბილისში და ვინ დაუქირავა ყოფილ გენპროკურორსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრს ადვოკატი

„ვერსიამ“ იმ მასალების ნაწილი მოიპოვა, რომლითაც ადეიშვილს ერთ-ერთი ბრალი წაუყენეს

გვ. 5

## ლადო ბედუკაძისა და ვანო მერაბიშვილის მიერ ნაწამები პატიმრის დედას თეა წულუკიანი არ ხვდება?!



გვ. 8

სკანდალური ინტერვიუ პოლიციელის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებულ რატი რეხვიაშვილის დედასთან

„ლადო ბედუკაძე ჩემს შვილს 7 თვის განმავლობაში აწამებდა და ე.წ. საქათმეში შესვლას აიძულებდა. რატის უარი რომ უთქვამს, ბედუკაძეს მისთვის მთელი ტანი დანით დაუსერავს, შემდეგ კი, ჭრილობებზე მარილი დაუყრია. ჩემი შვილი, ასევე ჰყვება, რომ ტანზე სიგარეტებს აწვავდნენ... რატის თქმით, თავად ვანო მერაბიშვილიც შედიოდა მასთან და ეუბნებოდა, სანამ ბოლომდე არ ჩაგძირავ, არ მოგეშვებიო. შემდეგ კი, 48 საათის განმავლობაში, დენზე პირადად მერაბიშვილს შეუერთებია“

## „ახალი ხმის“ სკანდალური პოლიტიკური კულუარები




გვ. 16

რატომ არ დაესწრნენ „ვოისის“ ბანკეტს სტეფანე და მაია დარსმელიძე და რა ფარული კავშირი ჰქონდა „ვი თი ბი ბანკს“ „დაივშოუსთან“

# 20 გვერდი

## მართლა კახი კალაძის ბრძანებით დააპატიმრეს თუ არა და რატომ ითხოვს ფსიქიკურ შემოწმებას გურამ ჩალაგაშვილი

ექსკლუზიური ინტერვიუ პატიმრობიდან გირაოთი გათავისუფლებულ სემეკ-ის თავმჯდომარესთან

გვ. 3

## გოკა გაბაშვილი ეჭვობს, რომ „ოცნებამ“ რუსეთთან სიტყვიერი ხელშეკრულება გააფორმა

გვ. 6

## „ოცნებელ“ გედევან ფოფხაძეს პალიკო კუბლაშვილმა ბერად აღკვეცა გადააფიქრებინა?!

გვ. 7

დიტო გელოვანი

## მიშათა ბანაკი ცას მიემგზავრება

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## ნათია მოგელაძესა და ლევან ბეჟაშვილს მალე პროკურატურაში დაიბარებენ?!

გვ. 3

## ვინ არის ქალი, რომელმაც ბობოხიძეს კვერცხები ესროლა

„მინაშვილმა შეგვაგინა. ამასობაში, მოსახლეობამ ცოცხი და კვერცხები მოიტანა და უმცირესობის წარმომადგენლებს დავუშინეთ“

გვ. 4

## სააკაშვილთან გატარებული ათი ღამე

სპეციალური რეპორტაჟი პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან „დაცემული“ ღირსების კარვიდან

გვ. 14

## „ნავთახტარში“ OHSAS 18001:2007 სტანდარტები დაინერგა

გვ. 14

## აფბა პროკურატურას კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესწავლას სთხოვს

გვ. 11

დიტო გელოვანი

**ცოტა მომშივდა, ჰალეებო, მაგრად მომშივდა, – ლაქუცით განაცხადა ჩიჩიომ, მაგიდასთან დაჯდა, – თუმცა, ჯერ სალამ-გამარჯვება უნდა ითქვას, სალამ-გაგიმარჯოთ, ჰალე, რაიმე კბილის გასაკრავი ხომ არ გაქვთ, ოთო-ძია?“ ოთო-ექიმი ტახტზე იჯდა, შარვალი გადაეფინა მუხლებზე, ღილს გულმოდგინედ აკერებდა, „იმ ოთახიდან გამოიტანე, ცხვრის ხორიცია კარგი, შეათბე და ისე“. „შეთბობა რად უნდა, – გაიკრიჭა ჩიჩიო, მკვირცხლად წამოდგა, – ცივ ხორცს რა ჯობია, ქონი პირში იგლისება და დიდხანს სძლებს უფრო“.**

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***

# მიშათა ბანაკი ცას მიემგზავრება

ჰოდა, სწორედ მაგაშია საქმე – ქონი პირში იგლისება და დიდხანს ძლებს უფრო. მერე, ლაპარაკი გიჭირს, სურვილიც გიქრება, გულისრევის შეგრძნება და სინანული, სინანული... – რა მინდოდა წვენებში?!

არ მახსოვს, შესაძლოა, ადრე გავიხსენე, მაგრამ ახლა კიდევ უნდა გავიხსენო ცხონებული ირაკლი ბერიშვილის მონაყოლი: „16 წლის ვარ. ქუჩაში ბიძა-კაცს სიგარეტი ვთხოვე. მომაწოდა. ასანთი ვთხოვე. მომიკიდა. გლუბოკი ნაფაზი დავარტყი და ამ დროს მითხრა – „შვილო. მძ... ის ჭამას რომ დაიწყებ, კოვზი თან უნდა ატარო“.

აბა, სიგარეტი რა მოსატანია იმასთან – „რა მინდოდა წვენებში?!“ რა გინდოდათ იმ წვიმაში?! ვჯდები კუთხეში, გარეთ წვიმს, გნატრობ... 2003 წლის სექტემბერს ვნატრობ, არასამეცნიერო ფანტასტიკას – „წვენების დედაც! ედო, წადი და თან წაიღე მიშაც და გრიშაც, ვიტალიც და ორივე ხათუნაც!“

არ მოხდა ეს და ამიტომაც არის ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში, ანუ მიშათა ბანაკი ცას მიემგზავრება, რასაც ეს ნიუსი ადასტურებს:

„პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის სტატუსით აღარ მოიხსენიონ და მას მხოლოდ მოქალაქე დაუძახონ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მელორ ვაჩნაძემ განუცხადა. მისი თქმით, მათი მოწოდება მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას ეფუძნება. „საქართველოს ყველა მოქალაქემ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელოვნურად იგრძელებს ვადას, ამიტომ ჩვენ მივმართავთ ყველა მოქალაქეს, რომ მას არა პრეზიდენტი, არამედ მოქალაქე დაუძახონ. დარწმუნებული ვარ, ვინც მას პრეზიდენტის სტატუსით მიმართავს, მხოლოდ ერთეულები იქნებიან“, – განაცხადა ვაჩნაძემ“.

აი, სწორედ ამას ჰქვია ადეკვატურობა. აქამდე ყველაფერი ადებატურობა იყო. ბატები თავს ასაღებდნენ კვატებად, კვატები – ინდაურებად, ბოლოს კი, ის მივიღეთ, რომ ქათმები გაბლატავდნენ – სამოქალაქო საზოგადოება ვართო და ისე მოხდა, რომ კაცური სოლიდარობა აღმაშფოთებელ გენდერულ დისბალანსად ჩაითვალა, ქათმური სოლიდარობა კი – დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველთა საძირკვლად.

მრგვლად მოხარშული დედალი ჭკუის დარიგებას რომ დაგიწყებს და მეტი დამაჯერებლობისთვის, ცივად მოხარშულ დედალს მოიშველიებს, მაშინ სახელმწიფო იმ მარტის მამალს ჰგავს, აპრილში ეკლესიის ეზოში რომ გაუშვებენ და საბოლოოდ, მაინც იმ რამდენიმე მორწმუნე-ათეისტის სუფრაზე აღმოჩნდება, ორიოდე საათით ადრე იმავე მამალს თავისუფლება რომ მიანიჭა.

ეუფ, რამსიგრძე წინადადება გამომივიდა, თუმცა გრძელი წინადადების საუკეთესო მაგალითს ახლავე წარმოგიდგენთ: „ლგბტ პირების სექსუალური ურთიერთობების საფუძველზე ადამიანების შანტაჟი არის სასტიკი დანაშაული, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას საჭიროებს, რაც გამოიხატება გამოძიების ჩატარებასა და დამნაშავე პირების დასჯაში. თუმცა, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ამგვარი ვიდეოკადრების გამოქვეყნება საჭიროებას არ წარმოადგენს და უფრო მეტიც – აღნიშნული კიდევ უფრო აზარალებს ლგბტ საზოგადოებას“.

ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს „კიდევ უფრო აზარალებს“ რა პონტში იყო ნათქვამი, ამას ვეღარ მივხვდი. ერთი ვარიანტია, რომ სამამულო წარმოების ლესბოსელებისთვის, გეებისთვის, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალებისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სიღარიბე, უმუშევრობა, უსამართლობა, გაუნათლებლობა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, მაგრამ ამას კიდევ აიტანდნენ, მიშას ბრძანებით, გრიშას გაჟიმავდნენ და სავარძლის სახელურში ჩამალულ ობიექტივსაც კეკლუცად ჩაუკრავდნენ თვალს, მაგრამ ვიდეოკადრების გამოქვეყნება, ეს უკვე – ოოო!!! მაგარი არაკაცური საქციელია. საერთოდ, ლგბტ-ებს და „ენჯეოშნიკებს“ ისე არაფერი აბრაზებთ, როგორც არაკაცური დვიჟენიები და რადგან „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე კოჭს“ და „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის 44-ე ბარძაყს“ ვიდეოკადრების გამოქვეყნების გარდა, სხვა არაფერი გაუპროტესტებიათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ თვალში მიშას ბრძანება და ლგბტ პიონერული მზაობა, ჯიგრული ამბავია, გამოქვეყნება კი – არაკაცური საქციელი.

„უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა, ვიდეომასალები იძლეოდეს იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რაც პირადი ცხოვრების უხეშ დარღვევად შეიძლება შეფასდეს. გარდა ამისა, ისეთი ვიდეომასალების გავრცელება, რომელიც სექსუალური უმცირესობების ურთიერთობებს ასახავს, უფრო ამძიმებს ვითარებას“, – ესეც იმ განცხადებიდან არის და დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი არ არის საჭირო, რომ მიხვდე – უახლოეს მომავალში, ეს ფრაზა გრანტის მოსაპოვებელ რომელიმე განაცხადში ამოყოფს თავს.

შე საწყალო კონსტიტუციავ, ვისი დასაცავი გახდი!.. ისე, რომ ვფიქრობ, ალბათ სადმე, მანჰეტენელი სააკაშვილის რომელიმე ავლაბრულ სეიფში, იმის ფარული ჩანაწერიც დევს, როგორი მონდომებით აუპატიურებენ „ენჯეოშნიკი“ უფლებადამცველები კონსტიტუციის სწორედ იმ მუხლებს, რომლებშიც ადამიანის უფლებებზეა საუბარი.

მინდოდა მეთქვა, ეგ იქით იყოს, სხვაც ბევრი იყო-მეთქი, მაგრამ არ გამოდის და აი, რატომ: „... ამიტომ, შემომაქვს კანონპროექტი, რომლითაც აიკრძალება ასეთი მასალების გავრცელება და დაისჯება სისხლის სამართლებრივად. თუ სახელმწიფო ორგანოებს ასეთი მასალა ჩაუვარდებათ, ის განადგურებულ უნდა იქნას“, — სააკაშვილის სიტყვებია.

როგორც იქნა, მივხვდი, რას ნიშნავს კოჰაბიტაცია. კოჰაბიტაცია არის კეკელასა და მაროს მღერა უნისონში, ანაც ჯორჯ მაიკლისა და რიკი მარტინის ერთობლივი განცხადება იმის თაობაზე, რომ სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს ჯაკომო კაზანოვას მოგონებები, რადგან კაზანოვას კოლექციაში აღმაშფოთებელი გენდერული დისბალანსია.

სააკაშვილის იმავე გამოსვლიდან: „8 წელი იყო საქართველოში ჩემი მთავრობა, ოფიციალური ორგანოების მიერ გავრცელებული ერთი ფაქტი მაინც მითხარით, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების შემცველ მასალებს შეიცავდა. ამას მკაცრად ვაკონტროლებდი, ესაა ჩემთვის ძალიან პრინციპული და მტკივნეული საკითხი“.

ეს ციტატა ორ ნაწილად უნდა გავყოთ. პირველი ნაწილის მიხედვით („...ერთი ფაქტი მაინც მითხარით...“), აუცილებელია დაგინება – „მტყუანს მოხვდა იმდენი, რამდენი მარცვალიც არის ერთ კილო გრეჩიხაში“, რაც შეეხება მეორე ნაწილს („...მტკივნეული საკითხი“), ძალიან საინტერესოა, რატომ არის ეს მისთვის მტკივნეული. ახლა, მე არც „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ვარ და არც „ინტერნიუსი“, დაჟინებული მზერით რომ შევისწავლო ის კადრები, სადაც ლგბტ საზოგადოების წევრები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა და მხარდამჭერთა რაოდენობას ხელოვნურად (არცთუ მთლად ხელოვნურად) ზრდიან და დავასკვნა, რომ სრულიად შესაძლებელია ამოცნობა, მაგრამ რადგან მაინც სხედან და ათვალიერებენ, კარგად დააკვირდნენ, რომელიმე სახედაფარულ მაღალჩინოსანს წვინტლები ხომ არ მოსდის და ვაშლს თქლაფათქლუფით ხომ არ ჭამს. სააკაშვილმა – მტკივნეულიაო... ისა და... რამდენი მარცვალია ერთ კილო გრეჩიხაში?

ამ თემასთან დაკავშირებით, მხოლოდ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ მოვიხსენიე, თუმცა ყველას, მგონი, „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიამ“ დაასწრო. ციციკორე ხომ გახსოვთ? ყველაფერში ცხვირს რომ ყოფს, ცხენს ყელს რომ გამოჭრის, გოგოს ვირზე უკულმა რომ შემოსვამს... მოკლედ, ციციკორე დეიდამ თავისი 200 შვილის სახელით ყველა დანარჩენს, დაახლოებით, ორ ათას ჟურნალისტს, კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ თამაშის წესებს თვითონ აწესებს. აღარ შეგახსენებთ, რომ ბოლოს ციციკორეს ტალახი ხვდება. არც ნიულავიმი ჯოს ანეკდოტს გაგახსენებთ... უბრალოდ, ციციკორე დეიდებს ვურჩევ, ააგროვონ 20-20 თეთრი და... მეცხრე არხი – ერთ ლარად, „იმედი“ – ერთ ლარად, „მაესტრო“ – 80 თეთრად და „კავკასია“ – 70 თეთრად... ჩამოიარონ და სადღაც, 19 ლარად და 99 თეთრად, ერთი-ორის გარდა, ყველა მედიასაშუალებას შეიძენენ. შეიძენენ და მერე აწესონ და უწესონ ის, რის დაწესებასაც, აგერ უკვე რამდენი ხანია, უწესოები ითხოვენ. და ის ერთი, უკანასკნელი თეთრი? ერთი ჟურნალი გამოდის, უკვე რვა წელია მედიაბაზარზეა და იმ ერთ თეთრად იმ ჟურნალის ყველა მომდევნო ტირაჟის ყიდვაა შესაძლებელი.

ბოლოში გავდივარ და ისევ იმ ერთ თემას ვუტრიალებ, მაგრამ ვფიქრობ, მნიშვნელოვანია და ამიტომაც გამიგრძელდა. ახლა ერთ ნიუსსაც გაახლებთ, სხვა თემაა, მაგრამ ძალიანაც არ განსხვავდება: „საერთაშორისო გამჭვირვალობას" მინდა ვკითხო, გაუჩნდა თუ არა იგივე შეკითხვა, როდესაც მე გამათავისუფლეს სამსახურიდან. დასვა თუ არა იგივე შეკითხვა, როდესაც ძალიან ბევრი ელჩი გაათავისუფლეს სამსახურიდან, გამოიწვიეს ვადაზე ადრე“, - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ... გუშინ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საჯარო სამსახურებიდან თანამშრომლების გათავისუფლების სტატისტიკა გამოაქვეყნა“.

მგონი, ყველაფერი ნათელია, მაგრამ მეტი სიცხადისთვის სხვა ნიუსსაც შემოგთავაზებთ, რომელიც



რას ვერჩით ამ ბავშვს?

იგივე ოპერიდან არის: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში ფრაქციის ფორმატში მაია ფანჯიკიძეს იბარებს, პრემიერ-მინისტრს კი, საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენების მოთხოვნით მიმართავს“.

კოჰაბიტაცია. კეკელა და მარო... ოღონდ, რომელი უფრო კეკელაა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა თუ ე.წ. სამოქალაქო საზოგადოება, ეს თავად გადაწყვიტეთ და ისიც გაითვალისწინეთ, რომ „ქონი პირში იგლისება და დიდხანს ძლებს უფრო“.

სამი ამბავი ქონზე, რომელიც დიდხანს ძლებს:

„საქართველოს პრეზიდენტმა, შს სამინისტროდან წამოსული კარინა გრიგორიანი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში განაცხადა, კარინა გრიგორიანი შსს-ში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა უცხოური სპეცსამსახურების, შემდეგ ტრეფიკინგის მიმართულებით, ასევე მუშაობდა საქართველოს ინტერესების დასაცავად და პოლიცია მას შემდეგ დატოვა, რაც პარლამენტმა ჯაშუშობაში ბრალდებულები ციხიდან გაათავისუფლა. „მის მიერ პოლიციის დატოვება, არის ღირსეული საქციელი...“, — განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, კარინა გრიგორიანი ეთნიკურად სომეხია, მისი დედა კი ეთნიკურად რუსია და „ასე პატრიოტულად გაზარდა თავისი ქვეყნის სამსახურში“.

„საქართველოს პრეზიდენტი „ქრისტიან-დემოკრატების“ ყოფილ წევრ გიორგი გოგელაშვილს შეხვდა, რომელიც ქუთაისის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუერთდა. მიხეილ სააკაშვილმა გოგელაშვილს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ახლა ეს ნაციონალურ მოძრაობას ძალიან სჭირდებოდა. „ის, რომ ქუთაისის საკრებულოში სამი ადამიანი შემოუერთდა ნაციონალურ მოძაობას აჩვენებს, რომ ქუთაისელები მაგარი ხალხი ხართ. სწორედ ამ ქალაქში უნდა დაიწყოს ჩვენი ორგანიზაციის ხელახალი გაძლიერება და ყველა ერთად უნდა ვზრუნავდეთ ხალხის ინტერესების დაცვაზე“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა“.

„საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დეპუტატმა ნანა ყეინიშვილმა არ იცის, აპირებენ თუ არა საქართველოში ჩამოსვლას მისი პოლიტდევნილის სტატუსის მქონე მაზლები. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ყეინიშვილმა განუცხადა, მაზლების გეგმების შესახებ არაფერი იცის. „უხერხულიც კია ასეთი შეკითხვის დასმა. რატომ არ უნდა დაბრუნდნენ, როცა ბრალდება უკვე მოეხსნებათ? ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება, ამდენად არც მიფიქრია, რომ ასეთი შეკითხვა მათთვის დამესვა. რასაკვირველია, კონტაქტი მქონია, თუმცა არ მიკითხავს“ — აღნიშნა ყეინიშვილმა“.

კომუნისტების დროს გაზეთ „თბილისში“ იყო ასეთი რუბრიკა – „მე რომ ალმასკომის თავმჯდომარე ვიყო...“ ეს იმიტომ გამახსენდა, მე რომ ბიძინა ივანიშვილი ვიყო, სასწრაფოდ შევქმნიდი დაბალბიუჯეტიან ტელევიზიას „მიშა ტვ“, რომლის ეთერსაც მხოლოდ სააკაშვილს დავუთმობდი, რადგან მისი ყოველი გამოსვლა არის თითო ლურსმანი ნაციონალური მოძრაობის კუბოში.

საბედნიეროდ, არ ვარ ბიძინა ივანიშვილი და საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ვარ პურის რიგში სასიკვდილოდ გადადებული თერაპევტი, რომელიც შიშობს, რომ იმ სიაფანდი გოჩა ტყეშელაშვილის „ყველაზე ეროვნულ მედია პროექტში“ ზედმეტად დასერიოზულებული ზვიად ძიძიგური, გუგული მაღრაძე, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი სესიაშვილი, გიორგი ცაგარეიშვილი, კობა დავითაშვილი, ზაზა პაპუაშვილი და სოსო ჯაჭვლიანი, ასევე – „ვანოს შოუში“ გაკრეჭილი მეოცნებე ფეისები, ასევე – კასპში გაჯეჯილებული ოლეგ იაძე, ზესტაფონში გამეფებული გოგი ქავთარაძე და პარლამენტში დავანებული ნანა ყეინიშვილი და სხვები და სხვები... რაც დრო გადის, სია იზრდება და იზრდება. მინდოდა, რომ რაღაც ძალიან მწარე მეთქვა და ვერ გადავწყვიტე, რომელი იქნებოდა ყველაზე შესაბამისად მწარე. ჩათვალეთ, რომ ვთქვი.

სია იზრდება და იზრდება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მიშათა ბანაკს რამე ეშველება. მიშათა ბანაკი მკვდარია, ნეკროლოგი იწერება, ლხინის სუფრა გაშლილია, მეგრელი ქალები სიცილით ტირიან: „საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან გამართული აქცია პერფორმანსით დასრულდა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ზუგდიდიდან იუწყება, აქციის მონაწილეებმა მიცვალებულის სასახლე ადმინისტრაციის შენობას სამჯერ შემოატარეს მოთქმით და შემდეგ, შენობის შესასვლელთან დაასვენეს. ადმინისტრაციულ შენობას ასევე პრეზიდენტის ფიტულიც მიაყუდეს. კახა მიქაიას თქმით, დღეს ზუგდიდში პრეზიდენტი ცოცხლად დაიტირეს“.

თქვენ გენაცვალოთ თქვენი დიტო-ექიმი. მიყვარხართ და მხოლოდ ერთს გთხოვთ – ამ აქციის სანაცვლოდ, თანამდებობები არ მოითხოვოთ. სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მესაფლავეობა უკვე თანამდებობაა და, თანაც – უსერიოზულესი, საპატიო თანამდებობა. ნახეთ და იამაყეთ, რა ტიპებს ასაფლავებთ: „ანდრო ბარნოვმა ლოქაბიძეების ოჯახს დახმარების შესახებ პრეზიდენტის ბრძანება გააცნო“; „ლაშა მაქაცარია ქუთაისის ჩიხად ქცევის საფრთხეზე საუბრობს“; „მიხეილ მაჭავარიანისთვის უცნობია, პრეზიდენტი ანგარიშით წარსდგება თუ არა პარლამენტის წინაშე“; „საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა შენობა დაცვის თანხლებით დატოვეს“...

გარკვეული მიზეზების გამო, ყველაზე მეტად ეს მომეწონა – „ლაშა მაქაცარია ქუთაისის ჩიხად ქცევის საფრთხეზე საუბრობს“. ჯერ ერთი, ქუთაისი ჩიხად ვერ გადაიქცევა, რადგან ქუთაისი ქუთაისია, ხოლო ჩიხა – საჩხერის რაიონის ლამაზი სოფელი, სადაც იაკობაშვილები ცხოვრობენ. მეორეც – ქუთაისთან არის სათაფლია, სათაფლიაში კი წელს ნახევარ მილიონ ტურისტს ელოდებიან და მინდა გითხრათ, რომ დინოზვარის ნაკვალევი და კაკო ბობოხიძის ნაკვერცხალი თავი ტურისტებისთვის ერთნაირად საინტერესო იქნება.

მერე რა, რომ მილების დაზიანების გამო, პარლამენტის ბიუროს სხდომა სხვა დარბაზში იმართება?! მერე რა, რომ სემეკ-ის მამა, გურამ ჩალაგაშვილი ქუთაისელებს დენს თავის დილიხორზე უთიშავს? მერე რა, რომ ნუგზარ წიკლაურის ყოველ სიტყვასა და გოკა გაბაშვილის თვალების კარკვლაზე ქუთაისური დუქნები სირცხვილით იწვიან?

ქუთაისში უნდა გაქეიფოთ, ქუთაისში!!!

რაღაცები ირკვევა... გასულ კვირაში მზის სინათლემ ირაკლი ოქრუაშვილი იხილა. რა კარგი ბიჭი ყოფილა – როგორი თავმდაბალი, ზრდილი, ჩუმი, მართალზე მართალი და წესიერზე წესიერი. თავდაცვის სამინისტროში გადაბარგების პროცესში ვიყავი და ბუტა რობაქიძის ამბავმა გვერდით ჩამიარა, არ გამიგია, ჩემოდნებზე ვიჯექიო... საწყალი ოქრო! კინაღამ ვიტირე, თავს ვიკავებდი, მაგრამ ბოლოს, მაინც ავქვითინდი. ბოლოს ანუ როცა ეს სიტყვები წარმოთქვა: „მაშინ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა მიდიოდა, დავით უსუფაშვილი შემხვდა და მკითხა, რას აკეთებთო. ასეთი საკონსტიტუციო ცვლილებებით ქვეყანაში, ფაქტობრივად, პოლიტიკური ბალანსი ნადგურდებოდა. გულახდილად ვუთხარი, მე მგონი, ჩემი შინაგანი რწმენით, ჩვენ დროებით დიქტატურას ვამყარებთ. ყველამ ვნახეთ, ეს დროებითი შემდეგ გაგრძელდა 9 წლის განმავლობაში“.

რა გულუბრყვილო ყოფილა, როგორი მიამიტი... ვაუპატიურებდი, მაგრამ მეგონა, დემოგრაფიულ პრობლემას ვწყვეტდიო... ჭირს ვავრცელებდი, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო...

კაროჩე, სკლიხასოვსკი!!! და სკლიხასოვსკი კი არა, დროა, მეც დავასრულო. აბა, რა გაწვდება ყველაფერს, რაც გასულ კვირაში ხდებოდა? მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა, გიგი უგულავა კი იჯდა, ფიქრობდა და ითვლიდა – რამდენ რაიონად უნდა დაიყოს თბილისი, ყველა „ნაციონალი“ რომ დასაქმდეს? პასუხი იყო – ათი.

გინდა, ათი იყოს, გინდაც, ოცი და გინდაც, ოცდაათი, ბოლო მაინც ერთია – ადგილი პარაშასთან.

საერთოდ კი, თუ მზის ქვეშ მხოლოდ შენ ადგილს ხედავ, ეს იმას ნიშნავს რომ შენი ადგილი პარაშასთან არის, რადგან ხარ ქონი, რომელიც პირში იგლისება და დიდხანს ძლებს უფრო.

**ა.ა. (არა, არა) „რა ვქნა? გავძეხი... – საბრალოდ თქვა ჩიჩიომ. სახე მოეღრიცა. – მე მგონი, ნამდვილად მეტი მომივიდა, ჰალე... ოთო-ექიმი ტახტიდან წამოდგა, შარვალი კოხტად ჩამოკიდა. „რა ვქნა? – იკითხა ისევ ჩიჩიომ, – მეტი მომივიდა, რა ვუყო? აა? – მუცელზე ფრთხილად მიიდო ხელები, სახემობრეცილმა, თვალები სიმწრით მილულა, „წყალი, დამალევინე... დომენიკო, რა... ოღონდ, გამჭვირვალე ჭიქით... ოთო-ძია, შეიძლება, ტახტზე წამოვწვე?“ „კი, კი“.**

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***

# მართლა კახი კალაძის ბრძანებით დააპატიმრეს თუ არა და რატომ ითხოვს ფსიქიკურ შემოწმებას გურამ ჩალაგაშვილი

ეკა სეხნიაშვილი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სემეკ-ის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილს 3000-ლარიანი გირაო შეუფარდა. გამოძიების ინფორმაციით, ჩალაგაშვილის ბრალდებულის სახით დაკითხვაზე გამოძახება მის მიერ წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში მდებარე რესტორანში ელექტროენერგიის უმიზეზოდ გათიშვის დავალების გაცემას უკავშირდება. შს სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ გურამ ჩალაგაშვილი 2013 წლის 12 იანვარს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში, რესტორან „ამირანიდან" დაუკავშირდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის დირექტორ დავით მურადაშვილს, რომელსაც აღნიშნულ რესტორანში ელექტროენერგიის გათიშვა დაავალა. მურადაშვილი, თავის მხრივ, ტექნიკურ მენეჯერ ლევან კუპრავას დაუკავშირდა და ზემდგომის დავალება გადასცა. მორიგე ელექტროტექნიკოსმა, ხელმძღვანელობის დავალებით, რესტორან ,,ამირანისა“ და მის მიმდებარედ განთავსებული სხვადასხვა ობიექტების ელექტროენერგიის გამანაწილებელი გამორთო, რის გამოც, ქუთაისში ასობით ოჯახსა და ათამდე კერძო კომპანიას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. არსებული ინფორმაციით, რესტორანში ელექტროენერგიის გამორთვის დროს, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, თუმცა შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით, ამ ეტაპზე, აღნიშნული არ დასტურდება. ჩალაგაშვილის თქმით კი, 12 იანვარს, როცა რესტორანში წვეულებაზე იმყოფებოდა, იგრძნო დამწვრის სუნი, რაც სავარაუდოდ, ელექტროსადენებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მისივე განცხადებით, უსაფრთხოების მიზნით, შესაბამის უწყებებს დაუკავშირდა და ელექტროენერგია გაათიშვინა. ადვოკატებისა და სამართალმცოდნეების ნაწილი ცალსახად აცხადებს, რომ პროკურატურის მხრიდან ეს ბრალი ე.წ. სალდატსკი პრიჩინაა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები კი, „დამკვეთად“ ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძეს მიიჩნევენ. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, სემეკ-ის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილიც დაკავებას პოლიტიკურ დაკვეთას უკავშირებს.**

„ეს პოლიტიკური დაკვეთა იყო. ამის უკან კახი კალაძე დგას თუ კიდევ სხვა, დრო აჩვენებს... ფსიქიკურად შეშლილი ხომ არ ვარ, ახალ წელს, ცოლ-შვილთან ერთად, ბნელ რესტორანში ჯდომა გამხარებოდა?!“



## ექსკლუზიური ინტერვიუ პატიმრობიდან გირაოთი გათავისუფლებულ სემეკ-ის თავმჯდომარესთან

**— ბატონო გურამ, ბრალი, პრაქტიკულად, იმაში გედებათ, რომ ელექტროენერგია, სატელეფონო ზარით, უსაფრთხოების გამო, გამოართვევინეთ. გამოდის, თქვენს ტელეფონს უსმენენ?**

— როგორც დღეს გაირკვა, კანონის მოთხოვნით, იმ ადამიანის ტელეფონი ჰქონდათ მოსმენაზე „ჩართული“, რომელსაც დავუკავშირდი.

**— მურადაშვილს გულისხმობთ?**

— კი.

**— ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ განაცხადა, ჩალაგაშვილი ხელს უშლიდა ტარიფების დაწევაზე მუშაობას და უნდა დასრულდეს სატელეფონო ზარებით საქმის განხორციელებაო. ფიქრობთ, თქვენზე ძალოვანები გაცილებით ადრე მუშაობდნენ და სამიზნეში რესტორან „ამირანამდე“ ამოგიღეს, რათა თანამდებობიდან წასულიყავით?**

— კი არ ვფიქრობ, ამაში უკვე ღრმად ვარ დარწმუნებული იმ სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელზეც ბრალდების მხარემ მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. პროკურორს ჰკითხეს, ჩალაგაშვილს დენის გამორთვის მოტივაციად რა უნდა ჰქონოდა. მან უპასუხა, მეორედ ვარ სასამართლო პროცესზე და დუმილის უფლებას ვიყენებო. პიროვნულად, ამ პროკურორის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ გულწრფელად შემეცოდა. შევატყვე, რცხვენოდა. მე, როგორც მოქალაქემ ჩავთვალე, ელექტროსადენებით გამოწვეული საფრთხე იმდენად მაღალი იყო იქ მყოფთათვის, რომ შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის უნდა დამერეკა. მიპასუხეთ, სხვა რა მოტივაცია უნდა მქონოდა, თუ არა საფრთხე? ახალი წლის დღეებში, ოჯახის წევრებთან ერთად, რესტორანში გასართობად ვიყავი წასული და ფსიქიკურად შეშლილი ხომ არ ვარ, ჩაბნელებულ და შუქგამორთულ რესტორანში ჯდომა გამხარებოდა? ენერგეტიკის მინისტრსა და სხვებსაც ამ საქმის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა სურთ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ პოლიტიკოსი არ ვარ. რადგან პრეზიდენტის მიერ ვარ წარდგენილი, ამიტომაც ცდილობენ, რამე შემითითხნონ. ჩემს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები ნამდვილად პოლიტიკური დაკვეთაა და სხვა არაფერი! „მარეგულირებელს“ არ ჰყავს მაკონტროლებელი და ცდილობენ, ხელში ჩაიგდონ. ვინ იდგა ამ აბსურდის თეატრის უკან, რეჟისორი ვინაა — კახი კალაძე თუ სხვა, ამას დრო აჩვენებს...

**— სემეკ-ის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერებას ელოდებით?**

— ამ საკითხს სასამართლო განიხილავს. სამწუხაროდ, უფლებამოსილების შეჩერების პროცესს არ დაგვასწრეს. პროკურატურის ბრალი არაა დადასტურებული და სასამართლოს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, შესაბამისად, თუკი კანონის ელემენტარული პატივისცემა მაინც აქვთ, წესით, არ შეიძლება, თანამდებობის პირი ეჭვის საფუძველზე, უარგუმენტოდ გადააყენონ.

**— მაგრამ, თუ თქვენი გადაყენება კახი კალაძეს სურს?**

— თუ ჩემი გადაყენება კახი კალაძეს სურს, მაშინ შევახსენებ, რომ პოლიტიკოსი არ ვარ და ეს კანონის დარღვევაა! იმას მაინც ნუ იტყუება, თითქოს ტარიფების დაწევაში მონაწილეობა არ მივიღე. მარტივად შეიძლება ამის დაზუსტება — სამუშაო ჯგუფის ნებისმიერ წევრს გაესაუბრეთ. ჩვენ არათუ ვმონაწილეობდით, არამედ, მარეგულირებელი კომისია ერთადერთი იყო, რომელმაც იცოდა, რა უნდა გაკეთებულიყო ამისთვის. რომ არა კომისია, ტარიფების დაწევის პროცედურა შესაძლოა, არც განხორციელებულიყო.

**— ბატონო გურამ, ისე, პროკურატურა შუქის ჩაქრობის მოტივად რას ასახელებს? შუქის გამორთვის გამო ხალხს რომ იჭერდნენ, მაშინ იყო დრო, როცა საქართველოში ელექტროენერგია 2 საათი გვქონდა...**

— დიახ და მაშინ, ის ხალხი, ვისაც საქართველო ლამის დღე და ღამე ჩაბნელებული ჰყავდა, მუდმივ პატიმრობაში უნდა იყოს. შუქი მხოლოდ რამდენიმე წუთით იყო გამორთული და ისიც, იქ მყოფი ადამიანების უსაფრთხოების გამო. სხვა რა მოტივი უნდა მქონოდა? გამოძიებამ ექსპერტიზას უნდა მიმართოს, რათა დაადგინოს, ფსიქიკურად ჯანმრთელი ვარ თუ არა, თორემ ადამიანმა რესტორანში, სიბნელეში ჯდომა სხვა რა მოტივით უნდა მოინდომოს? ორი კვირის წინ, ზუსტად ანალოგიური ფაქტის გამო, ქუთაისში ვერ მოხდა დროული რეაგირება და დიდი რესტორანი დაიწვა. ეს ვიცოდი და სწორედ უსაფრთხოების მიზნით ვიმოქმედე, მაგრამ ხომ გეუბნებით, ეს გამოძიებას არ აინტერესებს, რადგან პოლიტიკური დაკვეთაა. ახალ ხელისუფლებას ვერ გაუგია, პრეზიდენტის მიერ დანიშვნა იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ნაციონალური პარტიის წევრი ხარ. არ ვარ ამ პარტიის წევრი. დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ვარ და ბრალდებას ნუ მითითხნიან!



# მალე პროკურატურაში ნათია მოგელაძესა და ლევან ბეჟაშვილსაც დაიბარებენ?!



**„ვერსიის“ ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საგანგებოდ შექმნილი საპარლამენტო კომისია შევიდა, რომელიც შემოწმების დასკვნას ორ თვეში წარმოადგენს. კომისია მხოლოდ აუდიტის მიერ განხორციელებულ აუდიტის აქტებს კი არა, იმ სხვადასხვა ტიპის ჯარიმებსაც შეისწავლის, რომლებიც ნათია მოგელაძემ და ლევან ბეჟაშვილმა წინასაარჩევნოდ, უმეტესად, „ქართულ ოცნების“ წარმომადგენლებს დააკისრეს. კომისიის დასკვნა, შესაძლოა, პროკურატურის საკბილოც გახდეს, რასაც „ვერსიასთან“ საუბრისას არც კომისიის თავმჯდომარე, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი ნოდარ ებანოიძე გამორიცხავს.**

**— ბატონო ნოდარ, ჩემი ინფორმაციით, აუდიტის სამსახურში უკვე შეხვედით და აქტები გამოითხოვეთ...**

— დიახ, ერთი კვირაა, მუშაობა დავიწყეთ. ქუთაისში იმ ტექნიკური ჯგუფის, რომელიც ყველა აქტისა და აუდიტის ხარისხს სწავლობს, პირველი, წინასწარი მოსმენა უკვე გაიმართა. ორი კვირის შემდეგ კი, სამუშაო პროცესზე უფრო დაზუსტებული ინფორმაცია მექნება. ამ ჯგუფის კომპეტენცია მაღალია და ძალიან მალე დაიდება რეალური სურათი, როგორ მუშაობდა აუდიტის სამსახური და რამდენად კანონიერი იყო მის მიერ განხორციელებული აუდიტი. ჩვენ 2012 წლის მონაცემებს ვსწავლობთ და...

**— ბატონო ნოდარ, 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ, აუდიტის სამსახურმა საზოგადოებას თავი ყველაზე მეტად შემომწირველთა დაჯარიმებით დაამახსოვრა. ამ აქტების კანონიერების შემოწმება და ნათია მოგელაძის ან ლევან ბეჟაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება?**

— ამ სამსახურის, ასე ვთქვათ, გემო, ჩემმა ახლობლებმა საკუთარ მხრებზე იწვნიეს. ის საქმიანობაც, რომელიც პოლიტიკური პარტიების ფინანსურ მონიტორინგს უკავშირდება, აუცილებლად იქნება შესწავლილი, თუმცა ამ ეტაპზე, ვსწავლობთ აუდიტის საქმიანობას, ჯარიმების კანონიერებას და არა — პერსონების საკითხს, მაგრამ თუკი დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, კომისიის დასკვნა მხოლოდ პარლამენტის შეფასების კი არა, შეიძლება, პროკურატურის განსახილველიც გახდეს, თუმცა პერსონიფიკაცია და დასკვნის გაკეთება ჯერ ნაადრევია.

**— ბატონო ნოდარ, ლევან ბეჟაშვილის კონტროლის პალატის ხელმძღვანელობის დროს, საერთო სასამართლოების აუდიტის შემოწმების მასალებში, როგორც შევიტყვე, გარკვეული დარღვევებია, ანუ ყოფილი აუდიტორების ჯგუფის ხელმძღვანელი გია ტუხაშვილი, თურმე, იმიტომ გაათავისუფლეს, რომ საერთო სასამართლოების ფინანსური შემოწმებისას, 2 მილიონის დანაკლისი დააფიქსირა. ამ საქმეში, როგორც ამბობენ, ლევან ბეჟაშვილი და სხვა პირები ფიგურირებენ...**

— ეს ძალიან საინტერესო თემაა და ამაზე მედიაშიც იყო საუბარი. ყველა ეს მასალა ჩვენს კომისიას დაეხმარება, კონტროლის პალატის შემოწმების ხარისხსა და კანონიერებაზე არგუმენტირებული დასკვნა დადოს. ნამდვილად ბევრი კითხვაა, რომელიც პასუხს ითხოვს.

**მთავარ პროკურატურაში საქართველოს აუდიტის სამსახურის პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსის, ნათია მოგელაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შესაძლოა, სხვა ბრალდებებითაც აღიძრას — პროკურატურაში მოგელაძისა და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ ათობით საჩივარია შესული. მომჩივნები მოგელაძეს ბრალს ზეწოლაში, ჩვენებების უკანონო მეთოდებით ჩამორთმევასა და, ასევე, უკანონოდ დაჯარიმებაში სდებენ. შეგახსენებთ: არჩევნებამდე მოგელაძის უწყებამ „ქართული ოცნების“ ასეულობით შემომწირველი დიდი ოდენობის თანხით დააჯარიმა, 62 ფიზიკურ პირს კი, მათ შორის, ბიძინა გუჯაბიძესა და რომან კუსიანს უძრავი ქონებაც დაუყადაღა...**

*ეკა სეხნიაშვილი*

მერაბ ბერიძე

# ნოდარ ნათაძე მაია ფანჯიკიძესა და პაატა ზაქარეიშვილს ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებებში ამხელს?!

**საქართველოს ახალი მთავრობა ცხინვალს ერგნეთის ბაზრობის აღდგენას სთავაზობს. ამ საკითხს გამოხმაურება რუსულ მედიაში მოჰყვა და როგორც გაზეთი „იზვესტია“ წერს, „ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ მოამზადა რიგი წინადადებებისა ცხინვალისთვის, რომლებიც საზღვარზე მდებარე სოფელ ერგნეთში ქართულ-ოსური ბაზრობის აღდგენას ეხება“. ამასთან, სტატიის ავტორი წერს: „სააკაშვილის ხელისუფლების მიერ კონტრაბანდასთან ბრძოლის საბაბით ბაზრის ლიკვიდაცია მოხდა. ჯერ კიდევ შარშან, ივლისში ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც მაშინ ოპოზიციის ლიდერი იყო, განაცხადა, რომ „ბაზრის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება გაუაზრებელი იყო“. ივანიშვილმა პირობა დადო, რომ „შეცდომას გამოასწორებდა“ და ყველა რისკის გათვალისწინებით, „ლეგალურად აღადგენდა ერგნეთის ბაზარს, რამდენადაც აქედან, შესაძლოა, ხალხებს შორის ნდობის აღდგენის პროცესი დაიწყოს“. რუსული მედია ყურადღებას სააკაშვილის მოსაზრებაზეც ამახვილებს, რომლის თანახმადაც, ერგნეთის ბაზარი საქართველოში რუსული უაქციზო და, მათ შორის, სპირტიანი პროდუქციის გასაყიდ არეალად გადაიქცა.**

**„ერგნეთის ბაზრობასთან, ასე თუ ისე, დაკავშირებული იყო 30 ათასი ქართველისა და ოსის — რეგიონის მაცხოვრებლების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა“,** — აცხადებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი. ქართული მხარის წინადადებები აღნიშნული კომისიის მიერ მუშავდება. ამ პროცესში, რეინტეგრაციის საკითხების სამინისტროსთან ერთად, ექსპერტებიც მონაწილეობენ.

**„ერგნეთის ბაზრის აღდგენა შერიგების გზაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება, ამიტომაც ვუჭერთ მხარს ამ იდეას. აქ შეიძლება, მხარეთა საერთო ინტერესებიც გამოიკვეთოს“,** — აცხადებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზვიად ძიძიგურის განცხადებით კი, ბაზრის აღდგენის თემა „აქტიური შემუშავების პროცესშია“.




რას ემსახურება ერგნეთის ბაზრობის აღდგენის ქართული მხარის ინიციატივა და რას ითხოვს სანაცვლოდ ცხინვალი

ქართული მხარე ოსური მხარისთვის ერგნეთის ბაზრობის აღდგენის შესახებ წინადადებების გადაცემას მიმდინარე წლის მარტში დაგეგმილ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე აპირებს. ე.წ. სამხრეთ ოსეთი კი, საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენაზე ამ დრომდე უარს ამბობს. „ჩვენთვის ეს საინტერესო არ არის“, — განაცხადა „იზვესტიასთან“ ოს სეპარატისტთა ლიდერის ე.წ. რწმუნებულმა პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში მურატ ჯიოევმა და ამაზე უფრო ვრცელი კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

რამდენიმე დღის წინ, ოს სეპარატისტთა ლიდერმა, ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან კონტაქტი, შესაძლოა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასა და ოსი ხალხის ე.წ. გენოციდს აღიარებს. მისივე თქმით, გარდა ამისა, საქართველომ უნდა გააფორმოს იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან.

არასამთავრობო ორგანიზაცია „რესპუბლიკური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ივლიანე ხაინდრავა მიიჩნევს, რომ რუსეთმა, შესაძლოა, ასეთ ინიციატივას მხარი დაუჭიროს: **„ჯერ ერთი, ასეთი ვაჭრობა გამოაცოცხლებს სამხრეთ ოსეთის ეკონომიკას, რითიც რუსეთის ბიუჯეტი მოგებას ნახავს და მეორეც, რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტის დაშვების შემდეგ, სამხრეთ ოსეთის გავლით, ტრანზიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს“.**

**„პოლიტიკურმა კონიუნქტურამ, შესაძლოა, თავად უბიძგოს ცხინვალს კომპრომისისკენ. იანვრის ბოლომდე გადაწყდება, რა სახით განახორციელებს ოფიციალური შუამავალი შვეიცარია საქართველოსა და რუსეთს შორის ტვირთბრუნვის მონიტორინგს. ლაპარაკია იმ პროდუქციაზეც, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შედის და ამავე რესპუბლიკებიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული სავაჭრო კორიდორებით, გამოდის. ამ მხრივ, როგორც თბილისში მიიჩნევენ, ერგნეთის ბაზრის აღდგენის შემთხვევაში, იქ კონტრაბანდა ვეღარ მოხვდება“,** — წერს რუსული გამოცემა.

შიდა ქართლის გუბერნატორის, ანდრო ბარნოვის შეფასებით, ე.წ. ერგნეთის ბაზრის აღდგენა პოპულისტური ნაბიჯი იქნება, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, ცუდ შედეგებს მოიტანს:

**„ე.წ. ერგნეთის ბაზრობის გახსნის თემა ძალიან მძიმე საკითხია. ვიზიარებ „ნაცმოძრაობის“ პოზიციას და ვფიქრობ, ერგნეთის ბაზრობის გახსნა საფრთხის შემცველი იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი კითხვა დამიგროვდა, რომელსაც აუცილებლად დავუსვამ ხელისუფლების წარმომადგენლებს. იმის თქმა, თითქოს ამ ბაზრობის აღდგენა მხოლოდ დაახლოებისთვისაა აუცილებელი, არ შეიძლება, მაგრამ თუ დავრწმუნდებით, რომ საფრთხეები თავიდან იქნება აცილებული, მაშინ ჩვენ ვინმესთან დაახლოების წინააღმდეგი არ ვართ. ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ეს პოპულისტური ნაბიჯია, რომელსაც მოკლევადიანი დადებითი და გრძელვადიანი ცუდი ეფექტი ექნება“.**

რწმუნებული, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილთან შეხვედრასაც არ გამორიცხავს.

ქართული პოლიტიკის ვეტერანი ნოდარ ნათაძე საკითხს სიფრთხილით უდგება: **„ვკითხე ერგნეთთან ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობას ბაზრობის აღდგენის თაობაზე და მითხრეს, მოცემულ რეალობაში ამ ნაბიჯის გადადგმა არ ივარგებსო. იქ გაბატონებულ მდგომარეობაში ოსები იქნებიან და ამიტომაა ეს გადაწყვეტილება მიუღებელი. ამასთან, ნაბიჯი პოპულისტურია მხოლოდ სულელების თვალში, ჭკვიანებისა და საქმეში ჩახედულებისთვის კი, ასე ნამდვილად არაა. ადგილობრივ მოსახლეობაში, ვისაც ჭკუა მოეკითხება, ამას არ მოიწონებს. რაც შეეხება მოსკოვის როლს, რუსეთი ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას, ტრადიციულად, სუფთა ეკონომიკური მოსაზრებებით არ ხელმძღვანელობს. კრემლი პოლიტიკურ, სტაბილურ მოსაზრებებს ანიჭებს უპირატესობას. იქ, სადაც რუსეთი ბატონობს, ეკონომიკა განსაკუთრებულ როლს არ ასრულებს. ასევე, მთელი ეს პროცესები — ვაშლის გატანა, ფქვილის შემოტანა და სხვა, პოლიტიკურად, მთლიანად რუსეთის მიერ იქნება რეგულირებული. ამიტომ ჩვენს სასარგებლოდ იქ არაფერი მოხდება და ილუზიების ტყვეობაში არ უნდა ვიყოთ. ამავე დროს, აღნიშნული ნაბიჯის ახსნისას, სამწუხაროდ, ცუდ სცენარზე მიწევს საუბარი. მე, პირადად, როგორც მოქალაქე ვამბობ, ამ სახელისუფლებო გუნდისადმი უკვე პოლიტიკური უნდობლობა მაქვს. ის, რასაც მაია ფანჯიკიძე და პაატა ზაქარეიშვილი აკეთებენ, არ შეიძლება, სახელმწიფოს ინტერესების დაცვად შეფასდეს. მხოლოდ ამ ბოლო საკითხს არ ვგულისხმობ. ყველგან ასეა, სადაც კი მეტ-ნაკლებად აქტიურობენ. დაწყებული პალესტინის აღიარებიდან, აფხაზეთის რკინიგზითა და, საერთოდ, აფხაზეთის თემატიკით დამთავრებული — რაც ამ მიმართულებით გაცხადდა, ქართული გრძელვადიანი ინტერესებისთვის მიუღებელია. განცხადებებით ორიენტაცია დასავლეთსა და ნატო-ზეა, მაგრამ ამის იქით ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ ხორციელდება. ასეთი სცენარი კარგს არაფერს მოგვიტანს“.**

როგორც ვხედავთ, ერგნეთის ბაზრობის აღდგენის მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ პოლარიზებულია. დღევანდელი ოპოზიცია ამაში კარგს და პერსპექტიულს ვერაფერს ხედავს, თუმცა იმაზე, რა შედეგებამდე მიგვიყვანა ქართულ-ოსური ტრადიციული ურთიერთობების ხელის ერთი მოსმით დანგრევამ, არაფერს ამბობს. კონტრაბანდული ვაჭრობა, რა თქმა უნდა, მიუღებელია, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, კომპრომისული გამოსავლის მოძებნა შესაძლებელი იყო...

ახალი ხელისუფლება ურთიერთობებში გაჩენილი ყინულის გალღვობას ცდილობს. ამ გზაზე, ალბათ, ყველა საშუალება მოსასინჯია, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ე.წ. საზღვარზე რუსი ოკუპანტები დგანან და პოსტებს „ამაგრებენ“. მეორე მხრივ, „სამხრეთ ოსეთი“ პატარა ჩიხია და აქედან თავისდაღწევა ყველა ნორმალურად მოაზროვნე ოსის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. ჯიოევი-თიბილოვის განცხადებების პათოსი, სრულიად გასაგებია, ვის ინტერესებსაც ემსახურება. ფაქტი ერთია: ხელოვნურად გაწყვეტილი ურთიერთობები უნდა აღდგეს და ამისთვის ყველა საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული. იმედია, ოსურ საზოგადოებაშიც ამ თემაზე ბჭობა უკვე დაწყებულია.

ბოლოს, 2003 წლის შემოდგომაზე, თბილისში, „ომისა და მშვიდობის ბრიტანული ინსტიტუტის სემინარში“ ცხინვალელ კოლეგებთან ერთად ვმონაწილეობდი. ძალიან საინტერესო თანამოძმეებთან გვიწევდა ურთიერთობა. შერიგების პროცესი იმდენად ღრმად იყო განვითარებული, რომ ოსი ჟურნალისტები წინააღმდეგნი არ იყვნენ, ერთიან, თუნდაც ფედერალურ პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში (საქართველოში) ეცხოვრათ. ეს იმ დროს, როცა ზოგიერთ მათგანს ოთხმოცდაათიან წლებში, ქართველებთან ძმათამკვლელ ომში ოჯახის წევრი ან ნათესავი ჰყავდა დაღუპული. მერე კი, რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით. არ შეიძლება, მორიგ უგნურ პოლიტიკას გადაჰყვეს ათწლეულების ქართულ-ოსური ურთიერთობა. რიგითი მოქალაქეები ორივე მხარეს ყინულის გალღვობას ელიან...

# ვინ არის ქალი, რომელმაც აკაკი ბობოხიძეს კვერცხები ესროლა



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**16 იანვარს, ზუგდიდში, იურიდიული კომიტეტის გასვლით სხდომაზე, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვამ ადგილობრივების საპროტესტო აქციის ფონზე ჩაიარა. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა — აკაკი მინაშვილმა და ნუგზარ წიკლაურმა „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის“ შენობა დაცვის თანხლებით დატოვეს. აკაკი ბობოხიძეს კი მოქალაქეებმა კვერცხები დაუშინეს. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისათვის“ წევრი ლალი ანთია, რომელიც კვერცხების სროლისთვის ასი ლარით დაჯარიმდა, „ვერსიასთან“ ინციდენტის დეტალებს იხსენებს:**

— 15 იანვარს, დილით შევიტყვე, რომ „ნაციონალების“ მხარდამჭერები საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან აქციის გამართვას გეგმავდნენ. ამ ადგილას ოცამდე ადამიანი შეიკრიბა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს. არადა, დანამდვილებით ვიცი, რომ მათი უმრავლესობა ხელოვნურად შექმნილ შტატებზე ჰყავდათ დასაქმებული და საკმაოდ მაღალ ხელფასს იღებდა. აქციაში მონაწილეობდა გიორგი სამუშიაც, რომელმაც ზუგდიდში ბეჟან გუნავა, ბიძინა გუჯაბიძე და მისი მეუღლე სცემა. ერთი სიტყვით, როცა აღნიშნული შეკრების შესახებ ინფორმაცია მივიღეთ, მე და კახა მიქაიამ საქმის ვითარებაში გარკვევა ვცადეთ. აქციაზე ის ზონდერბრიგადები ამოვიცანი, რომლებიც არჩევნებამდე გვარბევდნენ და გვცემდნენ. ამიტომაც აქციის მონაწილეებს „მკვლელები“ დავუძახე. მათ კი მომაძახეს, ათ დღეში ნახავთ, ზუგდიდში რაც მოხდებაო. ეჭვი გვაქვს, რომ ათ დღეში მიშა ზუგდიდში ჩამოსვლას აპირებს. სწორედ ამის გასაპროტესტებლად მოვაწყვეთ პრეზიდენტის ცოცხლად დამარხვის აქცია და ამით, სააკაშვილს მივანიშნეთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ, სამეგრელო უნდა დაივიწყოს. მაინტერესებს, ყველაფერ იმის შემდეგ, რაც გააკეთა, ზუგდიდში რა ნამუსით უნდა იცხოვროს?! მიშა პროვოკაციაზე მოდის — კარგად იცის, რომ ზუგდიდიდან რამდენიმე კილომეტრში რუსის ჯარი დგას და ამიტომაც ცდილობს, ერთმანეთს ხელოვნურად დაგვაპირისპიროს, ქვეყანაში შექმნილი ქაოსი კი, ბიძინა ივანიშვილს დააბრალოს, მაგრამ ამას არ დავუშვებთ. ისე, თუ დაკვირვებიხართ, მიშა სადაც ფეხს დადგამს, იქ ზაფხულშიც კი თოვს.

**— ქალბატონო ლალი, უმცირესობის წარმომადგენლებისთვის კვერცხების სროლა რატომ გადაწყვიტეთ?**

— „ნაციონალების“ მხარდამჭერების აქციაზე შევიტყვე, რომ იმავე დღეს, ოთხ საათზე, უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განსახილველად ზუგდიდში ჩამოსვლას აპირებდნენ. „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრისკენ“ გადავინაცვლე, სადაც სხდომა იყო დაგეგმილი. როცა შენობასთან მივედი, კაკო ბობოხიძე მანქანიდან გადმოდიოდა. ზუგდიდში მას არავინ ელოდა, რადგან კარგად ახსოვთ „მხედრიონის“ პერიოდში მისი არაადამიანური ქმედებები. მასთან ერთად იყვნენ აკაკი მინაშვილი და მარიამ საჯაია... როცა ზუგდიდელებმა ბობოხიძეს წარსული შეახსენეს, მინაშვილმა შეგვაგინა. არც ჩვენ დავრჩენილვართ ვალში, რის შემდეგაც ვითარება უმართავი გახდა. კახა მიქაია სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა. ამასობაში, მოსახლეობამ ცოცხი და კვერცხები მოიტანა და უმცირესობის წარმომადგენლებს დავუშინეთ. იქ მყოფმა კაცებმა თავი შეიკავეს, თორემ მინაშვილსა და ბობოხიძეს ოთახიდანაც არ გამოვუშვებდით.

**— სკანდალური აქციების ორგანიზებით სახელი ჯერ კიდევ 90-იან წლებში გაითქვით — სამეგრელოში ჩასულ ედუარდ შევარდნაძეს თანამოაზრე ქალბატონებთან ერთად დახვდით...**

— დიახ, მაშინ ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ედუარდ შევარდნაძემ მთელი საქართველო დაღუპა. ის არის მელა! შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია და სრულიად ქართველი ხალხი გაწირა, საქმე ისე მოაწყო, ზვიადი ქართველებს მოაკვლევინა. 25 წელია, ქუჩაში ვარ და რეჟიმს ვებრძვი. დიახ, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გამოვდიოდი არსებული სისტემის წინააღმდეგ. „ნაციონალებმა“ 14 წელი მომისაჯეს და ციხეშიც ჩამსვეს, მაგრამ რამდენიმე წელში გამათავისუფლეს, ისიც ვიცი, რატომ და მალე, ამას ყველა გაიგებს! 1992-93 წლებში ისევე, როგორც დღეს, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა იყო. ზვიადი გროზნოში გაემგზავრა, შევარდნაძე კი აქ ცდილობდა ქართველების დაღუპვას. როცა სამეგრელოში ჩამოსვლა დააპირა, ინტელიგენცია უნდა დახვედროდა, მაგრამ მის მიმართ პროტესტი საკმაოდ სკანდალურად გამოვხატეთ!.. სხვათა შორის, 15 იანვრის ინციდენტისას, არც ზვიად ძიძიგურის ქმედება იყო ჩვენთვის მოსაწონი — ჰალსტუხმოჭერილი, გაჭიმული, მეფისტოლა კაცივით იქცეოდა. ეტყობა, ფიქრობს, ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება მან მოიპოვა, არადა, ყველამ იცის, ბიძინა ივანიშვილის გარეშე, კოალიციაში გაერთიანებული ვერც ერთი პარტია ბარიერს დამოუკიდებლად ვერ გადალახავდა. ჩანს, ეს მხოლოდ „რესპუბლიკელებმა“ გააცნობიერეს. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობის წევრებიდან ზარებს მხოლოდ დავით უსუფაშვილი პასუხობს, დანარჩენებმა მოსახლეობა, აბსოლუტურად, დაივიწყეს... ზუგდიდში ისევ ნეპოტიზმი ჰყვავის, თანამდებობებზე ისევ ხელისუფლების დეიდაშვილ-მამიდაშვილები ინიშნებიან.

**— კონკრეტულად, რომელი წარმომადგენელი ნიშნავს თანამდებობებზე საკუთარ ნათესავებს?**

— შემიძლია, სრული სია გადმოგცეთ, რამდენი ადამიანი დაინიშნა მაღალ თანამდებობებზე ნათესაური კავშირის წყალობით. ამ სამი თვის განმავლობაში, ხელისუფლებამ იმდენი ადამიანის განაწყენება შეძლო, რაც „ნაციონალებმა“ სამი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს. მაგალითად, კოორდინატორების 90%-ს, რომელიც „ოცნების“ სასარგებლოდ არჩევნებამდე თავდაუზოგავად მუშაობდა, ხელფასი ჯერ კიდევ არ აუღია... ზუგდიდში პროფესიონალურ დონეზე მხოლოდ პოლიცია და პროკურატურა მუშაობს. დანარჩენ უწყებებში „ოცნების“ წარმომადგენლები „ნაციონალების“ გზას ადგანან. სხვათა შორის, რასაც ვაკვირდები, ზუგდიდში „ოცნების“ წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი „ნაციონალია“. მათ შორის ის, ვინც ამერიკიდან გვმოძღვრავდა, ყოფილი ელჩები... ზუგდიდში, არჩევნებში, როლანდს არ გაუმარჯვია, მას კოალიციის წევრებმა გამარჯვება ლანგრით მიართვეს. ეს ყველაფერი დღეს ხმამაღლა უნდა ვთქვათ! თუ ვინმეს ღალატში შევამჩნევ, ზუგდიდში წყვილ კუბოს დავუდგამ!

ეკა სეხნიაშვილი

# ადეიშვილი თავისმა „მარჯვენა ხელმა" და მერაბიშვილის მეგობარმა ჩაუშვა?!



## ვინ არის „ჩხატარა", რომელი მაღალჩინოსნები და ბიზნესმენები ფიგურირებენ ადეიშვილის საქმეში, როდის ჩამოვა თბილისში და ვინ დაუქირავა ყოფილ გენპროკურორსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრს ადვოკატი

იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი ევროპაშია, თუმცა უცნობია, კონკრეტულად, რომელ ქალაქში. ზოგი ამბობს, რომ ბუდაპეშტშია, ზოგიც — ვენაშიო. პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ადეიშვილი საქართველოში ჩამოსვლას მისი საქმეების სასამართლო განხილვისას აპირებს, მაგრამ ეს უფრო ჰიპერბოლიზებული ნათქვამია. „ვერსიასთან" საუბრისას, იუსტიციის ექსმინისტრის ადვოკატი გოჩა სვანიძე აცხადებს, რომ სასამართლოსა და პროკურატურას ადეიშვილის სასამართლო პროცესების გასაჯაროებასა და „გატელევიზორებას" მოსთხოვს. სხვა საკითხია, „სკაიპით" თუ რა ფორმით შეიძლება, ჩაერთოს სასამართლო განხილვაში იუსტიციის ყოფილი მინისტრი, რომელიც კონტაქტზე, ვანო მერაბიშვილისა და კიდევ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის გარდა, არავისთან გადის. თეა წულუკიანის ინფორმაციით, რამდენიმე ყოფილი ხელისუფალი და მეგობარი ადეიშვილს ბუდაპეშტში სტუმრობდა. ამ სტუმრების რიცხვში არ იქნებოდა ადეიშვილის „მარჯვენა ხელად" ცნობილი და მისი ყველაზე გავლენიანი მოადგილე, საგამოძიებო ნაწილის უფროსი და კუდ-იდან გადაყვანილი დავით ჩხატარაშვილი, რომელიც ადეიშვილის მთავარ „ჩამშვებად" სახელდება. სხვათა შორის, დავით ჩხატარაშვილს კოლეგები ყოველთვის კარგად ახასიათებენ და იხსენებენ, რომ ჩხატარაშვილს ადეიშვილი ყველაზე მძიმე საიდუმლო და მნიშვნელოვან საქმეებს ანდობდა. ადეიშვილი, რომელიც კაბინეტში საათობით იყო ჩაკეტილი, ჩხატარაშვილთან ერთად, დადიოდა მიღებებზე, სადილებსა და ბიზნესმენებთანაც კი. როცა ადეიშვილი კაბინეტში არავის იღებდა და ტელეფონზე არავის პასუხობდა, „ჩხატარას" მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული. ახლა ჩხატარაშვილი გია ხუხაშვილთან მეგობრობს, საქმის მასალებში კი, ადეიშვილის წინააღმდეგ მთავარ მოწმედ სახელდება. „მაშინ, როდესაც ყოფილ მინისტრებს, ყოფილ პრემიერ-მინისტრებს, ყოფილ და არსებულ მაღალჩინოსნებს, თითქმის ყოველდღე დაარბენინებენ პროკურატურაში, ფინანსურ პოლიციასა და სხვადასხვა საგამოძიებო უწყებაში, აბა, გამოიცანით, სად ჩამოართვეს ზურა ადეიშვილის წინააღმდეგ ის ერთადერთი ჩვენება ბატონ „ჩხატარას"?.. სად და — ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე, ე.წ. პიქსელის შენობაში... აი, ეგრე, მიბრძანდნენ ბატონი ხუხაშვილის ოფისში და იქ დაკითხეს", — აცხადებს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, უმცირესობის დეპუტატი გოგა ხაჩიძე.

„ვერსიის" წყაროს ინფორმაციით, ჩხატარაშვილის გარდა, „ქართუს" საქმეში ადეიშვილის წინააღმდეგ, კიდევ ერთი პირი, მერაბიშვილის ახლობლად და ძმაკაცად ცნობილი, შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსი ჯაბა ებანოიძე ფიგურირებს. ებანოიძე მერაბიშვილს ჯერ კიდევ იმ დროიდან მოჰყვება, როცა ვანო „მიწის მართვის ასოციაციაში" უბრალო მმართველად მუშაობდა. ებანოიძემ შსს-სთან ადეიშვილის წინააღმდეგ ითანამშრომლა — ყოველ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ასე იკვეთება.

„ვერსიას" ზურაბ ადეიშვილის ადვოკატი **გოჩა სვანიძე** ესაუბრა.

**— ბატონო გოჩა, საქმის მასალები უკვე გადმოგეცათ. რა მტკიცებულებებს ეფუძნება პროკურატურის მხრიდან ადეიშვილისთვის ბრალის წაყენება?**

— მას ბრალი დაუსწრებლად უკვე ორჯერ წაუყენეს. პირველად — პროკურატურაში, მეორედ კი — შსს-ს ანტიკორუფციულ დეპარტამენტში. ბოლოჯერ, ბრალი 210-ე, 205-ე პრიმა, 332-ე და 333-ე მუხლებით წაუყენეს. ესაა ქონების გადამალვა, უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება, პოლიტიკური პირის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

**— ვისი ქონების ხელყოფაზეა საუბარი?**

— საუბარია „ქართუ" ბანკში იპოთეკით დატვირთული ქონების ხელყოფასა და სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაცემაზე. ადეიშვილს ამის ორგანიზება ედება ბრალად. 2011 წელს სააღსრულებლო კანონში, საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა, რაც საზიზღარი, არანორმალური იყო და შემდეგს ითვალისწინებდა: თუ პირს სახელმწიფოს ვალი აღმოაჩნდებოდა, იმისდა მიუხედავად, ვინმეს სასარგებლოდ იპოთეკით იყო თუ არა დატვირთული, მაინც სახელმწიფოს ჰქონდა უპირატესი უფლება, ეს ქონება წაერთმია. სწორედ ამ საფუძვლით მოხდა ქართუ „ბანკის" სასარგებლოდ დაიპოთეკებული ქონების რეალიზება და ზარალის მიყენება, როგორც ამას ბრალდების მხარე აცხადებს, მაგრამ ეს საკანონმდებლო პრობლემაა და არა — ადეიშვილისა. თუ ვინმეს სამართლებრივ თუ მორალურ პასუხისგებაზეა საუბარია, ეს იმ პარლამენტარების მიმართ უნდა იყოს, ვინც ეს კანონი მიიღო.

**— ბატონო გოჩა, „ქართუ" ბანკში ქონების ხელყოფის საქმეში ამოტივტივდა ლაურა ღაჭავას, გიორგი ისაკაძისა და სხვა ბიზნესმენთა საქმეები. ამაზეა საუბარი?**

— კონკრეტულად, ჯერ არ ვიცი, ლაურა ღაჭავა დგას ამ ფირმების უკან თუ ვინ, თუმცა საქმის მასალებიდან გამომდინარე, მალე დაზუსტდება.

**— გოგა ხაჩიძემ თქვა, ადეიშვილის წინააღმდეგ ჩვენებას მხოლოდ ერთი კაცი, მისი მარჯვენა ხელი და ყოფილი მოადგილე, დავით ჩხატარაშვილი აძლევსო...**

— ამ ფაქტზე საუბარია პროკურატურის მიერ პირველად წაყენებულ ბრალდებაში. შეიძლება ითქვას, ასეა. მართალია, გამოძიება ამტკიცებს, რომ ბევრი მტკიცებულება აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, რასაც ჩვენ გავეცანით, მას ეყრდნობა, თუმცა ამ დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებ, დაცვის ხაზის დეტალების ჩამოყალიბებამდე ამაზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ვისაც სასამართლო პროცესებზე მოწმეებად დაუძახებენ, ყველა მოვა და ყველაფერი გაირკვევა.

**— ბატონო გოჩა, ადეიშვილის ადვოკატად ვინ აგიყვანათ, მასთან გაქვთ კონტაქტი?**

— არა, პირადად მასთან, არა... მამამისთან გვაქვს ურთიერთობა.

**— ერთხანს ამბობდნენ, თითქოს ადეიშვილი სასამართლო პროცესზე ჩამოსვლას აპირებს. მერაბიშვილისგან მოდიოდა ეს ინფორმაცია...**

— მერაბიშვილს უნდა ჰკითხოთ, მე არ ვიცი, თუმცა ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ, ადეიშვილის საქმის სასამართლო პროცესები ღია და საჯარო იყოს, რადგან საზოგადოებამ ამ პროცესებს თვალი ადევნოს! საქმის მასალებიდან გამომდინარე, როგორც იურისტმა, მინდა აღვნიშნო, რომ წმინდა სამართლებრივად, ბრალის დადასტურება არასაკმარისად მიმაჩნია. ამას უნდა ჩამოსცილდეს პოლიტიკური სარჩული და ადეიშვილის საქმის განხილვა წმინდა სამართლებრივი კუთხით უნდა მოხდეს.

## „ვერსიამ" იმ მასალების ნაწილი მოიპოვა, რომლითაც ადეიშვილს ერთ-ერთი ბრალი წაუყენეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, **ჯაბა ებანოიძემ** გამოძიებასთან ითანამშრომლა და აჩვენა, რომ 2011 წლის ნოემბრის დასაწყისში, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, საკუთარ კაბინეტში დაიბარა. ზურაბ ადეიშვილმა ჯაბა ებანოიძეს ,,ქართუ ბანკის" გაკოტრების სქემა გააცნო და მისი განხორციელება დაავალა. ჯაბა ებანოიძემ კი, თავის მხრივ, ამის შესრულება შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს იმჟამინდელ უფროს მამუკა ლაშხიასა და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ოთარ აგლაძეს უბრძანა. აღნიშნული პირები დაუკავშირდნენ „ნაცმოძრაობასთან'" დაახლოებულ იმ ბიზნესმენებს, რომელთა კომპანიებსაც ,,ქართუ ბანკში" საკრედიტო დავალიანება ჰქონდათ, მათ შორის — მცხეთა-მთიანეთის იმდროინდელი გუბერნატორის, **ცეზარ ჩოჩელის** შპს ,,ინტერპლასტს", **შსს-ს იმჟამინდელი კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის, ერეკლე კოდუას ახლო ნათესავების საწარმოებს — ს/ს ,,პირიმზესა'' და შპს ,,სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ღაჭავას", მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელის, გიორგი ისაკაძის საწარმოებს — შპს „ლოგოსსა" და ამხანაგობა „თეთრ სახლს"**. ამ სქემაში სხვა კომპანიებიც მონაწილეობდნენ, რომლებსაც ,,ქართუში" საკრედიტო დავალიანება ჰქონდათ: **შპს ,,კავკასუს სირიალ კომპანი", შპს ,,საქართველოს ღვინოები", შპს ,,ხოხობი", შპს ,,ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსი", შპს ,,ვია ესტ ვიტა", შპს ,,თოლია", ს/ს ,,თბილისის უნივერსალური სავაჭრო ბაზა", შპს ,,პროგრესი", ს/ს ,,ოკამი", შპს ,,ვაზი 2002", შპს ,,უნივერსალ სერვისი", შპს ,,გრემფილდ ჯორჯია", შპს ,,მალი ჯგუფი", შპს ,,პროფესიონალი" და შპს ,,ალს პლუსი".**

სქემის მიხედვით, ამ კომპანიებს ლეგიტიმური საფუძველი უნდა შექმნოდათ, რომ ბანკიდან მიღებული მილიონობით ლარის კრედიტი აღარ დაებრუნებინათ და, პრაქტიკულად, მიეთვისებინათ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსნებთან შეთანხმებით, ყველა ამ კომპანიის ხელმძღვანელმა აღიარა არარსებული საგადასახადო დავალიანება, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კი, ფიქტიური აუქციონი ჩაატარა, სადაც არც ერთი ქონება არ გაყიდულა. ამის შემდეგ, აუქციონზე გატანილი ქონება ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, გაიყიდა. 2012 წლის დასაწყისში, იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს, დავით გიორგაძეს პირადად დაავალა, რომ პირდაპირი მიყიდვის წესით, აღებული კრედიტების 10%-ის ფარგლებში, ყველა ეს ქონება იმ კომპანიებისთვის გადაეცა, რომლებსაც შემოსავლების სამსახური გაუგზავნიდა. ამგვარად, ყველა ეს ქონება იმ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებზე გაიყიდა, რომლებიც პირდაპირ, ან ირიბად უკავშირდებიან ამავე ქონების ყოფილ მეპატრონეებს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ,,ქართუ ბანკის" გაკოტრების ეს სქემა ცეზარ ჩოჩელის კუთვნილი შპს ,,ინტერპლასტის" მაგალითზე გაშიფრა. შპს ,,ინტერპლასტი" 2006 წლის 25 დეკემბერს დააფუძნა ცეზარ ჩოჩელმა — 13%, **იაგო ჩოჩელმა** — 10%, **დევი ოვაშვილმა (ყოფილი დეპუტატი)** — **10%** და კომპანია ,,ლიმბოლტონინტერნეიშენალმა" — 66%. 2007 წლის 7 მარტს, ,,ქართუ ბანკსა" და ,,ინტერპლასტს" შორის გაფორმდა გენერალური ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, კომპანიამ, ჯამში, 11 848 148 აშშ დოლარის კრედიტი მიიღო. ამ სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ,,ინტერპლასტის" კუთვნილი ქონება — 55 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რომელიც მდებარეობდა თბილისში, სოფელ დიდ ლილოში. 2011 წლის დეკემბერში, ჯაბა ებანოიძის უშუალო დავალებით, მამუკა ლაშხიამ და ოთარ აგლაძემ შპს ,,ინტერპლასტის" გენერალური დირექტორი ნიკა ყუბანეიშვილი დაიბარეს. კომპანიის სხვა დამფუძნებლებთან შეთანხმებით, ნიკა ყუბანეიშვილმა საგადასახადო ორგანოში წარადგინა ყალბი საგადასახადო დეკლარაცია, თითქოს შპს ,,ინტერპლასტს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ 34 000 000 ლარის დავალიანება ჰქონდა. შესაბამისად, იმ საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, რომელიც სპეციალურად ,,ქართუ ბანკისთვის" მიიღეს, შემოსავლების სამსახურს ხელოვნურად წარმოეშვა ლეგიტიმური უფლება, ამ კომპანიისთვის გადასახადი დაეკისრებინა ისე, რომ ,,ქართუ ბანკის" კანონიერი ინტერესი არ გაეთვალისწინებინა. შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, 2012 წლის 30 იანვარს, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დანიშნა აუქციონი, რომელზეც შპს ,,ინტერპლასტის" ქონება უნდა გაყიდულიყო. აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსის, ნიკოლოზ მელიას ორგანიზებით, ფიქტიურ აუქციონში მონაწილეობის უფლება მისცეს ,,ნაცმოძრაობის" მიერ კონტროლირებად კომპანიას, რომელიც ოფშორულ ზონაში იყო დარეგისტრირებული. რაც მთავარია, ამ კომპანიას აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, სავალდებულო საგარანტიო თანხა — 301 950 ლარი წინასწარ არ გადაუხდია. გამოძიებით დადგინდა, ამ კომპანიის მიზანი, რეალურად, ის იყო, ელექტრონულ აუქციონზე გამართულ ვაჭრობაში მონაწილეობა მოჩვენებითად მიეღო, რათა სხვა მყიდველებისთვის არაგონივრული და არარეალურად მაღალი ფასი შეეთავაზებინა. ამავე აუქციონში მონაწილეობდა ,,ქართუ ბანკიც", მაგრამ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ცრუ კონკურენტმა გაიმარჯვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულმა ამ კომპანიამ კანონით დადგენილ ვადაში, შეგნებულად არ გადაიხადა ქონების საფასური, მაგრამ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მისთვის ფინანსური სანქცია არ დაუკისრებია. იმის გამო, რომ აუქციონი ჩაიშალა, განმეორებითი აუქციონი მოეწყო და მზადყოფნა გამოთქვა, 3 000 000 ლარიც კი გადაეხადა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებას დაფარავდა. მიუხედავად ამისა, შპს ,,ინტერპლასტის" ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში ანუ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე მოექცა და, პირდაპირი მიყიდვის წესით, 2 000 000 ლარად ანუ ,,ქართუს" მიერ შეთავაზებულზე 1 000 000 ლარით ნაკლებ ფასად, საკუთრებაში გადაეცა შპს ,,ტექინვესტს". არადა, შპს ,,ტექინვესტის" 100%-იანი წილი შეისყიდა შპს ,,ინტერპლასტის" დირექტორის მოადგილე ვლადიმერ ნარტყოშვილმა, რაც იმას ნიშნავს, რომ ,,ქართუ ბანკისთვის" წართმეული ქონება, შენიღბული გზით, ისევ შპს ,,ინტერპლასტის" დამფუძნებლების საკუთრებაში აღმოჩნდა.

გამოძიების პროცესში სხვა მეწარმეებიც დაიკითხნენ. **მაგალითად, ს/ს ,,ეკრანის" მფლობელმა, ირაკლი შიხიაშვილმა გამოძიებას უჩვენა, რომ 2011 წელს, ,,ქართუ ბანკში", ამ საწარმოს სახელით, 400 000 აშშ დოლარის კრედიტი აიღო. 2011 წლის ნოემბერში, ირაკლი შიხიაშვილი დაიბარა ჯაბა ებანოიძემ და ,,ქართუ ბანკის" გაკოტრების სქემა გაანდო, რომელიც იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის იდეა იყო.** ჯაბა ებანოიძემ ირაკლი შიხიაშვილს არარსებული დავალიანების აღიარება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზურაბ ადეიშვილის სახელით დაემუქრა. ირაკლი შიხიაშვილი ჯაბა ებანოიძის წინადადებას დათანხმდა და მამუკა ლაშხიას, ასევე, ოთარ აგლაძის დახმარებით, ნებაყოფლობით აღიარა, რომ სახელმწიფოს წინაშე 4 000 000 ლარის დავალიანება ჰქონდა(!). ამის შემდეგ, მოვლენები იგივე სცენარით განვითარდა, ანუ ს/ს ,,ეკრანის" ქონება, რომელიც ,,ქართუ ბანკში" იპოთეკით იყო დატვირთული, ნატურით გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს. პირდაპირი მიყიდვის წესით კი, ეს ქონება შპს ,,კოლოსმა" შეისყიდა, რომელიც ირაკლი შიხიაშვილის კონტროლირებადი კომპანია იყო.

გამოძიების პროცესში კიდევ ერთი დანაშაულებრივი ფაქტი გამოიკვეთა, რომელიც ყოფილ პრემიერ-მინისტრს, **ნიკა გილაურს** უკავშირდება. ზოგიერთ კომპანიას, მაგალითად, შპს ,,ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსს", რომელსაც პირად ბარათზე 25 210 843 ლარის საგადასახადო დავალიანება ერიცხებოდა, **ნიკა გილაურის ბრძანებით**, საგადასახადო შეთანხმება გაუფორმდა 1 000 ლარზე. ს/ს ,,უნივერსალ სერვისს", რომელსაც პირად ბარათზე 11 167 055 ლარის საგადასახადო დავალიანება ერიცხებოდა, საგადასახადო შეთანხმება მხოლოდ 3 000 ლარზე გაუფორმდა. მსგავსი კომიკური საგადასახადო შეთანხმებები გაუფორმეს შპს ,,ხოხობს", შპს ,,უნო პრიმს" და შპს ,,ქონების მართვის კომპანიას".

**„ქართუ ბანკის" მიზანმიმართულ გაკოტრებაში ბრალდების თანახმად, ზემოხსენებული ბიზნესმენები მზად არიან, ბანკს ზარალი აუნაზღაურონ და გენერალურ დირექტორს, ნოდარ ჯავახიშვილს თხოვნით მიმართავენ, რომ გადახდის გრაფიკი გაწეროს. ბიზნესმენები თავს დაზარალებულად მიიჩნევენ. როგორ განვითარდება პროცესები და დაიბარებენ თუ არა ნიკა გილაურსა და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს კიდევ ერთხელ საგამოძიებო სტრუქტურებში, ეს უკვე მაკონტროლებელი უწყებების პრეროგატივაა.**

***P.S.* *20 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ „ქართუ ბანკის" საქმეზე ბრალდებულებს — შემოსავლების სამსახურის ყოფილ უფროს ჯაბა ებანოიძეს, ამავე სამსახურის ყოფილ მაღალჩინოსნებს — ოთარ აგლაძეს, მამუკა ლაშხიას, რომან ჩხენკელსა და ძველი თბილისის რაიონის გამგებელ ნიკოლოზ მელიას გირაო შეუფარდა, კერძოდ: ებანოიძეს 30 ათასი, მელიას 25 ათასი, აგლაძესა და ლაშხიას 8-8 ათასი, ხოლო ჩხენკელს 15 ათასი ლარის ოდენობის.***

***რაც შეეხება საქმეზე კიდევ ერთ ბრალდებულ, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილს, მას სასამართლომ, აღმკვეთი ღონისძიების სახით, დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა, რადგან იგი ქვეყანაში არ იმყოფება.***

***მომდევნო სასამართლო პროცესი 7 მარტს ჩაინიშნა.***



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# გოკა გაბაშვილი ეჭვობს, რომ „ოცნებამ“ რუსეთთან სიტყვიერი ხელშეკრულება გააფორმა

**საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი გოკა გაბაშვილი პოლიტიკურ ამნისტიას, როგორც ირკვევა, დამარცხებულის პოზიციიდან უყურებს, ათასობით პატიმრის გამოშვებას ქვეყნისთვის საფრთხისმომტან ინიციატივად, 200-მდე პოლიტპატიმრიდან უმრავლესობას კი, დამნაშავედ მიიჩნევს და პრეზიდენტის დაგვიანებულ ინიციატივებს ამართლებს. „ვერსია“, „ქართული ოცნების“, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, საშინაო და საგარეო ფიასკოებზე „ნაციონალ“ გოკა გაბაშვილს ესაუბრა.**



**— საპრეზიდენტო ბერკეტებს ართმევენ თქვენს პარტიას, ბატონო გოკა...**

— ნაციონალურ მოძრაობას არც მთავრობისა და არც პარლამენტის დათხოვნის სურვილი არ აქვს. ჩვენ რომ კონსტიტუციური ბერკეტების გამოყენება გვდომებოდა, ამას ოქტომბერშიც გავაკეთებდით. შესაბამისად, აჯობებს, ეს ეჭვიანობა და შეთქმულების თეორიებზე შფოთვა შეწყვიტონ! ყველა მინისტრი მთავრობაში „ქართული ოცნებისაა“, მას საპარლამენტო უმრავლესობაც ჰყავს და ამიტომ, სანერვიულო არაფერი აქვს.

**— „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა, როგორც ამბობენ, პრეზიდენტისთვის მთავრობის დათხოვნის ხელშეშლის საკითხშიც აქვს.**

— „ქართულ ოცნებას“ ერთ საკითხშიც კი არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ეს მხოლოდ პოლიტიკური თამაშია, ოღონდ ახლა, თამაშებზე კი არა, იმაზე უნდა ფიქრობდნენ, რომ იმპორტი, ექსპორტი და ეკონომიკური მაჩვენებლები შემცირდა, სერიოზული პრობლემები აქვთ შემოსავლებშიც. პოლიტთამაშების სურვილი რომ გვქონოდა, ამის ყველა საშუალებას ჯერ კიდევ ოქტომბერში გამოვიყენებდით, თუმცა „ოცნებამ“ არჩევნებში მოსახლეობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა მიიღო, რასაც პატივი ვეცით, მას მართვის ბერკეტები გადავეცით და ქვეყნის შენებაზე ზრუნვა დავუთმეთ. ამის მერე ოპოზიციაში ვართ და ეს საკითხი გარკვეულია — არავითარ შეთქმულებებსა და ქვეყანაში კრიზისების მოწყობას არ ვაპირებთ, ბოლოს და ბოლოს, მთელი 9 წელი კრიზისებს ვებრძოდით!

**— მგონი, არ კი არა, უფრო ველარ აპირებთ, რადგან თქვენს რიგებს დეპუტატები პერმანენტულად ტოვებენ და „ოცნებაში“ მიდიან...**

— არ ვიცი, უფრო გასაგებად როგორ ვთქვა: „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავს!

**— რა ვიცი, აკაკი ბობოხიძემ მითხრა, თუ ამ საკითხზე უმრავლესობა მაინც შედგა, „ნაციონალები“ დარბაზს დავტოვებთო, ანუ გამოდის, რომ ამ მიმართულებით მოქმედების გეგმას მაინც ამუშავებთ?**

— არა! დღევანდელი მდგომარეობით, „ოცნებას“ უმრავლესობა არ ჰყავს-მეთქი და არც მოგვიანებით ეყოლება! ამ ეტაპზე, ასეთ რეალობას არც კი ვუშვებ. მეტიც, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი ქუთაისში დარჩება, თან ამ საკითხებზე კენჭისყრა ფარული არ იქნება და იქ გამოჩნდება, ვის რა უმრავლესობა ჰყავს.

რაც შეეხება „ნაციონალებიდან“ გადინებას, ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ჩვენს პარტიაში ყოველთვის იყო და იქნება რამდენიმე ადამიანი, ვინც მორალურად და ფსიქოლოგიურად მზად არ იყო, ოპოზიციაში ყოფილიყო.

**— ახლაც არიან ისეთები, ვინც „ოცნების“ მიმართ სიმპათიას ღიად გამოხატავს, მაგალითად, პაატა ლეჟავა.**

— ახლა, თქვენ მეუბნებით, მეპარება თუ არა ეჭვი ნაციონალური მოძრაობის რომელიმე წევრის წესიერებასა და პატიოსნებაში? გპასუხობთ — არ მეპარება და რამდენჯერაც უნდა მკითხოთ, იმდენჯერ ასე გიპასუხებთ, თუმცა წინასწარ ვერავინ იტყვის, მოვლენები როგორ განვითარდება, რადგან „ოცნება“ სხვადასხვა მეთოდს იყენებს. მაგალითად, იაშა შერვაშიძის შვილი დაიჭირეს, მან კი ამ ზეწოლას ვერ გაუძლო. გოზალიშვილის შვილზე საქმე იყო აღძრული, კაცს შეეშინდა და „ოცნებაში“ გადავიდა.

**— ალბათ, არ მოგწონთ თქვენივე მეთოდებით რომ გებრძვიან, არა?**

— გამახსენეთ უმცირესობიდან უმრავლესობაში გადაყვანის თუნდაც ერთი მსგავსი შემთხვევა.

**— მაშინდელი უმცირესობა ისედაც თქვენი იყო, წინასაარჩევნო პერიოდში კი, „ოცნების“ ლიდერებს აპატიმრებდით, ბინებს უყადაღებდით, მათი ოჯახის წევრებს სამსახურებიდან უშვებდით. მაგალითად, ფრაქცია „ოცნების“ თავმჯდომარის მთელი სანათესაო სამსახურებიდან გაყარეთ.**

— ახლა გინდათ, პოლიტიკური დებატები გავმართოთ? მაშინ ასე გეტყვით: დეპუტატები ჩვენს გუნდში ასე არასოდეს „გადმოგვიქაჩავს“. რაც შეეხება იმას, რომ ვიღაცის ვიღაცა დაიჭირეს ან სამსახურიდან გამოაგდეს, დანაშაულისა თუ პროფესიული შეცდომების გარეშე, ასე არავის მოქცევიან.

**— დანაშაულისა და შეცდომების თემა რომ გავაგრძელოთ, პრემიერის ინიციატივას როგორ აფასებთ პოლიტიკური ამნისტიის შესახებ?**

— თუ პოლიტიკური დევნის შეწყვეტა სურთ, რასაც მთელი მსოფლიო ხედავს, უბრალოდ, ადგნენ და ჩვენი დევნა შეწყვიტონ. პატიებასა და შენდობას არავის სთხოვს. ჩვენ რეჟიმი კი არა, ხალხის მიერ არჩეული, 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში მყოფი მთავრობა ვართ, რომელმაც ეს ქვეყანა, პირდაპირი მნიშვნელობით, ააშენა და ამის გამო, ბოდიშის მოხდას არავინ აპირებს! არავის შენდობა, დანდობა და პოლიტიკური შეწყალება ჩვენ არ გვჭირდება! რამე კონკრეტული დანაშაული თუა გამოსაძიებელი, კი, ბატონო, გამოიძიონ. პოლიტიკური ბრძოლა თუ უნდათ, კი, ბატონო, იყოს პოლიტიკური ბრძოლა, ოღონდ ბოდიშის მოხდა არ იქნება!

**— „ოცნებას“ ბოდიში რაში სჭირდება, აქ ხალხთან დიალოგზეა საუბარი! განა, არ აღიარებთ, რომ ამ 9 წლის განმავლობაში შეცდომები დაუშვით?**

— ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ არჩევნების შედეგების მიხედვით ნახა, დაუშვა თუ არა შეცდომა. ჩვენი ძალა ჯერაც ამ შეცდომების გაანალიზების პროცესშია, თუმცა დიახ, ვამბობ, რომ ბევრი საკითხის სხვანაირად გადაწყვეტა შეიძლებოდა, ასევე, უკეთესი იქნებოდა, ზოგიერთი რეფორმა ნაკლებად მკვეთრი ყოფილიყო...

**— ირაკლი ოქრუაშვილსაც თქვენი გუნდის შეცდომას უწოდებდით, მაგრამ მის გამოშვებაზე შეფასება ერთ „ნაციონალსაც“ არ გაუკეთებია მაშინ, როცა ამბობდით, ნახავთ, ციხეში სიმბოლურად, რამდენიმე დღეს გაატარებს და ახალი მთავრობა გამოუშვებსო.**

— მერე, რა გინდათ, ხომ გამოვიდა 2 დღეში? რა თქმა უნდა, ეს უკვე მკაფიო შეთანხმებაა ახალ ხელისუფლებასთან. მართალია, ის არ მომისმენია, ამ შეთანხმებაზე როგორ ლაპარაკობდნენ, მაგრამ იმდენად ცხადია ამ შეთანხმების არსებობა, რომ სასაუბროც არაფერია. ისე, ვფიქრობ, ეს ორივე ძალა, არსობრივად, ერთი და იგივე პოლიტიკური მხარეა.

**„როცა კაცი, ომის დროს, საკუთარი ქვეყნის შეიარაღებული ძალების კოორდინატებს აწვდის მოწინააღმდეგე ქვეყნის ავიაციას, ის პოლიტპატიმარი ვერ იქნება, რამდენიც უნდა გაიჭაჭონ კაკაბაძე და ბესელია!“**

**— და ორივე თქვენი განაყარი, სხვათა შორის!**

— დიახ, და პოლიტიკური ძალები სწორედ მსგავსი შეუთანხმებლობის გამო იყრებიან ხოლმე, თუმცა ოქრუაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების დიდ პერსპექტივას ვერ ვხედავ. ადამიანს, რომელიც ჩემი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი იყო და მერე, წლების განმავლობაში, რუსეთის პროპაგანდის ჭანჭიკად იქცა, ამ ქვეყანაში დიდი პერსპექტივა არ შეიძლება ჰქონდეს!

**— ოქრუაშვილი გამოვიდა, ბადრი ბიწაძე ჩამოვიდა, 200 პოლიტპატიმარი და 25 პოლიტდევნილი გყოლიათ, პლუს, „ოცნების“ მადლიერი ათასობით ამნისტირებული პატიმარი... ამაზე რას იტყვით?**

— ამნისტია, თავისთავად, ჰუმანური აქტია, მაგრამ ამ ამნისტიას ბევრი ხარვეზი აქვს. მხოლოდ ჩვენი კი არა, შს სამინისტროსა და პროკურატურის შენიშვნებიც არ გაითვალისწინა უმრავლესობამ, თანაც ამნისტიაზე სწორ მექანიზმად, შეწყალება და ვადაზე ადრე გათავისუფლება მიმაჩნია, რადგან ასე ყველა შემთხვევის შესწავლა ინდივიდუალურად მოხდება. პოლიტპატიმრების თემა კი, საერთოდ გაუგებარი და აბსოლუტურად უკანონოა!

**— რატომ? ორასივე ადამიანი ხომ თქვენი მმართველობის დროს, სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენის გამო დაიჭირეს?**

— როცა ერთი ადამიანი მეორეს სახლიდან ჩამოიყვანს, ამოიღებს იარაღს და 4 ტყვიას დაახლის მუცელში, ის პოლიტპატიმარი ვერ გახდება! როცა ადამიანი აიღებს დანას, დაარტყამს მეორეს ბარძაყში, გადაუხსნის არტერიას და დააკარგვინებს 3 ლიტრ სისხლს, ვერც ასეთი ადამიანი გახდება პოლიტპატიმარი. როცა კაცი, ომის დროს, საკუთარი ქვეყნის შეიარაღებული ძალების კოორდინატებს აწვდის მოწინააღმდეგე ქვეყნის ავიაციას, ის პოლიტპატიმარი ვერ იქნება, რამდენიც უნდა გაიჭაჭონ კაკაბაძე და ბესელია, თუმცა ეს ყველაფერი დროებითია, მათ შორის, არჩევნებში გამარჯვების შემდგომი ეიფორიაც და მომავალში, ხალხი ამას ადეკვატურად შეაფასებს.

**— ადეკვატური შეფასებების მომავალი როდის დადგება, ვადამდელ არჩევნებზე ხომ არა, რომელიც შეიძლება, აპრილში ჩატარდეს?**

— რატომ უნდა ჩატარდეს? საქართველოში ძალიან უყვართ შეთქმულებები, მე კი, არ მიყვარს. საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომაზეა და შესაბამისად, ოქტომბერში ჩატარდება ისევე, როგორც, მოგვწონს თუ არა, 4 წლის განმავლობაში იფუნქციონირებს არჩეული პარლამენტი ამ შემადგენლობით!

**— თქვენ კი ძალიან არ მოგწონთ ამნისტიები, მაგრამ როცა პრეზიდენტი ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის ინიციატივით გამოვიდა, ეს გიგი უგულავას არაპირდაპირ დაცვას ჰგავდა, რადგან ყველამ ვიცით, რომ „ოცნება“ უგულავას სწორედ ეკონომიკურ დანაშაულზე მოედავება.**

— კარგად გვესმის, რომ ჩვენი პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ მანქანა ამოქოქილია და მუშაობს! აქ არაფერ შუაშია პრეზიდენტის ინიციატივა უგულავას დაცვასთან — ეს, თავისთავად, სწორი ინიციატივაა.

**— ბოდიში, აქამდე სად იყავით, როცა ზუსტად იგივეს თქვენგან პოლიტიკური ოპოზიცია ითხოვდა?**

— ათასი სხვა იდეა გვქონდა აქამდე, მათ შორის, საგადასახადო ამნისტიაც, თუმცა ახლა, უკვე სხვა პოლიტპატიმრის განცხადებების განხილვას ველოდებით. ველით, იგორ გიორგაძისა და „კოჭოიას“ პოლიტპატიმრობასაც. ამ პროცესს უარყოფითად ვუყურებ და ეს ქვეყანაზეც უარყოფითად აისახება. ეს ვითარება 1920 წელს მაგონებს, როცა რუსეთის ყველა ჯაშუში, რუსეთთან ხელშეკრულების საფუძველზე, ციხიდან გამოუშვეს! „ქართულ ოცნებას“, იმედია, ასეთი ხელშეკრულება არ დაუდია, მაგრამ რაღაც სიტყვიერი შეთანხმება, როგორც ჩანს, მაინც არსებობს! არ ვიცი, რაში მდგომარეობს „ოცნების“ შეუკავებელი სურვილი, პოლიტპატიმრებად აღიაროს ხალხი, ვინც ამერიკის საელჩოსთან ბომბებს დებდა. ეს ქვეყნის იმიჯისთვის, უსაფრთხოებისთვის, ინტერესებისთვის მძიმე იქნება! „ქართულ ოცნებას“ აქვს ფიასკო საგარეო ფრონტზე და აქვს დაძაბული ურთიერთობა ყველა მეზობელთან — აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, გაგვირთულდა ურთიერთობები ევროპასთან.

**— ამ ბრალდებებს უსაბუთოდ ვერ მივიღებ — არასოდეს აკონკრეტებთ, როცა მაია ფანჯიკიძის ფიასკოებზე საუბრობთ. ამიტომ ახლა უნდა დააკონკრეტოთ!**

— შეგიძლიათ, ნახოთ საპარლამენტო ასამბლეის ყველა განცხადება, ევროკავშირის განცხადება. ეს არის აბსოლუტური გაუაზრებლობა, უვექტორობა საგარეო პოლიტიკაში. ხან ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის კრიტიკა დაიწყეს, ხან ბატონი ივანიშვილი ამბობდა, ამერიკა-ევროპის პოზიციების მოგერიებით ვარ დაკავებულიო. განუსაზღვრელობა და გაუაზრებლობა საგარეო პოლიტიკაში ნათელია!

## ვერსიანიუსი

### მექსიკაში 150-ზე მეტი პოლიციელი და ჩინოვნიკი დააკავეს



მექსიკის ჩრდილოეთში, დურანგოს შტატში, 150-ზე მეტი პოლიციელი დააკავეს. ისინი ეჭვმიტანილნი არიან ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან კავშირში.

შტატის ორ ქალაქში — გომეს-პალასიოსა და ლერდოში, ასევე დააკავეს ჩინოვნიკები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე.ოპერაციის მსვლელობისას სამხედრო ნაწილებმა ორივე ქალაქში ალყა შემოარტყეს პოლიციის განყოფილებებს.

მექსიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი ენრიკე პენია ნეტო აცხადებს, რომ კორუფციასთან ბრძოლა მისი ადმინისტრაციის უმთავრესი პრიორიტეტია.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

### შსს-მ ქვემო სვანეთში საბრძოლო მასალა ამოიღო




შინაგან საქმეთა სამინისტროს ცაგერის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცაგერის რაიონის სოფელ ლაილაშში მცხოვრები, ადრე ქურდობისთვის ნასამართლევი ლაშა თ. დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, კარაბინის 120 და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის „მ-4“-ის 30 ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 3-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ შედგება!“



## „ოცნებელ“ გედევან ფოფხაძეს ბერად აღკვეცა პალიკო კუბლაშვილმა გადააფიქრებინა?!



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**ამნისტიის კანონი, პოლიტიკური პატიმრებისა და პოლიტიკური დევნილების გათავისუფლება — ამ, ყველაზე ხმაურიან საკითხებს რამდენიმე თვეა, „ოცნების“ ბორჯომის მაჟორიტარი გედევან ფოფხაძე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტიდან „ექიდება“. ხულიგნობის მუხლის მესამე ნაწილით საქმეაღძრული დეპუტატი „ვერსიის“ უხერხულ შეკითხვებს პასუხობს და არც იმის თქმას ერიდება, სად სცდება მისი და კოალიციის აზრები ერთმანეთს. გედევან ფოფხაძესთან საუბარი, ცხადია, მისი და „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი გენდირექტორისა და ყოფილი გენპროკურორის, სკანდალური ფილმის — „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ ავტორის, ნიკა გვარამიას მეგობრობით დავიწყე.**

## ბორჯომის მაჟორიტარის „ნაციონალი“ მეგობრები და პოლიტიკური „რა, სად, როდის“

— ჩემი და ნიკა გვარამიას მეგობრობა არ გადაიხედება. როცა ნიკა სახელისუფლო ბანაკს წარმოადგენდა, მე ოპოზიციაში ვიყავი, მაგრამ ნიკას ჩვენი მეგობრობა არ გადაუხედავს. პირიქით, ყოველთვის მიცავდა და ცდილობდა, ჩემთვის პრობლემები აერიდებინა. 2003 წელს ბორჯომის გამგებელი ვიყავი და 22 ნოემბერს „აღორძინების“ მიტინგზე ვიდექი. მაშინ მოსახლეობის უმრავლესობა ბარიკადების მეორე მხარეს აღმოჩნდა. ჩემსა და „ნაციონალებს“ შორის მკვეთრი წყალგამყოფი გაივლო და მივხვდი, რომ მომდევნო 8 წლის განმავლობაში, თეორიული შანსიც არ არსებობდა, მათთან საერთო ენა გამომენახა, თუმცა ჩემი რამდენიმე „ნაციონალი“ მეგობარი ადამიანურად ცდილობდა, მორალურად არ გავმტყდარიყავი.

ახლა რაღაცას მოგიყვებით: როცა გამგებლის პოსტიდან გადავდექი, მეუფე სერაფიმეს კურთხევით, ბეთანიაში წავედი და უკან დაბრუნებას არ ვაპირებდი, მაგრამ ჩემთან პალიკო კუბლაშვილი მოვიდა და მითხრა, პოლიტიკური ცვლილებების გამო, ამ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ, თუ ეს შენი მსოფლმხედველობრივი აზრი არ არისო. გვერდით დამიდგა ნიკა გვარამიაც, რომელიც მე და ჩემი ოჯახის წევრებს რეპრესიებისგან გვიცავდა. ეს არ დამავიწყდება! ვგრძნობდი, ჩემი მეგობრები, ოპოზიციაში ყოფნის გამო, ხელს არ მკრავდნენ. სისხლის სამართლის დამნაშავე რომ ვყოფილიყავი, ვერც ისინი დამიცავდნენ და ვერც — სხვა ვინმე. ეს ადამიანები ჩემს დასახმარებლად იბრძოდნენ.

პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, არ მგონია, გვარამია ასეთი ადვილი ხელწამოსაკრავი იყოს, მაგრამ დანაშაული რომ ჰქონდეს ჩადენილი, ამის გამო ჩემი მეგობარი აღარ უნდა იყოს? — რა სისულელეა! მისი დაკავებისთვის პოლიტიკური შეფასება არ მიმიცია. უბრალოდ, როცა ქვეყანაში რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები ხდება, მას ემოციაც ახლავს, თუმცა „ვარდების რევოლუციისგან“ განსხვავებით, ჩვენს პოლიტიკურ ბანაკს, მგონი, ცოტა უფრო ცივილური ხედვა აქვს. ყოველ შემთხვევაში, გვარამიასთან დაკავშირებული ჩემი საჯარო პოზიციის გამო, „ოცნებიდან“ საყვედური არ მიმიღია და თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ გედი ფოფხაძემ არასწორი ნაბიჯი გადადგა და ამას არ მეუბნება, ეს მისი პრობლემაა და არა — ჩემი!

**— რაკიღა „უფრო ცივილურები ხართ“, ამის გამო 2003 და წლევანდელ მოვლენებს შორის, რაც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ხდება, პარალელს ვერ ავლებთ?**

— „ნაციონალები“ პარლამენტში შეიჭრნენ, ჩვენ კი, მსგავსი არაფერი გვიქნია. 2003 წელს, ჯერ კონსტიტუციური ცვლილებები მომხდარი არ იყო, როცა „ნაციონალები“ ჩემს გამგეობაში ავიდნენ, სამფეროვანი დროშა ჩამოხსნეს და ხუთჯვრიანი დროშა ააფრიალეს. კლასიკური სახელმწიფო გადატრიალებაა, როცა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშას ცვლი, ჩვენ კი, მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლია. ვინც პირველი ოქტომბრის არჩევნებზე ბორჯომში ჩვენი კონკურენტი იყო, მამუკა ხვედელიანი, დადიოდა და პოლიციელებს ეუბნებოდა, 5-6 თვეში ისევ დავბრუნდებითო. ამის გამო ხალხი დაიძაბა. ცხადია, არსებობს ამის სამართლებრივი მექანიზმები — პარლამენტის დაშლა, ძალოვანი მინისტრების გადაყენება და საკუთარი მთავრობის დანიშვნა და ესეც, პრაქტიკულად, კონსტიტუციური გადატრიალება იქნება!

**— „ოცნება“ პრეზიდენტს ამ მექანიზმს ართმევს. მოვლენათა განვითარების ეს ვერსია რეალურად მიგაჩნიათ?**

— აბა, ახლა მაგას როგორ დავუშვებთ?! სხვათა შორის, ამას არც ხალხი დაუშვებდა და სამოქალაქო დაპირისპირებაც მოხდებოდა! მე ხომ მაინც ვიცი, მაშინ როგორ აირჩიეს საკრებულო და იქ საკითხები როგორ წყდებოდა? ერთ ამბავს მოგიყვებით: რაღაც საკითხზე ჩემი აზრი საკრებულოს „ნაციონალმა“ დეპუტატებმა გაითვალისწინეს, მაგრამ მეორე დღეს, საკრებულოს სხდომა კუდ-მა ჩაატარა და სხდომაზე არ შემიშვა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ხულიგნობის მუხლის მესამე ნაწილიც წამომიყენეს, რადგან მომხდარი გავაპროტესტე. აღმოჩნდა, რომ 18-მა კაცმა ჩემს წინააღმდეგ ჩვენება მისცა, თითქოს გამგებელი გავლახე. სხვათა შორის, ეს 18 ადამიანი წინა დღეს მეთანხმებოდა. ახლა, 18 კაცი რომ გეტყვის, აქლემი ხარო, უნდა იკითხო, ორკუზიანი თუ სამკუზიანიო?! „ნაციონალები“ 2008 წელს ასე საკუთარ საკრებულოს მოექცნენ და დღეს მათი დაშლის პროცესი ნამდვილად არ მიკვირს!

**— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცის კანონპროექტი პარლამენტში საკმარის ხმებს მიიღებს?**

— რა ვიცი, ასეთი განცდა მაქვს. ჩვენი რაოდენობა დღითიდღე იზრდება და არ მგონია, ეს ტენდენცია გაჩერდეს. ესაა ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა.

**— მერე, ასეთი მერყევი ადამიანების იმედი გაქვთ?**

— პროცესის იმედი მაქვს და ეს პროცესი იქით მიდის, რომ „ოცნებაში“ „ნაციონალებზე“ უკეთესი ადამიანები არიან.

**— „ოცნების“ უმრავლესობა ძველი „ნაციონალია“ და რითი არიან ძველ გუნდზე უკეთესნი ან ამ ორი ძალის პოლიტიკას შორის სხვაობა რა არის?**

— ჩვენ არჩევნების გზით მოვედით. 2 ოქტომბერს, ბორჯომის გამგებელმა განცხადება თავისი ხელით დაწერა და წავიდა, საკრებულომ კი, ჩემთან დაიწყო მოლაპარაკება, ვისაც შემოგვთავაზებ, იმას ავირჩევთო. ასე რომ, ინიციატივა ჩემგან არ წამოსულა, გარწმუნებთ. 2003 წელს კი, განცხადება რომ არ დამეწერა, შემომითვალეს, უბრალოდ, დაგიჭერთო. დღეს ქვეყანაში დემოკრატიის გაცილებით მაღალი ხარისხია, რადგან თავად კოალიციაა შიდადემოკრატიული.

**— თუკი ასეა, რომელიმე საკითხზე „ოცნებისგან“ განსხვავებული თქვენი პოზიცია მითხარით.**

— მკვეთრი განსხვავება ჯერ არც ერთ საკითხში ჩანს, შიდადონეზე კი, ჩემი პოზიციები ნამდვილად მაქვს, თუმცა პირდაპირ გეტყვით, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებით დიდად აღფრთოვანებული არ ვარ. ვფიქრობ, ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ამის აღქმა მენტალურად ცოტა რთული იქნება.

**— ისევე, როგორც ყოფილი საჯარო მოხელეებისა და „ნაციონალების“ პოლიტამნისტია?**

— გააჩნია, რა ჩაიდება პოლიტიკური ამნისტიის შესახებ კანონში. თუ მასში კონკრეტული მუხლები იქნება მოყვანილი, მაშინ, რა თქმა უნდა, „ნაციონალს“ ვერ ვეტყვით, ეს შენ არ გეხებაო, თუმცა ჯერჯერობით, კანონი არ არსებობს.

**— სამაგიეროდ, თქვენს მიერ გამოცემული დადგენილებით, ქვეყანაში 200 პოლიტპატიმარი და 25 პოლიტდევნილი გვყავს — ამ სტატუსის მინიჭების გაგრძელებას კვლავ გულუხვად აპირებთ?**

— ყველა ადამიანზე, ვინც ამ სიაში მოხვდა, პასუხს ვაგებ! ამნისტიის ის კანონიც, რომლის წყალობითაც რამდენიმე ათასი ადამიანი ციხიდან გამოვიდა, დადებით მოვლენად მიმაჩნია. ყველა პატიმარი კრიმინალური სამყაროს პოტენციური მრევლია. გედი ფოფხაძესაც შეეცვლება მენტალობა, 4-5 წელი ციხეში რომ გაატაროს. ციხის გარემო ზეგავლენას ყველაზე ახდენს.

**— ციხიდან გამოსული გედი ფოფხაძე დანით ივლის?**

— რატომ, იქ გამაუპატიურებენ?

**— ციხეში ახლაც აუპატიურებენ?**

— არა, სულ დავდივარ, პატიმრებს ვნახულობ, მათთან მუდმივ კონტაქტზე ვარ და მსგავსი არავის უთქვამთ.

**— მოკლედ, აპირებთ სისტემას „ნაციონალები“ პოლიტიკური ამნისტიით წაართვათ და ეს მაშინ, როცა ხალხის დიდი ნაწილი მოუთმენლად ელის მერაბიშვილის, ადეიშვილისა და სხვათა დაჭერას?**

— არჩევნების წინ მათი დაჭერა მეც მინდოდა, მაგრამ გადამიარა.

**— რატომ?**

— მეც ადამიანი ვარ და გაბრაზებული ვიყავი. მაინც ვფიქრობ, პრემიერის ინიციატივას არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს. კარგი იქნება, „ნაციონალებმა“ მუქარას თავი დაანებონ და მოინანიონ. ახლა მხოლოდ იმას აღიარებენ, შეგვეშალა, უფრო მაგრად უნდა დაგვესაჯეთო! „ოცნებას“ მათი აღიარება არაფერში სჭირდება, მათ ეს ხალხის წინაშე უნდა გააკეთონ! რაც შეეხება პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებს, ეს სულ სხვა თემაა.

**— ეს „ძვირი თემაა“ — ყოფილი პოლიტპატიმრები კომპენსაციას ითხოვენ. იმ პირობებში, როცა გამუდმებით ბიუჯეტზე წუწუნებთ და, თურმე, მასწავლებელთა ხელფასებისთვის ფული გიჭირთ, კომპენსაციის გადახდას როგორ აპირებთ?**

— არ მგონია, ეს ისეთი თანხა იყოს, ამის გამო გაგვიჭირდეს, თუმცა ჯერ კონკრეტულად, არაფერია ცნობილი. ახლა პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მისაღებად ჩვენს კომიტეტში 100-მდე განცხადებაა დარჩენილი.

**— სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებით კმაყოფილი თუ ხართ და, საერთოდ, რა იცვლება სტატუსის დამდგენ კომისიაში?**

— შეიძლებოდა, პროცესი უფრო დახვეწილიც ყოფილიყო, მაგრამ „ნაციონალებს“ თავიდანვე ვუთხარი, კომისიაში სულ 15 წევრია და ნებისმიერი 3 პირი ან ორგანიზაცია შეგიძლიათ, თქვენ მოიყვანოთ, რათა მერე, პროცესის გამჭვირვალობაზე პრეტენზია არ გქონდეთ-მეთქი. შეთავაზებას ირონიულად უპასუხეს, არც განხლვებს ესწრებოდნენ. პირდაპირ გეტყვით, რა არ მომეწონა ამ ყველაფერში: სასამართლოს დროს, შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს და მოსამართლის წინაშე ორი მხარეა წარმოდგენილი, აქ კი ჩვენ, ყველანი, ერთ მხარეს აღმოვჩნდით. გვაძლევდნენ ინფორმაციას, მას ვაანალიზებდით, მაგრამ ოპონირების რეჟიმში არ ვყოფილვართ, თუმცა ეს რეჟიმი სწორედ „ნაციონალებს“ უნდა შეექმნათ, რაზეც უარი თქვეს. ასევე, იყო ზოგიერთი ადამიანი, ვინც ამ სიაში ვერ მოხვდა, რასაც არ ვეთანხმები. მაგალითად, ჩახალიანი, რომელიც ადრე კენჭს ახალქალაქში ოპოზიციიდან იყრიდა, ასევე „კოჭოია“. იცით, ჩვენ არ გვეყო გამბედაობა და „კოჭოიას საქმეზე“ ისევე ვერ ვთქვით სათქმელი, როგორც — „ენვერის“ საქმეზე.

**— ზემოხსენებულ 100 ადამიანთან მიმართებაში რა მოხდება?**

— ანალოგიური სიის შექმნას გამოვრიცხავთ. პოლიტპატიმრების ახალი სია აღარ „გაკეთდება“. ეს ერთხელ უკვე გავაკეთეთ და მეორედ იმავე მდინარეში ვეღარ შევალთ. ეს პროცესი დასრულდა, წერტილი დაესვა. პარლამენტმა ერთხელ უკვე გაათავისუფლა ის ხალხი, ვინც პოლიტიკურ პატიმრად ჩათვალა. ვისზეც კითხვის ნიშანი დარჩა, ყველა შემთხვევას პერსონალურად განვიხილავთ, მაგრამ მათი ციხიდან გამოშვება, პარლამენტის დადგენილებით, აღარ მოხდება. ჩვენ გავამზადებთ რეკომენდაციებს სასამართლოსა და პროკურატურისთვის, მაგრამ არ შეიძლება, პარლამენტის აქტები ციხიდან გამოშვების მექანიზმად დაკანონდეს!

## facebook NEWS

**ლევან ახალაია**



სპეციალურად ნაციონალური მოძრაობისათვის სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შევიტანოთ ცვლილება და დაპატიმრებასთან და გირაოსთან ერთად, „ფესიბუქზე“ მათი პროფილის დაბლოკვა უნდა განისაზღვროს სასჯელად.

## facebook NEWS



**ნინო ჩელიძე**

პარლამენტში ყოფნის დროს რაღაც ვჭამე, მომეწონა და სახლში ვაკეთებინებ. არ ვიცი, რა ჰქვია და „ქუთაისის პარლამენტი“ შევარქვი.

## facebook NEWS

**ირაკლი ღლონტი**



მე გთავაზობთ ალტერნატივას: არც — ქუთაისს და არც — თბილისს, პარლამენტი წელიწადში ერთხელ გადავაადგილოთ სხვადასხვა რეგიონში და მეორე წრეზე წავიღოთ რაიონებში, მესამეზე — სოფლებში და ასე შემდეგ.

## facebook NEWS



**კახა კვაშილავა**

სამწუხაროდ, აღმოვაჩინე, რომ დღესაც მიმართავენ დევნილებს „ჩამოთრეულოთი“, რომ თურმე, დევნილებმა „არ დაიცვეს მათი აფხაზეთი“, რომ აქ ბინები და სამსახურები აქვთ და ადგილობრივები კი გამათხოვრებულან იმის გამო, რომ მთავრობა მხოლოდ დევნილებისათვის „ზრუნავს“.

მინდოდა, უფრო ვრცლად ამაზე აქ რაიმეს დაწერა, მაგრამ მგონი, ეს ერთი სიტყვაც საკმარისია, ყველაფრის სათქმელად: სამწუხაროა!!!

## facebook NEWS

**ალექსანდრე ლომოური**



ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა — ეს არის ჩემი ქართული ოცნება...



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**2009 წლის 16 სექტემბერს უზნაძის ქუჩაზე პოლიციელი მოკლეს, რის გამოც რატი რეხვიაშვილი დააკავეს, თუმცა როგორც „ვერსიასთან" საუბრისას რატის დედა, მარინა რეხვიაშვილი ამბობს, მისი შვილის საქმე სამართალდამცავებმა „შეკერეს". ამასთან, ქალბატონი მარინა აცხადებს, რომ შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი და „ციხის კადრების" ავტორი ლადო ბედუკაძე ციხეში რატის უმოწყალოდ აწამებდნენ. გთავაზობთ სკანდალურ ინტერვიუს პოლიციელის მკვლელობისთვის გასამართლებულ, პატიმარ რატი რეხვიაშვილის დედასთან.**

# ლადო ბედუკაძისა და ვანო მერაბიშვილის მიერ ნაწამები პატიმრის დედას თეა წულუკიანი არ ხვდება?!



## სკანდალური ინტერვიუ პოლიციელის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებულ რატი რეხვიაშვილის დედასთან

— ჩემი ოჯახის ტერორი რამდენიმე წლის წინ, ასე დაიწყო: ჩემ შვილს, რატი რეხვიაშვილს ერთ-ერთი პოლიციელი, ვინმე ლევან ქირია ფულს სძალავდა. მაშინ აღმაშენებლის 111-ში, სწორედ იმ ეზოში ვცხოვრობდით, სადაც პოლიციის შენობაა. ერთ დღესაც, ჩემმა შვილმა შემომჩივლა, ყელში ამომივიდა შენი მოტყუება, თითქოს პოკერში წავაგე და ფული სათამაშოდ მჭირდება, სინამდვილეში, ფულს ლევან ქირია მართმევს, ახლაც 150 ლარს მთხოვს, აი, ნომერი და დამეხმარეო. რატი სასწრაფოდ ქალაქიდან გავიყვანე, მე კი, მის მიერ მოცემულ ნომერზე დავრეკე. ლევან ქირია ჩემ ზარს არ ელოდა და მთხოვა, განყოფილებამდე არ მივსულიყავი, თუმცა ეს საქმე მაშინ მაინც გახმაურდა და, როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე პოლიციელი ისეთ ადამიანებს, რომლებიც კარგ გადამხდელებად მიაჩნდათ, ფულს ჯგუფურად სძალავდა. უზნის განყოფილების უფროსმა ბოდიში მომიხადა, ლევან ქირია კი, რამდენიმე მუშაკთან ერთად, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

**— თქვენს ოჯახზე პოლიციის ზეწოლა ამ ინციდენტით ამოიწურა?**

— რა თქმა უნდა, არა. ამის შემდეგ ატყდა რეკვა, თქვენი მიზეზით სამსახურიდან გამათავისუფლეს და ამას არ გაპატიებთო. ჩემთვის რა უნდა ექნათ — შვილი ნარკომანი და გამომძალველი არ მყავდა, არც მე ჩავდიოდი უკანონო ქმედებებს, ამიტომ თავი ქუდში მეგონა და არ შემშინებია, მაგრამ ცხოვრებაში, თურმე, ყველაფერი ხდება. რატი განყოფილებაში რამდენჯერმე დაიბარეს, ხან — ნარკოტიკების მოხმარებაზე, ხანაც — ხულიგნობაზე, მაგრამ ბოდიშით უშვებდნენ. 2008 წლის 31 ოქტომბერს, ზუსტად მაშინ, როცა ოპოზიციის დიდი კოლონა დასავლეთიდან თბილისში შემოვიდა, რატი ოპერმუშაკისთვის შეურაცხყოფის მიყენებისთვის დააპატიმრეს. იმხანად, მეხუთე უბანში ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორად ვმუშაობდი. განყოფილების უფროსმა, ზურაბ პავლიაშვილმა დამამშვიდა, არ ინერვიულოთ, ყველაფერს მოვაგვარებ, ოღონდ ახლა მთავარია, თქვენი საქმე პირნათლად შეასრულოთო. ამის შემდეგ ვახტანგ ბალავაძემაც დამიბარა, რომელიც პრეზიდენტმა ახლახან გუბერნატორად დანიშნა და ზურა პავლიაშვილის თანდასწრებით მითხრა, რატის ნასამართლეობასაც არ დავუტოვებ, ოღონდ არჩევნებმა კარგად უნდა ჩაიაროსო. პრეზიდენტმა ჩვენ უბანში არჩევნები წააგო, რატი კი, დაპირებების მიუხედავად, დააპატიმრეს და ექვსი წელი მიუსაჯეს. მისი დაკავებიდან ზუსტად ოც დღეში სახლიდანაც გამომასახლეს.

**— რატომ?**

— ვინმე ჯუმბერ შენგელიამ, რომელიც პრეზიდენტთანაა დაახლოებული, როგორც ჩანს, ჩვენ სახლს თვალი დაადგა და ორსართულიანი სახლიდან, შვიდი თვის ფეხმძიმე რძალსა და 5 წლის შვილიშვილთან ერთად, ქუჩაში გამომაგდო. ჩვენ დავა, მართლაც, გვქონდა, მაგრამ მხოლოდ — 18 კვადრატულზე, რომლის ფულიც, 5 ათასი დოლარი წლების წინ გადავიხადე. გამოსახლებიდან ორ დღის შემდეგ, რატიმ დამირეკა, სად ხართ, ციხიდან გამომიშვესო, თუმცა მაშინ, ვინ შეიწყალა, ან რატომ გამოუშვეს, ვერავინ გაარკვია. თურმე, უარესი ჯერ კიდევ წინ გველოდა: დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, საშინელება მოხდა.

**— რას გულისხმობთ?**

— ჩემი შვილიშვილი 63-ე სკოლაში სწავლობს. 2009 წლის 16 სექტემბერს, დილით, რატიმ შვილი სკოლაში წაიყვანა. დაახლოებით, სამი საათისთვის კი, დამირეკა და მითხრა, დედა, ბავშვს სკოლიდან გამოვიყვან და შინ მოვალთო. როგორც თვითმხილველები მეუბნებიან, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული 15 პიროვნება უზნაძის ქუჩაზე კამათობდა. ამ დროს რატიმ უზნაძის შესახვევთან ჩქარი ნაბიჯით ჩაიარა და რატომღაც წაიქცა. ეს 15 ადამიანი მივარდნია და წიხლებით შემდგარა. როგორც ჩანს, ისე გამეტებით ურტყამდნენ, რომ ერთ-ერთ გამვლელს უყვირია, რას ერჩით, კლავთო? მათ კი უთქვამთ, პოლიციელები ვართ და ამან ჩვენი თანამშრომელი სცემაო. იმავე გამვლელს, სხვების დახმარებით, ჩემი შვილი პოლიციელებისგან ცოცხალ-მკვდარი გამოუგლეჯია.

**— თქვენ შვილს ბრალად სამი პოლიციელის დაჭრა დაედო, რომელთაგან ერთ-ერთი გარდაიცვალა. მაშინ ითქვა, რომ რატი რეხვიაშვილი თავს დაესხა ფეხით მოსიარულეს და მისი გაძარცვა სცადა, რასაც პოლიციელებთან ინციდენტი მოჰყვა...**

**„ვაცხადებ და იმედი მაქვს, ხელისუფლებაც წაიკითხავს: ბედუკაძე თბილისში, გარეთ გამოსული რომ ვნახო, ჩემი ხელით ორივე თვალს ამოვთხრი, როგორც ჩემი შვილი აწამა, ისე ვაწამებ და ბოლოს, მოვკლავ"**

— დიახ, საქმეში ნათქვამია, რომ ჩემი შვილი, თურმე, ვანოს გაწვრთნილ 15 პოლიციელს მოერია, თან ისე, რომ შემთხვევის ადგილზე არც სისხლი დაიღვარა და დანაზე, რითიც პოლიციელი დაიჭრა, რატის თითის ანაბეჭდებიც არ დარჩა. საქმეში, შავით თეთრზე, ისიც წერია, რომ ამ ჩხუბს დანარჩენი თორმეტი პოლიციელი შორიდან უყურებდა. მოწმედ ვინმე ია ფიფია მოიყვნეს, რომელმაც ჩვენება სამჯერ შეცვალა: პროცესზე განაცხადა, რომ კრილოვის ათ ნომერში ცხოვრობს (აღნიშნულ მისამართზე არაერთხელ მივედი და მითხრეს, მსგავსი სახელისა და გვარის ადამიანს ამ სახლში არასოდეს უცხოვრიაო) და სუპერმარკეტში მიდიოდა, როცა უცნობმა ბიჭმა სამასდოლარიანი ჩანთა გაუჭრა და ჯაჭვი ჩამოგლიჯა. გეკითხებით: ნორმალურია, სამასდოლარიანი ჩანთა, რომელიც, წესით, კარგი ხარისხის უნდა იყოს, ისე გაგიჭრან, ვერ გაიგო?! სწორედ ამ დროს, სად იყო და სად არა, შემთხვევის ადგილზე თხუთმეტი პოლიციელი გაჩნდა. სასამართლო პროცესზე ითქვა, რომ რატისთან ერთად, ვინმე სერგო გედიანიძეც იმყოფებოდა, რომელიც უზნაძის ქუჩაზე 16 სექტემბერს, სინამდვილეში, არ ყოფილა. მას 19 წელი შეუფარდეს. სხვათა შორის, გარდაცვლილი პოლიციელის, გივი აფციაურის მეუღლეს ეკლესიაში უთქვამს, სამი დღით ადრე ვეუბნებოდი, ამ საქმეზე არ წახვიდე-მეთქი, არ დამიჯერა და აი, შედეგიო. ესე იგი, პოლიციელმა სამი დღით ადრე იცოდა, რომ რატი რეხვიაშვილი ვინმე ია ფიფიას ჯაჭვს ჩამოჰგლეჯდა და დანით დაჭრიდა?! მაშინვე ამ გოგონასთან მივედი და ვთხოვე, ეთქვა, რა საქმეს გულისხმობდა, შენც ხომ უნდა იცოდე, სინამდვილეში, ქმარი ვინ მოგიკლა-მეთქი, მაგრამ არაფერი თქვა. ისიც გავარკვიე, რომ საქმეში მთავარ მოწმედ დასახელებული ქალბატონის შვილი „ჰეროინის" შენახვა-გაყიდვისთვის იყო დაპატიმრებული, მაგრამ დედის ჩვენების მიცემის შემდეგ, გაუთავისუფლებიათ. რატის სასამართლო პროცესზე მეორე მოწმე — ინგა ცაავა ვერ მოიყვანეს. საქმეში წერია, რომ ჩემ შვილს დანა მარჯვენა ხელში ეჭირა, არადა, რატი ცაციაა. პროცესზე ერთ-ერთ პოლიციელს ჰკითხეს, ინციდენტს შორიდან რომ უყურებდით, რატომ არ ესროლეთო? მან კი უპასუხა, ვერ მოვასწარიო. ამიხსენით, რატიმ „ბაბოჩკა" დანით 12 დარტყმა განახორციელა და ამ ხნის განმავლობაში, პოლიციელმა იარაღის ამოღება ვერ შეძლო?! ეს ხომ სრული აბსურდია!

ადვოკატებიც ჩამომაშორეს — მოვისმინე, როგორ დაურეკა გიორგი ოთიაშვილმა ჩემს ადვოკატს და უთხრა, კობა, ამ საქმეს ჩამოშორდი, თორემ ყველა პატიმარს, ვინც გამოგიშვია, ციხეში შევაბრუნებთ და შენც ზედ მიგაყოლებო. ამის შემდეგ კობამ ჩემი მიცემული თანხა, ორდერთან ერთად დამიბრუნა. ერთი სიტყვით, თავიდან ბოლომდე პოლიციელების მიერ „შეკერილი" საქმე დღემდე დახურული არაა. ასეთ განუკითხაობაში, ჩემ შვილს 30 წელი მიუსაჯეს. რატი სასამართლო დარბაზში ხელით შემოიყვანეს, ცალი თვალით გადმომხედა და თავისი ბეჭედი წარწერით — „უფალო შეგვიწყალენ" — ბადრაგის ხელით გადმომცა. ამით მანიშნა, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ სად უნდა მეპოვა სამართალი? მას შემდეგ დავრბივარ ტელევიზიებში და ვცდილობ, ჩემი ტანჯვის შესახებ ყველას გავაგებინო, პატრიარქთანაც ვიყავი...

როგორც შევიტყვე, ციხეში რატის სასტიკად აწამებდნენ, ერთხელ, თურმე, მეგაფონიც ჩაურთავთ და მისი ღრიალი მთელი ციხისთვის მოუსმენინებიათ.

**— რატი რეხვიაშვილმა წერილიც დაწერა, სადაც „ციხის კადრების" ავტორ ლადო ბედუკაძეს წამებაში ადანაშაულებს. ბედუკაძე ახლა საქართველოშია, თუმცა დაპატიმრებულია და სამართალდამცავებს ჩვენებებს აძლევს. ეს ფაქტი თქვენთვის, როგორც ნაწამები პატიმრის დედისთვის, რამდენად დამაკმაყოფილებელია?**

— რატის სასტიკი წამების შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ გავიგე, რაც ლადო ბედუკაძის საქმეები გაიხსნა. დიახ, რატიმ ციხიდან გამომიგზავნა წერილი, რომლის გასაჯაროებაც თავად მოითხოვა. მასში აღწერილია, თუ როგორ არაადამიანურად აწამებდა ლადო ბედუკაძე ჩემს შვილს 7 თვის განმავლობაში და ე.წ. საქათმეში შესვლას აიძულებდა. რატის უარი რომ უთქვამს, ბედუკაძეს მისთვის მთელი ტანი დანით დაუსერავს, შემდეგ კი, ჭრილობებზე მარილი დაუყრია. ჩემი შვილი, ასევე, ჰყვება, რომ ტანზე სიგარეტებს აწვავდნენ, ერთ-ერთი ცემისას კი, მოცეკვავე ბიჭი დამიკოჭლეს. რატის თქმით, თავად ვანო მერაბიშვილიც შედიოდა მასთან და ეუბნებოდა, სანამ ბოლომდე არ ჩაგძირავ, არ მოგეშვებიო. შემდეგ კი, 48 საათის განმავლობაში, დენზე პირადად მერაბიშვილს შეუერთებია. ყველაფერი ეს რომ შევიტყვე, ჭკუიდან გადავდექი. რამდენიმე დღის წინ კი, ვიგებ, რომ ბედუკაძეს ძებნილის სტატუსი მოუხსნეს და თბილისში ჩამოვიდა. გეკითხებით: მე, როგორც ბედუკაძის მიერ ნაწამები პატიმრის დედას, მაქვს თუ არა უფლება, რომ ჩემი შვილის მწამებლების დასჯა მოვითხოვო? რატის აქვს თუ არა უფლება, იმ ადამიანის, რომელიც მას „საქათმეში" შესვლასა და საზიზღრობების ჩადენას აიძულებდა, დასჯა მოითხოვოს? ვაცხადებ და იმედი მაქვს, ხელისუფლებაც წაიკითხავს: ბედუკაძე თბილისში, გარეთ გამოსული რომ ვნახო, ჩემი ხელით ორივე თვალს ამოვთხრი, როგორც ჩემი შვილი აწამა, ისე ვაწამებ და ბოლოს, მოვკლავ. ბედუკაძემ ცნობილი „ციხის კადრები" იმისთვის შემოაგდო, რომ თავი გადაერჩინა და არა იმ მიზეზით, რომ პატიმრებზე გული შესტკიოდა. ცოტა ხნის წინ, რამდენიმე თვის პენსია წინასწარ გამოვიტანე და რატის ტელევიზორი ვუყიდე, ახლა ვნანობ, ნეტა, არ მეყიდა — ბედუკაძის საქართველოში დაბრუნებას რომ გაიგებდა, წარმომიდგენია, რა განწყობაზე დადგებოდა.

რატის წერილს, ჩემი განცხადებაც დავურთე და თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილთან შეხვედრა მოვითხოვე.

**— შეხვედრაზე თანხმობა მიიღეთ?**

— კბილაშვილის უწყებაში მითხრეს, თქვენი განცხადება ქალაქის პროკურორ კოჭლამაზიშვილთან გადავგზავნეთო, თუმცა დღემდე არავინ შემხმიანებია. თეა წულუკიანთან კი, მიღება 28 ნოემბერს მეწერა, თუმცა ამ დრომდე, მასთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. ახლა კი, ვითხოვ, სასწრაფოდ შემხვდნენ, დამელაპარაკონ და საბოლოოდ არ გამწირონ. შემხვდეს წულუკიანი და კბილაშვილი და ორ კითხვაზე მიპასუხონ: რატომ არის ჩემი შვილის საქმე დღემდე გაჩერებული და რას ნიშნავს ბედუკაძის საქართველოში ჩამოსვლა? როდემდე უნდა იყოს ჩემი ოჯახი რეპრესირებული? ნაწამები პატიმრები გამოუშვეს და ჩემი შვილისთვის არაფერი არსებობს?! ის პოლიციელები, რომლებიც რატის საქმეში მოწმეებად დაიკითხნენ, დღემდე დაუსჯელები არიან და სამსახურებსაც ინარჩუნებენ. ამასთან, ოთხი წელია, ბინის საკითხთან დაკავშირებით სარჩელი მაქვს შეტანილი, მაგრამ საქმე დღემდე დახურული არაა და არც არავინ მეხმაურება. რატი №8 საპყრობილედან სხვა საპატიმროში გადაყვანასაც მთხოვს, მაგრამ ამასაც ვერ ვახერხებ. ამ ქვეყანაში აბსოლუტურად მარტო, ყველასგან უყურადღებო დავრჩი. შვილი და სახლი წამართვეს, ბავშვებთან ერთად, ქუჩაში დამტოვეს, ამდენი ტირილისგან თვალის მინისებური სხეულის დესტრუქციაც მაქვს და მალე დაბრმავებაც მელოდება, მაგრამ არ გავჩერდები, სანამ ამდენი წლის ტანჯვის შემდეგ, სიმართლეს არ ვიპოვი!

**„ლადო ბედუკაძე ჩემს შვილს 7 თვის განმავლობაში აწამებდა და ე.წ. საქათმეში შესვლას აიძულებდა. რატის უარი რომ უთქვამს, ბედუკაძეს მისთვის მთელი ტანი დანით დაუსერავს, შემდეგ კი, ჭრილობებზე მარილი დაუყრია. ჩემი შვილი, ასევე, ჰყვება, რომ ტანზე სიგარეტებს აწვავდნენ... რატის თქმით, თავად ვანო მერაბიშვილიც შედიოდა მასთან და ეუბნებოდა, სანამ ბოლომდე არ ჩაგძირავ, არ მოგეშვებიო. შემდეგ კი, 48 საათის განმავლობაში, დენზე პირადად მერაბიშვილს შეუერთებია".**

**P.S. 19 იანვარს, სასამართომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ვლადიმერ ბედუკაძე, 2 ათასი ლარის გირაოს სანაცვლოდ, დარბაზიდან გაათავისუფლა. „ციხის კადრების" ავტორმა გირაოს თანხა 10 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს. ამასთან, პროკურატურას პასპორტი და პირადობის მოწმობა უნდა ჩააბაროს, არ გაახმაუროს მიცემული ჩვენებები და, საჭიროების შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადდეს. „გამოძიებასთან ვითანამშრომლებ და მადლობელი ვარ მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილისა და იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის," — განაცხადა სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულმა ბედუკაძემ.**

## ვერსიანიუსი

### პატრიარქი მოსკოვში გაემგზავრა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოსკოვში გაემგზავრა. უწმინდესთან ერთად მოსკოვში გაემგზავრნენ საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე შარაშენიძე, პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, არქიმანდრიტი დავით ჭინჭარაული, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა აბაშიძე. ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე.

ილია მეორე რუსეთში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, მისი უწმინდესობა კირილის მიწვევით ჩადის და იქ უმაღლესი რანგის საერო, სასულიერო პირებს შეხვდება. უწმინდესი 23 იანვარს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთანაც გამართავს შეხვედრას.

პატრიარქი საქართველოში 26 იანვარს დაბრუნდება.

*„ფორ.გე"*

# საქართველოს მთავრობა ისრაელში საცხოვრებლად წასულებს პენსიას დაუნიშნავს?

ნელი თორდია

**ისრაელიდან ახლახან დაბრუნებული საქართველოს პროფესიული განათლების პროფესიული კავშირების თავმჯდომარე ᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ „ვერსიას“ დახურული პროფესიული სასწავლებლების აღდგენის გეგმასა და საქართველოდან ისრაელში წასული მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ პარლამენტში შეტანილ ინიციატივაზე ესაუბრება.**

— დაახლოებით, 15 წელია, ისრაელთან როგორც პროფკავშირული, ასევე პროფესიული განათლების ნაწილში ვთანამშრომლობ. განსაკუთრებით ის მაინტერესებს, როგორ ახერხებს ისრაელის მთავრობა, უმუშევართა რაოდენობა იმ ზღვარს არ გასცდეს, რომელსაც შეიძლება, ქვეყანაში სოციალური აფეთქება მოჰყვეს. როგორც ისრაელის პროფკავშირების გაერთიანებისგან შევიტყვე, როცა სახელმწიფოში უმუშევრობა, დაახლოებით, 10%-ს აღწევს, შესაბამისი სამინისტროები გამოსცემენ ბრძანებას და მოთხოვნადი სპეციალობების 10-თვიან კურსებზე უმუშევართა მიღებას იწყებენ. პარალელურად, დამსაქმებლები, პარლამენტთან ერთად, მუშაობენ, რომ შესაბამისი სამუშაო ადგილები რეალურად გაჩნდეს. მაგალითად, წელიწადნახევარში სტილისტის იმდენი ადგილი შეიქმნა, რომ ისრაელის ნებისმიერი ქალაქის ყოველ მესამე შენობაში სილამაზის სალონია გახსნილი, თან მუდმივად რიგებია. ასე რომ, ისრაელში სტილისტებსა და მასაჟისტებს სამუშაო თავზე საყრელად აქვთ.

რაც შეეხება საქართველოს, რეალურად ვერავინ გეტყვით, რა მდგომარეობაა ჩვენთან უმუშევრობის მხრივ. სტატისტიკის დეპარტამენტი ჯერ 50%-ს აცხადებდა, მერე — 28%-ს. თუკი მზესუმზირას გამყიდველს დასაქმებულად ჩავთვლით, მაშინ უმუშევართა რიცხვი შეიძლება, უფრო ნაკლებიც იყოს... ბოლო 3 წლის განმავლობაში, ჩემი ორგანიზაციის პრინციპული პოზიციის მიუხედავად, ისეთი სტანდარტები და პროფესიული პროგრამები შეიქმნა, რომ ერთი მათგანიც არ მუშაობს. ამ პროგრამებით მომუშავე კერძო თუ საბიუჯეტო პროფესიული კოლეჯები და უმაღლესი სასწავლებლები კი, 1000-ლარიან ვაუჩერიმჭამელებად ჩამოყალიბდნენ. ამასთან, სამი წლის განმავლობაში, 20-ზე მეტი პროფესიული სასწავლებლის ლიკვიდაცია მოხდა, უმუშევრად ათასზე მეტი პედაგოგი დარჩა, რეგიონებში მცხოვრებ ათასობით ახალგაზრდას კი, პროფესიული განათლების მიღების საშუალება მოესპო და ამაზე პასუხისმგებელი ვინაა?

**— ბატონო დენის, რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს პროფესიული განათლების მიღება დედაქალაქსა და რამდენიმე დიდ ქალაქში შეუძლიათ...**

— თბილისი, ქუთაისი და ბათუმი „ნაციონალებმა“ თავკომბალებად აქციეს, ევროპული მიდგომა კი, ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებას სახლთან ახლოს, რაიონიდან გაუსვლელად ითვალისწინებს. 20 პროფესიული სასწავლებლის დახურვის შემდეგ, საქართველოში არსებული 75 რეგიონიდან, პროფესიული კოლეჯი მხოლოდ 10 რეგიონშილა დარჩა.



**— სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებით, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის პოზიცია ცნობილია, თუმცა სოფლის მეურნეობის აღორძინება დარგობრივი კოლეჯების გახსნისა და კადრების მომზადების გარეშე, ცხადია, გაძნელდება.**

— ამაზე საუბარი არ მინდოდა, რადგან ბატონ ბიძინასთან ნაცნობობითა და მისი დაპირებებით დღეს ბევრი სპეკულირებს, მაგრამ რადგან მკითხეთ, რუსთავის მოსახლეობასთან ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო შეხვედრას გავიხსენებ, როცა განაცხადა, პროფესიული განათლების სისტემა უნდა აღორძინდესო. აქედან გამომდინარე, პარლამენტსა და განათლების სამინისტროში ინიცირება გავაკეთეთ, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც ლიკვიდირებული სასწავლებლების აღდგენაზე იმუშავებს. განსაკუთრებით იმედისმომცემია, რომ იმ რაიონის მაჟორიტარებმა, სადაც სასწავლებელთა ლიკვიდაცია მოხდა, გიორგი მარგველაშვილს წერილი გაუგზავნეს, სადაც ნათქვამია, რომ რაიონებში სოფლის პროფილის კოლეჯის შექმნა საჭიროა. ჩემი აზრით, ახალი სასწავლებლების აშენებას და ამაში ზედმეტი ფულის გადახდას, არსებული შენობების გარემონტება სჯობს. განათლების სამინისტროსთვის 84 მილიონია გამოყოფილი. 20 დახურული სასწავლებლის აღდგენას კი, ერთ მილიონზე მეტი არ დასჭირდება, თუმცა მთავარი სახელმწიფოს ნებაა...

**— ბატონო დენის, რა ამის პასუხია და, როგორც ვიცი, პარლამენტს საქართველოდან ისრაელში წასული მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფის ინიციატივით მიმართეთ...**

— ისრაელში ბოლო ვიზიტისას გავიგე, რომ ისრაელისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც უკრაინამ იმ მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფა, რომლებმაც უკრაინაში არანაკლებ 15 წელი იმუშავეს, თავის თავზე აიღო. უკრაინისა და ისრაელის კანონმდებლობით, საპენსიო ასაკი 67 წელია. უკრაინიდან ისრაელში ჩასული ასეთი 55 ათასი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა ისრაელის კანონმდებლობით, პენსიას მხოლოდ მას აძლევენ, ვინც ისრაელში 12 წელი ან მეტი იმუშავა. ამდენად, 55 ათასი ადამიანი ისრაელის სახელმწიფოს მიერ დანიშნულ პენსიას ვერ იღებს და სოციალური დახმარებით ცხოვრობს. ორი სახელმწიფოს მიერ მიღწეული ზემონახსენები შეთანხმება კი, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ასეთი შეთანხმება მხოლოდ ისრაელსა და უკრაინას კი არა, ისრაელსა და ლიტვას, ასევე, ისრაელსა და რუსეთს შორისაც არსებობს.

**— ასეთი შეთანხმება საქართველოსა და ისრაელს შორისაც რომ გაფორმეს, ბიუჯეტიდან მილიონების გადინების გარდა, საქართველო რას მიიღებს?**

— ისრაელმა ვალდებულება აიღო, იმ ადამიანს, ვინც ისრაელის მოქალაქე გახდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, უკრაინაში, ლიტვაში ან რუსეთში დაბრუნდა, იმ სოციალურ დახმარებას გადაუხდის, რომელსაც ისრაელში ცხოვრების დროს უხდიდა. ისრაელსა და საქართველოს შორის 26-საუკუნოვანი მეგობრობა არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე ქვეყანამ უნდა იზრუნოს თავის მოქალაქეებზე. საქართველოსა და ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კონსტიტუციით, სახელმწიფო ვალდებულია, იმ ადამიანებს, ვინც იმუშავა, დოვლათი შექმნა და ქვეყნის განვითარებაში წვლილი შეიტანა, პენსია გადაუხადოს. საქართველოდან ისრაელში საცხოვრებლად წასული, საპენსიო ასაკის 2 ათასამდე ადამიანია, რაც წელიწადში 3 მილიონს მოითხოვს.

**— საქართველოდან გასულმა სხვა ეროვნების ადამიანებმა რა დააშავეს — ქვეყნის განვითარებაში წვლილი მათაც ხომ მიუძღვით?**

— ეს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების მოლაპარაკების საგანია და ანალოგიური შეთანხმება შეიძლება, ნებისმიერ ქვეყანასთან შედგეს. მალე საგარეო საქმეთა, ჯანმრთელობისა და ფინანსთა სამინისტროებისა და პარლამენტის სამი კომიტეტის წარმომადგენელთა უწყებათაშორისი კომისია შეიქმნება, რომელიც ამ საკითხზე იმსჯელებს. თავის მხრივ, ისრაელის ქნესეთის დეპუტატები, რომლებიც საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფში შედიან, ისრაელის პარლამენტის არჩევნების დასრულებისთანავე, ამ საკითხზე მუშაობას დაიწყებენ. სხვათა შორის, გრიგოლ ვაშაძის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, ამ ინიციატივით ისრაელის მხარემ საქართველოს მთავრობას რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. იმედია, ყინული ახლა დაიძვრება.

## ვერსიანიუსი

### მამაკაცი საძინებელში მარიხუანას ზრდიდა




სამართალდამცველებმა საცხოვრებელი სახლიდან მარიხუანა ამოიღეს. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 1963 წელს დაბადებული გივი მ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულის ბინის ჩხრეკისას გაირკვა, რომ სახლში სათბური ჰქონდა მოწყობილი, საძინებელში, 4 დიდ ქოთანში, ნარკოტიკულ საშუალება მარიხუანას ზრდიდა და ინახავდა.

გივი მ-ს ბინიდან ამოღებულია ნარკოტიკული ნივთიერების დამზადებისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთებიც.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ამოღებული გამომშრალი მარიხუანას წონა 0,853 გრამია, ნედლისა კი — 81,92 გრამი. ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, ასევე დადგინდა, რომ დაკავებული მარიხუანას მომხმარებელია.

გივი მ. წარსულში ქურდობისთვისაა ნასამართლევი. გამოძიებას, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს მე-5 განყოფილება, სსსკ-ს 265-ე მუხლის I ნაწილით აწარმოებს.

*„ინტერპრესნიუსი“*



როგორ კეთდებოდა სკოლებში ფული დიმიტრი შაშკინის მინისტრობის დროს, რატომ ჩააბარა მეთერთმეტეკლასელთა უმეტესობამ გამოცდები ექსტერნად და რას ურჩევს განათლების ექსპერტი გიორგი მარგველაშვილი

# „ექსტერნის გამოცდები კორუფციის ბუდეა!“



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

**„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, მე-11 კლასელთა უმეტესობამ ანუ მან, ვისაც 16 წელი უკვე შეუსრულდა, გამოცდები ექსტერნად ჩააბარა და ამით, როგორც იტყვიან, ორი კურდღელი დაიჭირა — მე-12 კლასის საატესტატო 8 გამოცდასაც გადაურჩა და თან, ორი წლის მასალა, პრაქტიკულად, 3-4 თვეში „დაძლია“. ისე, საკითხავია, ბავშვი, რომელსაც ეშინია, 2 წელში საატესტატო გამოცდისთვის მომზადებას ვერ მოასწრებს, სამ თვეში 2 წლის მასალის ისე სწავლას როგორ ახერხებს, რომ გამოცდაზე დადებით შეფასებას იღებს? — ამ კითხვით „ვერსიამ“ განათლების ექსპერტ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲡ მიმართა.**

— საერთოდ, ექსტერნის გამოცდები კორუფციული რისკის შემცველია. მე-11-მე-12 კლასები ურთულესი და ძალიან დატვირთულია — მოსწავლეს ორი წლის მასალის გავლა, პრაქტიკულად, რამდენიმე თვეში უწევს და როგორ შეიძლება, ბავშვმა ეს უზარმაზარი მასალა სამ თვეში დაძლიოს? ამ მხრივ, კანონმდებლობაა შესასწორებელი... ექსტერნის გამოცდები კორუფციის ბუდეა!

**— ქალბატონო მანანა, ამ კორუფციაში ვინაა ჩართული?**

— ხელისუფლება.

**— ხელისუფლება ფართო ცნებაა, თან ეს გამოცდები სკოლებში ტარდება...**

— თუ „ზემოთაც“ არ მიიტანეს, მხოლოდ სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს ფულს არავინ აალებინებს! ორი წლის წინ, განათლების სამინისტრო ამ გამოცდებს რესურსცენტრების მეშვეობით ატარებდა, შემდეგ კი, გამოცდების ჩატარება სკოლებს მიანდეს. ახალმა ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ ეს კორუფციის წყაროა და კანონმდებლობა შეცვალოს!

ძალიან ბევრმა მოსწავლემ გამოცდები ექსტერნად იმიტომ ჩააბარა, რომ წელს საატესტატო გამოცდებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრი არ ატარებს. საერთოდ, წელს ყველა მოსწავლე ადვილად „გაძვრება“, რადგან სკოლის დირექტორები გამოცდების მარტივად ჩატარებას აპირებენ. როცა გამოცდები ისე არ ჩატარდება, როგორც საჭიროა, ეს, რასაკვირველია, კორუფციასთან იქნება დაკავშირებული.

**— ქალბატონო მანანა, როგორც ექსპერტი, განათლების ახალ მინისტრს ხომ არ ურჩევთ, ექსტერნის გამოცდების შედეგები გადამოწმდეს?**

— არა... ექსტერნის გამოცდების დებულება ძირფესვიანად შესაცვლელია. ამ გამოცდას ვისაც როგორ აწყობს, ისე არ უნდა აბარებდეს. გამოცდაზე მოსწავლე განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა დაიშვებოდეს, მაგალითად, როცა მოსწავლე ვუნდერკინდია და შეუძლია, ერთ წელში ორი წლის მასალა დაძლიოს. ასევე, მაშინ, თუკი ბავშვი მძიმედაა ავად ან ოჯახური პირობების გამო, სკოლაში ვერ დადის, შესაძლოა, სასწავლებლად უცხოეთშია წასული, მას უფლება უნდა ჰქონდეს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გამოცდები ექსტერნად ჩააბაროს, თორემ ბავშვი, რომელიც ძლივს სწავლობს, ამას ვერ შეძლებს. პირდაპირ ხელის გულზე დევს, რომ ეს ფარსი და კორუფციული გარიგების შედეგია! ამიტომაც, ხელისუფლებაში რომ ვიყო, კანონს შევცვლიდი და ამ გამოცდებზე უმკაცრეს კონტროლს დავაწესებდი. ისიც შეიძლება, გამოცდები ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრმა კომპიუტერული სისტემით ჩაატაროს.

**— თავის დროზე, მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გამოცდების ექსტერნად ჩატარება სკოლებს რატომ გადააბარა?**

— იმიტომ, რომ ეს კორუფციის ბუდე იყო, თან შაშკინი დიდ შარში გაეხვია — ბოლო ნაკადზე, ქიმიის გამოცდაზე, 2 800 ბავშვი ჩაიჭრა და გამწარებული მშობლები მინისტრს მანქანის ქვეშაც „შეუცვივდნენ“. სწორედ ამის შემდეგ გახდა შაშკინი იძულებული, ამ გამოცდების ჩატარების უფლება სკოლებისთვის მიეცა...



## რატომ გადაწყვიტა არასამთავრობოს შექმნა, რა შეკითხვები დაუგროვდა „ოცნებასთან“ და ვის შემოკრებას აპირებს ექსმთავრობის საპარლამენტო მდივანი





მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**მთავრობის ექსსაპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის და, როგორც სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დააანონსა, ახალი ორგანიზაციის პრეზენტაცია მიმდინარე კვირაში გაიმართება. მართალია, ძველი მთავრობის საპარლამენტო მდივანი იყო, მაგრამ იურისტი გია ხუროშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრი არასოდეს ყოფილა. ალბათ, სწორედ ამიტომაც გამოირჩეოდა ექსჩინოვნიკებისგან — არ ერიდებოდა თავისუფალ შეფასებებსა და საკუთარი აზრის ღიად გამოთქმას... დღეს კი ამბობს, რომ ახალი ხელისუფლების მიმართ უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდა. ამასთან, პირობას დებს, რომ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციაში პოლიტიკასთან ასოცირებულ პირებს კი არა, მხოლოდ ჭკვიან იურისტებს შემოიკრებს და ნებისმიერი სამართლებრივი გადაწყვეტილების მონიტორინგს განახორციელებს. „ვერსია“ გია ხუროშვილს ესაუბრა.**

# იქნება თუ არა გია ხუროშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალთა“ საადვოკატო კანტორა

— დიდი ხნის განმავლობაში, პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში ვიყავი და ახლა ვხედავ, რომ უამრავ გაკეთებულ საქმეს ძალაუფლების ერთი წარმომადგენლის ან გარკვეული მოხელის მიერ დაშვებული შეცდომა, გნებავთ, დანაშაული, ერთბაშად გადაფარავს. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ყველა წარმომადგენელზე არ ვსაუბრობ, მაგრამ სამწუხაროდ, არაპროფესიონალთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ფუფუნებისთვის ერგო... ბევრი კითხვა დამიგროვდა, რომელზეც პასუხის მიღებას სხვადასხვა ფორმით ვცდილობდი, მაგრამ უშედეგოდ.

პირველი კითხვა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას ეხება, რატომ ვერ ახერხებენ ნამდვილი დამნაშავეების, მაგალითად, ისეთების დაჭერას, რომელთა ვინაობაც საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ იცის, რადგან მათი დანაშაული საკუთარ თავზე განიცადა?.. საგანგაშოა, ბიზნესმენებს ახლა უკვე მოდულში რომ იბარებენ! რატომაა დღევანდელი ხელისუფლებისთვის ბიზნესის მხარდაჭერა და მასშტაბური ეკონომიკური ამნისტია მიუღებელი მაშინ, როცა ბიზნესის ზეწოლისგან გათავისუფლების ეგიდით მოვიდა? როგორ შეიქმნება სამუშაო ადგილები მაშინ, როცა ამის ნიშანსაც ვერ ვხედავ? სამწუხაროდ, ბიზნესმენები კატასტროფულ მდგომარეობაში არიან და ახლა იმაზე საუბარი არ დამიწყოთ, რომ ამ დღეში მე ჩავაგდე! ხელისუფლებამ ამ კითხვებს სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებით უნდა უპასუხოს. თუ წინა ხელისუფლების რომელიმე ჩინოვნიკმა ცალკეულ ადამიანს ზიანი მიაყენა, მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად უნდა წარსდგეს და პასუხი აგოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბიზნესმენებს შვება არ მივცეთ... საგანგაშოა, რომ ნარკოტიკების რეალიზატორებს უშვებენ. საინტერესოა, რას ველოდებით ამ ნარკორეალიზატორებისა თუ საშიში დამნაშავეებისგან? — ლექციებს წაიკითხავენ, სხვადასხვა დარგის კვალიფიციურ ექსპერტებად მოგვევლინებიან თუ ამ ტიპის საქმიანობას აღარ გააგრძელებენ? რატომ არ აქვეყნებს შს სამინისტრო ქვეყანაში არსებული დამნაშავეებისა და დანაშაულის სტატისტიკას? რა ხდება და რა მოხდება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით? რას ვახვედრებთ ამდენ გამოშვებულ დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზნით? რატომ გახდა პოლიციის რეფორმა და რებრენდინგი ნომერპირველი თემა, რომელსაც ახალი ხელისუფლება გვთავაზობს? ეს ხომ ის პოლიციაა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის 95% ენდობოდა, რა, სხვა პრობლემა ქვეყანაში არ არსებობს? როგორია სამართალდამცავების დამოკიდებულება ამ კრიმინალურ ვითარებასთან დაკავშირებით? რატომ აღმოჩნდა პროკურატურა სასაცილო მდგომარეობაში მაშინ, როცა პროკურატურის ეზოებში შესვლისთვის „პომპეზური გადასახადი“ დააწესა? — ამ გადასახადის ოდენობა, რასაც გირაო დაარქვეს, 10-დან 20 ათას ლარამდეა. სხვათა შორის, პროკურატურიდან დადასტურებული ბრალდებით გამოსული ერთი ადამიანიც არ მინახავს.

აი, ეს არის იმ კითხვების მცირე ჩამონათვალი, რომლებზეც პასუხები არ მიმიღია. ჩემი მიზანია, ყველა ის პროფესიონალი შემოვიკრიბო, რომელიც ამ ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელს გარყვნის შესაძლებლობას არ მისცემს. ნებისმიერმა ჩინოვნიკმა უნდა გააცნობიეროს, რომ ხელისუფლებაში ყოფნა უდიდესი პასუხისმგებლობაა და არა — ფუფუნება ან მილიონების შოვნის საშუალება.

— **ბატონო გია, გარკვეულწილად, გეთანხმებით, მაგრამ პროკურატურასთან დაკავშირებით, თქვენს პათოსს ვერ გავიზიარებ, რადგან ამ სტრუქტურის შესასვლელში ე.წ. მოსაკრებელი სწორედ მაშინ დაწესდა, როცა მთავრობის საპარლამენტო მდივანი იყავით. გირაო და საპროცესო გარიგებაც ხომ თქვენი მთავრობის იუსტიციის მინისტრმა და მთავარმა პროკურორმა შემოიღეს?**

— მოდი, ერთმანეთისგან ორი მომენტი გავმიჯნოთ: კიდევ ერთხელ, ხაზგასმით ვამბობ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც ვქმნი, ნაციონალური მოძრაობის საადვოკატო კანტორა არ იქნება! დიახ, სწორედ ეს ფორმატი, როგორც საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, საშუალებას მაძლევს, ბევრ და საინტერესო კითხვას ვუპასუხო. იმ შეკითხვებზე პასუხებს ველოდები, რომლებზეც თავის დროზე, გასაგები მიზეზების გამო, წვდომა არ მქონდა, რადგან მთავრობის საპარლამენტო მდივანი არასოდეს აწარმოებს გამოძიებასა და გამოძიებული საქმეების მონიტორინგს. ამის შესაძლებლობა კი, ახლა, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს, ნამდვილად მაქვს და გიმეორებთ, ბევრ შეკითხვაზე მაინტერესებს პასუხი. თავის დროზე, ჩემი კოლეგები მეუბნებოდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოებისგან ზეწოლას, ან უკანონო ქმედებას ადგილი არ ჰქონდა და სწორედ დღევანდელი ფორმატი მაძლევს საშუალებას, გავარკვიო, რა ხდებოდა სინამდვილეში. საერთოდ, მომხრე ვარ, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და შესაბამისად, საკუთარი წილი პასუხისმგებლობა, ჩემიდან დაწყებული, ყველამ გაიზიაროს!

— **კოლეგებისგან პასუხის მიღება, კონკრეტულად, რომელ კითხვებზე გსურთ?**

— ეს შეკითხვები იმისგან, რაც საზოგადოებას აწუხებს და აინტერესებს, არ განსხვავდება, რადგან ნებისმიერი ოპონენტის მსგავსად, მეც ამ საზოგადოებაში ვცხოვრობ... შეგიძლიათ, ჩემი ნებისმიერი გამოსვლა ნახოთ და დარწმუნდებით, რომ ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, ხელისუფლებაში ყოფნა არ ნიშნავს წინასწარ გააზრებული, უკანონო გადაწყვეტილებების შესრულებას და ამაზე პასუხისმგებლობა ნებისმიერ ადამიანს მოუწევს-მეთქი. ჩემი დამოკიდებულება ასეთია: აუცილებელია სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღება, რადგან შემდეგ, ნებისმიერ საჯარო მოხელეს თავის ნამოქმედარზე პასუხი ჰქონდეს. მოკლედ, იმ 8 წლის განმავლობაში, როცა მთავრობის საპარლამენტო მდივანი ვიყავი, ვერ ნახავთ ერთ განცხადებასაც კი, რომელიც ამ დეკლარირებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება!

— **რა ერქმევა თქვენს არასამთავრობო ორგანიზაციას?**

— სახელს ჯერ კიდევ ვაზუსტებთ, თუმცა არასამთავრობოს მთავარი პრინციპი სამართლებრივი გამჭვირვალობა იქნება. რეფორმის, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა თუ გამოძიების პროცესის მონიტორინგს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განვახორციელებთ, რომელიც სამართლებრივი იქნება და მას მხოლოდ იურისტი აწარმოებს. ჯერჯერობით, ვერც იმას გეტყვით, ვინ იქნებიან ამ ორგანიზაციის წევრები, მაგრამ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, შევეცდები, ის ადამიანები არ შემოვიკრიბო, რომლებიც პოლიტიკასთან ასოცირდებიან. ჩემს გვერდით ჭკვიანი იურისტები იქნებიან, ადამიანები, რომლებიც პოლიტიკისგან თავისუფალ, მართლაც, დამოუკიდებელ მონიტორინგს განახორციელებენ.

## ვერსიანიუსი



### ბულგარელ პოლიტიკოსს შეიარაღებული პირი თავს დაესხა

თურქული წარმოშობის ბულგარელ პოლიტიკოსს, აჰმედ დოღანს, სოფიაში, პარტიის ყრილობაზე, პისტოლეტიანი მამაკაცი სცენაზე აუვარდა. ამის შესახებ ინფორმაციასა და ვიდეომასალას სააგენტო „ფრანს პრესი“ ავრცელებს. როდესაც დორანი აუდიტორიას მიმართავდა, სცენაზე უცნობი მამაკაცი აიჭრა და პისტოლეტი ორატორისკენ მიმართა.

ახალგაზრდა მამაკაცმა გასროლა ვერ შეძლო, რადგან დაცვამ, ირგვლივ მყოფმა ხალხმა დააკავა და განაიარაღა. ვიდეოში, რომელზეც მთელი მოვლენაა აღბეჭდილი, ჩანს, რომ მამაკაცი დაცვამ სცემა კიდეც. 58 წლის დოღანი ბულგარეთში თურქული უმცირესობის დამცველად ითვლება. 1990 წლიდან, იგი ბულგარეთის ყველა მოწვევის პარლამენტის წევრია. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიტიკოსი არ დაზარალებულა. თავდამსხმელის გვარი, ამ ეტაპზე, არ ხმაურდება.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



# კომპანია „ვესტ დეველოპმენტის“ მუშები ტექნიკური უნივერსიტეტის პიკეტირებით იმუქრებიან

„მუშა გლეხია და არ იცის, ბიუჯეტი რას ნიშნავს, ვინ წერს მას ან როგორ უნდა განაწილდეს. მუშების დავალიანება 50 კი არა, სულ 20 ათასი ლარია და მალე დავფარავ“

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი შარში არაერთხელ გახვეულა — ხან სტუდენტები უწყობენ რექტორატს საპროტესტო აქციებს, ხან კი, ლექტორები გამოთქვამენ პრეტენზიებს. ამჯერად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პიკეტირებით ის მუშები ემუქრებიან, რომელთაც უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შესრულებული სარემონტო სამუშაოებისთვის კუთვნილი ხელფასი არ გადაუხადეს.**



**გოჩა დარბაიძე, მუშა:** „პირველი კორპუსის სარემონტო სამუშაოებზე 50-მდე ადამიანი ვმუშაობდით. ერთ თვეში 4 700 ლარი უნდა ამეღო, ზოგს — 5 000 და ზოგსაც — 3 000. ყოველდღე გვპირდებიან, რომ ხელფასს მოგვცემენ, მაგრამ გვატყუებენ... “

**კარლო თოდუა, მუშა**: „2 თვე „მალიარად“ ვმუშაობდი, მაგრამ თეთრიც არ ამიღია. ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გვეუბნება, თანხის გადმორიცხვისგან თავს მინისტრი იკავებსო, მაგრამ არ ვიცით, რომელი მინისტრი...“

**ტრისტან ბასილაშვილი, მუშა:** „ოჯახები გვყავს და უფულოდ როდემდე უნდა ვიაროთ? ასე როგორ შეიძლება?!“

ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სარემონტო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „ვესტ დეველოპმენტი“ ასრულებდა. „ვერსია“ ფირმის დირექტორსა და მფლობელს, **ვაჟა სურმანიძეს** დაუკავშირდა:

„მუშები ხელფასს იანვრის ბოლომდე მიიღებენ... მუშა გლეხია და არ იცის, ბიუჯეტი რას ნიშნავს, ვინ წერს მას ან როგორ უნდა განაწილდეს. მუშების დავალიანება 50 კი არა, სულ 20 ათასი ლარია და მალე დავფარავ“.

**ტექნიკური უნივერსიტეტის იურისტის, ბექა მაისურაძის თქმით, სამშენებლო კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები დაარღვია და სამუშაოები დროულად არ შეასრულა:** „იმ სამუშაოების თანხა, რომელიც ამ ფირმამ შეასრულა, გადახდილი გვაქვს, თანხის ნაწილი კი იმიტომ არ ჩაგვირიცხავს, რომ კომპანიამ ტენდერით განსაზღვრული სამუშაო ბოლომდე არ შეასრულა. აღნიშნულ კომპანიასთან ხელშეკრულება 2012 წლის 20 დეკემბრამდე იყო გაფორმებული. სარემონტო სამუშაოები კი, პირველ დეკემბრამდე უნდა დაესრულებინა... ასე რომ, მუშების დავალიანება ტექნიკურ უნივერსიტეტს კი არა, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას აქვს, რომელმაც ხელშეკრულების პირობები დაარღვია... 100 ათას ლარამდე უკვე გადარიცხული გვაქვს, 10 იანვარს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით კი, დარჩენილი თანხა, დაახლოებით, 90 ათასი ლარიც გადაირიცხება“.

**„ვერსიასთან“ საუბრისას ვაჟა სურმანიძემ დაადასტურა, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მის ფირმას 100 ათასი ლარი, მართლაც, გადაურიცხა და ამ თანხით სამშენებლო მასალები შეიძინა, ამასთან, ხელფასების ნაწილი გასცა. სურმანიძე ხელშეკრულების პირობების დარღვევაში, ფირმის იმ ოთხ წარმომადგენელს ადანაშაულებს, რომელიც სამსახურიდან უკვე დაითხოვა.**

*ნინო ხარშილაძე*

# აფბა პროკურატურას კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესწავლას სთხოვს

აფბა-მ განცხადება გაავრცელა, სადაც საუბარია, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა-შენარჩუნების ხელშეწყობის ნაცვლად, კანონმდებლობის უხეში დარღვევებით ხელს უშლის ამ პროცესს.

აფბა-ს პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე აცხადებს, რომ მათი ორგანიზაციის მიერ შესწავლილი ერთი კონკრეტული ფაქტიც კი საკმარისია, მაკონტროლებლები კომუნიკაციის კომისიის საქმიანობით სერიოზულად დაინტერესდნენ.

**„ჩვენმა ორგანიზაციამ კომუნიკაციების რეგულირების სფეროში საკმაოდ ბევრი პრობლემა დააფიქსირა. გადავწყვიტეთ, ცალკეული საკითხები შეგვესწავლა და საზოგადოება, კონკრეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით, საქმის კურსში ჩაგვეყენებინა“,** — აცხადებს ნოდარ ჭიჭინაძე. მისი თქმით, ერთ-ერთი კონკრეტული პრობლემური თემაა მობილურ ოპერატორებს შორის ურთიერთჩართვის ტარიფის საკითხი. ეს არის კომპანიებს შორის ურთიერთანგარიშსწორების ერთგვარი ფორმა, რომელსაც ყველა მობილური ოპერატორი ექვემდებარება, რათა სხვადასხვა ოპერატორებს შორის ურთიერთკავშირი შეუფერხებლად ხდებოდეს. ამ ტარიფის ზღვრულ დონეს მარეგულირებელი კომისია განსაზღვრავს. აფბა-ს პრეზიდენტის განცხადებით, მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთი მოთამაშის, „ბილაინის“ ინტერესების სასარგებლოდ, სხვა ოპერატორების („მაგთიკომი“ და „ჯეოსელი“) მიმართ მარეგულირებელი კომისიის მხრიდან, დროის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე, ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მიდგომას.

აფბა-ს მიერ წარმოდგენილი კონკრეტიკა ასეთია: კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 მაისის დადგენილებით, რომელიც იმავე წლის 1 აგვისტოს ამოქმედდა, ურთიერთჩართვის ტარიფები შემდეგნაირად განისაზღვრა: „მაგთისა“ და „ჯეოსელს“ „ბილაინისთვის“ ქსელში ჩართვისთვის უნდა გადაეხადათ წუთში 14.8 თეთრი, „ბილაინს“ კი იგივე მომსახურებისთვის აღნიშნული კომპანიებისთვის 8-თეთრიანი ტარიფი განესაზღვრა ანუ სხვაობამ 6.8 თეთრი შეადგინა. ნოდარ ჭიჭინაძის განცხადებით, ეს სხვაობა დიდია და კომპანიებისადმი ასეთი დისკრიმინაციული მიდგომა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის უხეში დარღვევაა.

**„თავიდან, ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო ის, რომ „ბილაინი“ ბაზარზე ახალი მოთამაშე გახლდათ და მას გარკვეული შეღავათები, ხელშეწყობა სჭირდებოდა, რათა ბაზარზე ძალაუფლება მოეპოვებინა, თუმცა 2011 წლის მაისში, როდესაც კომპანიის წილმა ბაზარზე 15%-ს გადააჭარბა ანუ გახდა ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშე, კომუნიკაციების კომისიამ ტარიფის გადახედვის საკითხი არ დააყენა დღის წესრიგში. მარეგულირებელმა ამ ტარიფების გადახედვა მხოლოდ 2011 წლის ნოემბერში მოახდინა და ახალი ტარიფი 2012 წლის თებერვლიდან ამოქმედდა. ამდენად, თითქმის ერთი წელი კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ აჩუქა „ბილაინს“, რათა მას დაახლოებით, შვიდი თეთრით დიდი ურთიერთჩართვა მიეღო, რაც ჩვენი შეფასებით უსამართლოა“,** — ამბობს ნოდარ ჭიჭინაძე.

მისი თქმით, დღეს „მაგთი“ და „ჯეოსელი“ „ბილაინს“ 11 თეთრს უხდიან ანუ ურთიერთჩართვის ტარიფში განსხვავება სამ თეთრს შეადგენს. ამასთანავე, ჭიჭინაძე ამბობს, რომ მარეგულირებელმა კომისიამ თითქოსდა იმის სადემონსტრაციოდ, რომ ურთიერთჩართვის ტარიფში სხვაობა სხვა ქვეყნებშიც არის, შესაბამისი სტატისტიკა გამოაქვეყნა, რითაც საკუთარი თავის საწინააღმდეგო ინფორმაცია გაავრცელა.



კერძოდ, რუმინეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში, ისლანდიაში, დანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, დიდ ბრიტანეთში და კიდევ ბევრ ქვეყანაში ურთიერთჩართვის ტარიფში განსხვავება საერთოდ არ არის, გერმანიაში სხვაობა არის 0.006 ცენტი ანუ, ფაქტობრივად, არ არის რეალური სხვაობა, თურქეთში იგივე მაჩვენებელი — 0.7 ცენტს შეადგენს, ბელგიაში — 1-ს, ესპანეთში — 1-ს და ა.შ. აფბა-ს პრეზიდენტის თქმით, მოყვანილი სტატისტიკა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ — არ შეიძლება სხვადასხვა კომპანიებისთვის ურთიერთჩართვის ტარიფი განსხვავებული იყოს და რამდენიმე კომპანია ბაზრის რომელიმე მოთამაშეს ასუბსიდირებდეს, ვინაიდან სუბსიდირება არ არის ის ფორმა, რომლითაც ბაზრის ახალ მოთამაშეს შეიძლება შეეწყოს ხელი.

**„ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გამოვყავით რამდენიმე ძირითადი საკითხი. კერძოდ, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ბაზრის მოთამაშეების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა გამოიჩინა, რაც კანონის დარღვევაა. ამასთანავე, მარეგულირებელმა გულგრილობა გამოიჩინა და თვალი დახუჭა „ბილაინის“ მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მოპოვების ფაქტზე, რის შედეგადაც, სატარიფო პოლიტიკა ამ კომპანიის მიმართ უნდა შეცვლილიყო და ამით კომპანია „ბილაინს“ ერთი წლით გაუხანგრძლივა „სასათბურე პირობები“, რაც ასევე კანონდარღვევაა.**

**დაბოლოს, მარეგულირებელმა კომისიამ ხელი შეუწყო ბაზრის 2 მოთამაშის მიერ მესამე კომპანიის ფაქტობრივ სუბსიდირებას. ეს ქმედება კანონდარღვევად ითვლება“,** — აღნიშნავს ჭიჭინაძე.

აფბა მიიჩნევს, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აღნიშნული კანონდარღვევები არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. ნოდარ ჭიჭინაძის თქმით, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ დეტალურად სწავლობს საკომუნიკაციო სფეროში არსებულ ვითარებას და მიმდინარე კვლევების შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას მიაწვდის. რაც შეეხება წარმოდგენილ ფაქტებს, მათი სამართლებრივი შესწავლის თხოვნით, აფბა მთავარ პროკურატურას მიმართავს და იმედოვნებს, რომ ეკონომიკა ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც გახდება რეალურად საბაზრო ნიშნების მატარებელი, რაც ერთ-ერთი უპირველესი პირობაა ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის მიღწევის გზაზე.



## პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"-ს 2012 წლის ფინანსური მდგომარეობის (შემოსავალ-გასავლის) ანალიზი

1. დაფინანსების წყაროები:

| | |
|---|---|
| 1.1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | – 476 967. 31 ლარი; |
| 1.2. პარტიის წესდებით განსაზღვრული შენატანი | – 133 470. 84 ლარი; |
| 1.3. "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი"-ს დაფინანსება | – 53 333. 23 ლარი. |
| 1.4 სესხი | – 795 492. 00 |

სულ: 1 459 263. 38 ლარი.

2. ხარჯვითი ნაწილი:

| | |
|---|---|
| 2.1. შრომის ანაზღაურება-გაცემული ხელფასები | – 259 630. 00 ლარი; |
| 2.2. ოფისის იჯარის ხარჯები | – 147 497. 91 ლარი; |
| 2.3. ოფისის შენახვის სხვა ხარჯები | – 343 110. 59ლარი; |
| 2.4. "საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი"-ს დაფინანსების მიზნობრივი ხარჯები | – 53 318. 40 ლარი. |
| 2.5 სარეკლამო ხარჯები | – 652 968. 70 ლარი |

სულ: – 1 456 525. 60 ლარი.

3. სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში რიცხული თანხის ოდენობა:

| | |
|---|---|
| 3.1. სალაროს ნაშთი | – 11.15 ლარი; |
| 3.2 "თი ბი სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი | – 4 844. 89 ლარი. |

პ/გ "ახალი მემარჯვენეები"-ს აღმასრულებელი მდივანი — რ. სოხაძე

მთ. ბუღალტერი — ლ. ვაჩიბერიძე

ინდივიდუალური აუდიტორი — ე. მიქელაძე

ინდივიდუალური აუდიტორი ეკატერინე მიქელაძე, სერტიფიკატი ზN%/093

ქ. თბილისი — 17 იანვარი 2013 წ.

რეგისტრაციის ნომერი: 1-170113

### აუდიტორული დასკვნა

პოლიტიკური გაერთიანება **"ახალი მემარჯვენეები"-ს**
საარჩევნო კომპანიის ფონდის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორის ეკატერინე მიქელაძის მიერ ჩატარებული იქნა პოლიტიკური გაერთიანება **"ახალი მემარჯვენეები"**-ს 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და წლიური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 11.07.2001 წ., რეგისტრაციის მოწმობა № 142, საიდენტიფიკაციო კოდი№ 204427833, იურიდიული მისამართი ჟ. კალანდაძის ქ. № 3.

2. მე ჩავატარე აუდიტი საქართველოს 1995 წლის 7 თებერვლის კანონის *"აუდიტორული საქმიანობის შესახებ"* 22-ე მუხლის თანახმად. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაში.

3. აუდიტისათვის წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტების და საანგარიშგებო მონაცემების მომზადებაზე, მათ სისრულეზე და სინამდვილეზე პასუხისმგებლობა აკისრია ზემოთაღნიშნული საწარმოს ხელმძღვანელს. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დაშვებას, რომ საწარმოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარია. ჩვენს პასუხისმგებლობას შეადგენს ის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ აზრი მოცემული ანგარიშგების უტყუარობაზე.

4. ჩვენი აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, პოლიტიკური გაერთიანება **"ახალი მემარჯვენეები"** კომერციულ საქმიანობას არ ეწევა. მის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, აღმასრულებელ ხელისუფლების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, ხოლო მისი დაფინანსება ძირითადად ხდება სახელმწიფო დაფინანსების, საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების ხარჯზე. ბუღალტრული [illegible] (IFRS) [illegible] 2013 [illegible]

დამოუკიდებელი აუდიტორი — ეკატერინე მიქელაძე 17.01.2013 წ.

შ ე მ უ შ ა ვ ე ბ უ ლ ი ა
ბასს 1 და ბასს 7-ის მიხედვით

ს ა წ ა რ მ ო ს  ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი  ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

2013 წლის 1 იანვარი-სთვის

წარედგინება ერთ საწარმოზე თუ საწარმოთა ჯგუფზე ერთი

საწარმოს (ჯგუფისათვის – სათაო საწარმოს) საიდენტიფიკაციო ნომერი № 204427833

საფირმო სახელწოდება პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა პოლიტიკური გაერთიანება

იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჟ. კალანდაძის ქ. №3

დარგი (საქმიანობის სახე) პოლიტიკური საქმიანობა

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები"

ბ ა ლ ა ნ ს ი

| | საანგარიშო პერიოდის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|
| მიმდინარე ა ქ ტ ი ვ ე ბ ი , სულ: | 10471 | 12038 |
| ფულადი სახსრები | 4361 | 4856 |
| მოკლევადიანი ინვესტიციები | – | – |
| დებიტორული დავალიანება მიწოდ. და მომსახურებიდან | – | – |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 5849 | 6401 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | – | – |
| წინასწარ გაწეული ხარჯი და გადახდილი გადასახადი | 261 | 780 |
| მისაღები დივიდენდები, პროცენტები, ანალოგ. მოთხ. | – | – |
| სხვა მიმდინარე აქტივები | – | – |
| გრძელვადიანი ა ქ ტ ი ვ ე ბ ი , სულ: | 13996 | 12199 |
| ძირითადი საშუალებები | 5800 | 4054 |
| არამატერიალური აქტივები | 4196 | 4145 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | – | – |
| გრძელვადიანი მოთხოვნები | – | – |
| გრძელვადიანი ინვესტიციები | 4000 | 4000 |
| მ.შ. კაპიტალ-მეთოდით აღრიცხ. ინვესტიციები | – | – |
| სულ ა ქ ტ ი ვ ე ბ ი : | 24467 | 24237 |

| | | |
|---|---|---|
| მოკლევადიანი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი , სულ: | 1 | 1 |
| ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 0 | 0 |
| მოკლევადიანი სესხები | – | – |
| საგადასახადო ვალდებულებები | – | – |
| გასაცემი დივიდენდები, პროცენტები, ანალოგ. ვალდ. | – | – |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | – | – |
| გრძელვადიანი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი , სულ: | – | – |
| გრძელვადიანი სესხები | – | – |
| ანარიცხები | – | – |
| გადავადებული მოგების გადასახადი | – | – |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | – | – |
| გადავადებული შემოსავალი | – | – |
| სულ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი : | 1 | 1 |
| კ ა პ ი ტ ა ლ ი | | |
| საწესდებო კაპიტალი | – | – |
| გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი | – | – |
| მ.შ. მიმდინარე წლის მოგება / ზარალი | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 24466 | 24236 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| სულ კ ა პ ი ტ ა ლ ი : | 24466 | 24236 |
| [illegible] | 24467 | 24237 |

## აფენელები ხელისუფლებას ზარალის ანაზღაურებას სთხოვს

ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა ხელისუფლებას ზარალის სრულად ანაზღაურებას სთხოვს.

ადგილობრივების თქმით, ზარალის დამთვლელი კომისიის მიერ შევსებული განცხადებები ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შეცვალეს, რათა დაზარალებულებმა მცირე კომპენსაცია აიღონ.

კახელი გლეხებისთვის მიუღებელია 100-ლარიანი კომპენსაციაც. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ზარალის სრულად აუნაზღაურებლობის შემთხვევაში, ისინი პერმანენტულ საპროტესტო აქციებს გამართავენ.

გლეხების პროტესტს ლაგოდეხის გამგებელი გამოეხმაურა. ვლადიმერ ალიბეგაშვილი აცხადებს, რომ მოსახლეობა კომპენსაციას იმ გეგმის მიხედვით მიიღებს, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაითვალა.

სტიქიით დაზარალებული გლეხებისთვის კომპენსაციების დარიგება ხვალიდან იწყება.

*„ინტერპრესნიუსი“*

ზურაბ გამრეკელი

# „აგრი", ბერძნული „დეპა" და რუსეთის კრიმინალური ენერგოთამაშები

## ბუნებრივი აირის ზღვით ტრანსპორტირება საქართველოს ინტერესებშია —

„აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი ინტერკონექტორის" (**AGRI**) პროექტი საქართველოდან ევროპაში თხევადი გაზის ტანკერებით, შავი ზღვის გავლით, ტრანსპორტირებას გულისხმობს. ამ პროექტმა სტარტი 2010 წლის 13 აპრილს, ქალაქ ბუქარესტში აიღო, როცა აზერბაიჯანს, საქართველოსა და რუმინეთს შორის გაზის მიწოდების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულება, რომელსაც მოგვიანებით, უნგრეთიც შეუერთდა, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროდან რუმინეთის პორტ კონსტანცას მარშრუტით, ტანკერებით გათხევადებული აზერბაიჯანული გაზის ევროპაში მიწოდებას ითვალისწინებს. 2010 წლის ბოლოს, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე, ამ პროექტში გაწევრიანების შეთანხმებაზე ხელი უკრაინასაც უნდა მოეწერა, მაგრამ თურქეთის მკვეთრი პროტესტის გამო, კიევი ჯერჯერობით „აგრის" მიღმაა.

აღსანიშნავია, რომ პროექტში თავიდანვე, სახელმწიფო კომპანიები — აზერბაიჯანის „სოკარი", საქართველოს „ნავთობისა და გაზის კორპორაცია", რუმინეთის „რომგაზი" მონაწილეობდნენ. მოგვიანებით, პროექტში უნგრეთის **MVM**-იც ჩაერთო.

თავდაპირველად, 4-6 მლრდ ევროს ღირებულების პროექტის განხორციელება იყო გათვალისწინებული. რუმინეთის ხელისუფლებაში აცხადებდნენ, რომ ბუქარესტი უზრუნველყოფდა ამ პროექტისადმი ევროკავშირის ფინანსურ მხარდაჭერას, რაც დღემდე არ განხორციელებულა. მოგვიანებით, სავარაუდოდ, ევროკავშირში ფინანსური კრიზისის გამწვავების გამო, პროექტი სამ ეტაპად დაიყო (თითოეულ ეტაპს შესაბამისი ბიუჯეტი აქვს) და ამჟამად განიხილება:

პირველი ეტაპი: „სოკარის" ყულევის ტერმინალში, წელიწადში 2 მლრდ კუბმეტრი გათხევადებული გაზის წარმოება, რაც 1.2 მლრდ ევრო ეღირება.

მეორე ეტაპი: იმავე ტერმინალში წლიური 5 მლრდ კუბმეტრი გაზის წარმოება, 3 მლრდ ევროს ხარჯთაღრიცხვით.

მესამე ეტაპი: 8 მლრდ კუბმეტრი გაზის წლიური წარმოება, 4.5 მლრდ ევროს ხარჯთაღრიცხვით.

ექსპერტების თქმით, უმჯობესი იქნება, რომ თხევადი გაზის კომპრესიის ტერმინალი არა ყულევში, არამედ სუფსაში აშენდეს. ეს პორტი ყველაზე ახლო წერტილი და აზერბაიჯანიდან თურქეთისკენ გადაჭიმული „სამხრეთკავკასიური გაზსადენის" (**SCP**) შავი ზღვის სანაპირომდე, მოკლე ჩანართით, ადვილად დასაკავშირებელია, თან გაზსადენი სამხრეთ-დასავლეთ საქართველომდე უკვე არსებული „ბაქო-სუფსას ნავთობსადენს" „გაჰყვება", რაც შედარებით, იაფი დაჯდება. ამასთან, სუფსასთან მისი დაკავშირებისა და იქ გაზის გათხევადების შემთხვევაში, გაზის გამყიდველი ქართული მხარე იქნება.

ბაქო ცდილობს დაასაბუთოს, რომ აზერბაიჯანული გაზის ექსპორტისთვის, უმჯობესია, „სოკარის" კუთვნილი ყულევის ტერმინალი (**BST Ltd**) გამოიყენოს. ამ მიზნით, „სამხრეთკავკასიური გაზსადენიდან" (**SCP**) ყულევამდე გაზი ახალი მილსადენით იქნება მიყვანილი. ამ პოზიციის არსებობას ისიც ადასტურებს, რომ 2010 წელს „სოკარმა" ყულევის 2 ტერმინალის რეკონსტრუქცია იმგვარად „მოახდინა", რომ მდინარე ხობისწყლის შესართავში ღრმა „დედვეითის" მქონე გაზის ტანკერები ადვილად შევიდნენ და, თურქეთისა და რუსეთის გვერდის ავლით, აზერბაიჯანული გაზით დატვირთულებმა, გეზი პირდაპირ ევროპისკენ აიღონ.

## „აგრი" — ბაქოს ახალი ენერგეტიკული იარაღი

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა, ნ. ალიევმა აღნიშნა, რომ „აგრი" მნიშვნელოვანია როგორც აზერბაიჯანისთვის, რომელსაც 2 ტრლნ კუბმეტრი დაზვერილი გაზის მარაგი აქვს, ასევე — ევროპისათვის. ამასთან, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერმინალები აშენდება ყულევსა (კომპრესიის) და კონსტანცაში (დეკომპრესიის), ანუ მინისტრმა ღიად დაუჭირა მხარი გაზის ყულევში, „სოკარის" ტერმინალში გათხევადებას. ტრანსპორტირების მარშრუტებზე პროექტის პარტნიორების განსხვავებული შეხედულების მიუხედავად, საბოლოოდ, ყველა მხარე შეთანხმდა, რომ „სამხრეთ კავკასიური გაზსადენიდან" (**SCP**) საქართველოს შავი ზღვის სანაპირომდე თურქეთის გვერდისამქცევი მილი მივა.

აზერბაიჯანისთვის ამ პროექტის განხორციელება ხელსაყრელი იმიტომაა, რომ კასპიის რესურსების მიწოდების მარშრუტების მონოპოლიზება და კასპიის სხვა მწარმოებელთა ამ მარშრუტებზე დაშვების შეზღუდვა, მისი სტრატეგიული ინტერესია (მსგავსი პროექტია „ტრანსანატოლიური გაზსადენის" პროექტი **TANAP**, რომლითაც ბაქო ცდილობს, „შაჰ-დენიზისა" და, მომავალში, შესაძლოა, ცენტრალური აზიის გაზიც პირდაპირ ევროკავშირში, თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე გაყიდოს).

„აგრის" განხორციელებამ ევროკავშირის მხარდაჭერილ სხვა პროექტებზე, მაგალითად, ე.წ. დიდი ცენტრალურაზიური გაზის საექსპორტო „ტრანსკასპიური გაზსადენის" ან ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" სტრატეგიულ პროექტებზე, შეიძლება, ნეგატიურად იმოქმედოს, რადგან ის, გარკვეულწილად, ფინანსური რესურსების „გაბნევა-გაფანტვას" გამოიწვევს, თუმცა „აგრის" განხორციელება ჩვენი რეგიონისთვის მომგებიანი იქნება, რადგან სერიოზულ ინვესტიციებს მოიზიდავს როგორც საქართველოს, ასევე — აზერბაიჯანის ეკონომიკაში.

გასათვალისწინებელია, რომ „აგრის" რუმინეთის, უნგრეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანისადმი გარკვეული გაღიზიანება შეიძლება მოჰყვეს შავი ზღვის რეგიონის ისეთი სერიოზული პოლიტიკური აქტორების მხრიდან, როგორებიც არიან რუსეთი და თურქეთი ან ისეთი ცენტრალურაზიური „რესურსმფლობელებიდან", როგორებიცაა ყაზახეთი და თურქმენეთი. ყველაზე მეტად, „აგრი" მაინც თურქეთის ინტერესებს აზარალებს.

საქმე ისაა, რომ 2012 წლის ზაფხულიდან განახლდა აზერბაიჯან-თურქმენეთ-ევროკომისიის მოლაპარაკებები „ტრანსკასპიური გაზსადენის" (**TCGP**) პრობლემატიკაზე, რაც ანკარას ცენტრალური აზიის ბუნებრივი აირის ტრანზიტის პერსპექტივას უსახავს. ცოტა ხნის წინ კი, ცნობილი გახდა, რომ „**BP**-აზერბაიჯანი" „შაჰ-დენიზი 2"-ის პროექტის ფარგლებში, აზერბაიჯანიდან საქართველოს საზღვრამდე ახალი გაზსადენის აგებას აპირებს, რომელიც „სამხრეთკავკასიურ გაზსადენს" (**SCP**) დაუკავშირდება. საამისოდ, კომპრესორების დამატებით, მისი წარმადობის ორჯერ გაზრდა და მასში „ტრანსკასპიური გაზსადენით" (**TCGP**)



თურქმენული გაზის მიღებაა გათვალისწინებული. საბოლოო ჯამში, მთელი ეს გაზი, თურქეთის გავლითა და წარმადობაგაზრდილი „ტრანსანატოლიური გაზსადენით" (**TANAP**), ევროკავშირისკენ წავა. ამიტომ, „აგრის" პროექტამდეანკარა თავს ყოველთვის კასპიისპირეთისა და ევროკავშირის დამაკავშირებელ, რუსეთის გვერდისამქცევ „ჰაბად" მიიჩნევდა, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ რუსეთის კი არა, თურქეთის გვერდისამქცევი საზღვაო პროექტის განხორციელება, ანკარას ინტერესებს ეწინააღმდეგება.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზის ტანკერებით ტრანსპორტირებას გამორიცხავს ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანი". ევროკომისიის მიერ მიღებულ კომუნიკაციებში ნახსენები იყო საქართველოსთვის სტრატეგიულად უფრო ხელსაყრელი „თეთრი ნაკადის" გაზსადენი. ამასთან, ევროკომისიის დოკუმენტებში მილსადენებზეა საუბარი, „აგრით" კი, თხევადი გაზის რუმინეთში გადატანა ზღვით, ე.ი. ტანკერებითაა გათვალისწინებული.

„აგრის" სერიოზული კონკურენტი შეიძლება, ბულგარეთიც გახდეს. კერძოდ, 2012 წლის 26-27 აპრილს, ბულგარეთის პრემიერის, ბოიკო ბორისოვის აზერბაიჯანში ვიზიტისას, ბაქოში ხელი მოეწერა ყულევის ტერმინალიდან აზერბაიჯანული დაჭირხლული გაზის (**CNG**, რაც გათხევადებული გაზისგან ანუ **LNG**-სგან განსხვავდება) ბულგარეთში ტრანსპორტირების დოკუმენტს. მოკლე ხანში კი, იგივე ბულგარეთის პრემიერმა ბრიუსელში, ევროსაბჭოს თავმჯდომარე ჰენრიხ ვან რომპეისთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ბულგარეთი აზერბაიჯანული დაჭირხლული გაზის (**CNG**) ვარნასა და ბურგასში მიწოდების შესაძლებლობას საქართველოს, კერძოდ, ბათუმის ტერმინალის გავლით განიხილავს. ზემოაღნიშნული წინააღმდეგობების მიუხედავად, რუმინეთის წინადადებით, ქალაქ ბუქარესტში დაფუძნდა „აგრის" განმახორციელებელი რუმინეთ-საქართველო-აზერბაიჯან-უნგრეთის ერთობლივი კომპანია **SC AGRI LNG Project Company SRL (AGRI),** რომელსაც „სოკარის" ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი ბეგლიარბეკოვი ხელმძღვანელობს და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტაციაც მომზადებულია. 2012 წლის 28 ივნისს ხელმოწერილია საკონსულტაციო კონტრაქტი ბრიტანულ „პენსპენ ლიმიტედთან". ბუქარესტში მიაჩნიათ, რომ „აგრი", „ნაბუქოსთან" ერთად, „სამხრეთის გაზის დერეფნის" ერთ-ერთი უმთავრესი პროექტი გახდება, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებას.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ „აგრის" პროექტმა, უპირველეს ყოვლისა, თურქეთისთვის პარადოქსული სიტუაცია შექმნა: 2011 წლის მიწურულს, მოსკოვისათვის „სამხრეთის ნაკადის" გაზსადენის თურქეთის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში გაყვანის უფლების მიცემით, ანკარამ უკრაინა რუსული სატრანზიტო სქემის მიღმა დატოვა. „აგრის" პროექტი კი, არა მარტო რუსეთ-უკრაინას, არამედ, დასავლეთის სატრანზიტო ქვეყნებს შორის, ერთი მხრივ, თურქეთის და, მეორე მხრივ, საქართველო-აზერბაიჯანის ენერგეტიკულ ურთიერთობებსაც ძაბავს.

არაა გამორიცხული, რომ ბაქო „ტრანსანატოლიურ გაზსადენზე" (**TANAP**) მიმდინარე მოლაპარაკებებში „აგრის" ანკარაზე ზეწოლისთვის იყენებდეს — ბოლო თვეებია, ეს მოლაპარაკებები რამდენჯერმე გადაიდო. ამან კი, შესაძლოა, ბაქოს მხრიდან საქართველოსთან დაკავშირებულ „აგრის" (**AGRI LNG**) და ბულგარეთ-საქართველო-აზერბაიჯანის დაჭირხლული გაზის (**CNG**) პროექტების განხორციელების დაჩქარებას შეუწყოს ხელი.

## რა აკავშირებს „აგრის" ბერძნული „დეპას" პრივატიზებასთან

საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტებს, ერთი შეხედვით, აღარაფერი ემუქრება, მაგრამ გასული წლის გაზაფხულიდან, საბერძნეთის კრიზისის გამწვავების გამო, მათი რეალიზება მოულოდნელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ საბერძნეთის სახელმწიფო აქტივების სააგენტოს (**TAIPED**) მიერ 35 საპრივატიზაციო პროექტს შორის განიხილება გაზგამანაწილებელი კომპანია „დეპას" 100%-სა და მისი ფილიალის, საბერძნეთის გაზის ქსელის ოპერატორის — „დესფას" 65%-ის პრივატიზების საკითხი. ამასთან, „დეპა" „ინტერკონექტორი საბერძნეთი-ბულგარეთის" (**IGB**) პროექტის ერთ-ერთ დამფუძნებელია, „დესფა" კი — საბერძნეთის ბულგარეთსა და თურქეთთან დამაკავშირებელი გაზსადენების, ასევე, საბერძნეთის გაზის გათხევადების ერთადერთი ტერმინალის ოპერატორი კომპანია. ამიტომ მათი რუსეთის ხელში გადასვლა „აგრის" პროექტს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის, ვინაიდან ბერძნული გაზის ქსელი ბულგარეთში რუსულ „სამხრეთის ნაკადს" დაუკავშირდება, რაც ბალკანეთის ქვეყნებისთვის „აგრის" საჭიროებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

ამ თემის ირგვლივ აშშ-ს, ევროპისა და რუსეთის ინტერესების დაპირისპირების გამო, საკითხმა, ეკონომიკურზე მეტად, პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. შედეგად, საბერძნეთის მთავრობაში პრივატიზაციის გადადებას არ გამორიცხავენ. რუსულმა კომპანიებმა — „გაზპრომმა" და „სინთეზმა" (ტენდერში ამ უკანასკნელის ფილიალი „ნეგუსნეფტი" მონაწილეობს), ათენს საკმაოდ დიდი თანხის გადახდა შესთავაზეს. რუსულ პრესაში უკვე ღიად აცხადებენ, რომ რუსულ „გაზპრომს" აინტერესებს ბერძნული გაზგამანაწილებელი კომპანია „დეპა" და მისი ფილიალი „დესფა", რუსულ ბანკ „ვი-ტი-ბის" კი, ბანკ „მარფინ პოპულარის" ხელში ჩაგდების იმედი აქვს.

როგორც ჩანს, იმ დროს, როცა ათენს დასავლური მილიარდობით ევროს დახმარება, პრაქტიკულად, ამოეწურა, რუსული ინვესტიციები ამ ქვეყნისკენ მოძრაობას მხოლოდ ახლა იწყებენ. ამას წინათ, „გაზპრომის" მაღალჩინოსნის, ალექსანდრე მედვედევის ათენში ვიზიტიდან და მისი ამ ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრ გიორგოს პაპაკონსტანტინოსთან შეხვედრიდან ერთი დღის შემდეგ, საბერძნეთის სახელმწიფო ქონების ფონდმა გაზგამანაწილებლი „დეპას" 100%-ისა და ქსელის ოპერატორ „დესფას" 65%-ის პრივატიზების შესახებ განაცხადა. არაოფიციალურად, ყველაზე დიდი ინტერესი რუსულმა მხარემ გამოამჟღავნა. ინტერესთა გამოხატვის პროცესი 22 მარტს უნდა დასრულდეს. მთელი ტენდერის ჩატარებისთვის კი, 20 კვირაა გამოყოფილი.

საპასუხოდ, აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩმა რიჩარდ მორნინგსტარმა საბერძნეთის მთავრობა გააფრთხილა, რომ რუსების ხელში გაზის ქსელის გადასვლა „გაზპრომის" მონოპოლიურ მდგომარეობას განამტკიცებს. საბერძნეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ენერგეტიკის საკითხებზე მსჯელობა ექნება მოსკოვსა და ვაშინგტონში დაგეგმილი ვიზიტების დროს.

საბერძნეთის გაზგამანაწილებელ კომპანია „დეპას" პრივატიზებაში, სავარაუდოდ, მხოლოდ რუსული კომპანიები მიიღებენ მონაწილეობას. გაზეთ „ფაინეშნლ თაიმსის" ინფორმაციით, „გაზპრომი" და „სინთეზი" კონკურსში მარტო დარჩნენ. ბრიტანული გამოცემა ხაზს უსვამს, რომ საბერძნეთის მთავრობა ამ აქტივს, ალბათ, 1.5 მლრდ ევროდ დააფასებს, ვინაიდან მას სჭირდება ბიუჯეტის შევსება და „კრედიტორთა ტროიკის" წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულება. გაზეთის აზრით, გაყიდვის დროს ერთ ლოტში მოხვდებიან თვით „დეპა" და მისი ფილიალი „დესფა". ბოლო დრომდე, ამ აქტივის ერთ-ერთ აქტიურ პოტენციურ მყიდველად აზერბაიჯანული „სოკარიც" განიხილება.

## რუსული „სინთეზის" კრიმინალური კვალი

აღსანიშნავია, რომ თუ „გაზპრომი" რუსეთის უდიდესი სახელმწიფო კომპანიაა, „სინთეზი" კერძოა. ამასთან, „გაზპრომის" მიერ ბერძნული გაზგამანაწილებელი კომპანიის ხელში ჩაგდება, 2013 წლის გაზაფხულიდან ძალაში შესული ევროკავშირის „მესამე ენერგეტიკული პაკეტის" აკრძალვის გამო გართულდება — გაზმომარაგება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია სხვადასხვა კომპანიების ხელში უნდა იყოს. ფორმალურად, ამ მოთხოვნიდან გამოსავლად შეიძლება, „გაზპრომის" მიერ „დეპას" ყიდვა, ან „სინთეზის" მიერ „დესფას" შეძენა და შემდეგ, მათი ერთმანეთში გაცვლა იქცეს, მაგრამ ევროკომისიის მიერ „გაზპრომის" წინააღმდეგ ანტიმონოპოლიური გამოძიების მიმდინარეობის ფონზე, მოვლენათა ასეთი გზით განვითარება არარეალურია, ამიტომ, „გაზპრომის" ინტერესი, სავარაუდოდ, მხოლოდ „დეპათი" შემოიფარგლება. „დესფას", ანუ გაზის ქსელის ოპერატორის გამო კი, სავარაუდოდ, ერთმანეთს აზერბაიჯანული „სოკარი" და რუსული კერძო კომპანია „სინთეზი" დაუპირისპირდებიან. აზერბაიჯანული კომპანია 100%-ით სახელმწიფოს კუთვნილებაა, ჯგუფი „სინთეზი" კი, როგორც რუსულ ენერგეტიკაში მოქმედი უამრავი სხვა სტრუქტურა, ბურუსითმოცული ოფშორული კომპანიების დაჯგუფებაა, რომელსაც რუსეთის ფედერაციის საბჭოში ჩუვაშეთის წარმომადგენელი ანუ სენატორი ლეონიდ ლებედევი უდგას სათავეში.

ლეონიდ ლებედევმა, რამდენიმე მეგობართან ერთად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ბრიტანეთში „სინთეზ კორპორეიშნ", რუსეთში კოოპერატივი „სინთეზი" და „კორპორაცია სინთეზ ოილ ინვესტი", აგრეთვე, ავტოგასამართების ქსელი „ფირმა ვაო რ. პრიმი" დააფუძნა. ამ უკანასკნელის თანადამფუძნებელთა შორის იყო ოთარ (თენგო) არშბა, „ევრაზ-ჰოლდინგის" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი. ალექსანდრე აბრამოვის ეს კომპანია, რომელიც „ჭიათურმანგანუმში" 132 მილიონს იხდიდა, ტენდერიდან გაქცევის შემდეგ, იმით დაგვამახსოვრდა, რომ საქართველოს მთავრობა თავს იმართლებდა, მისგან ბე-ს სახით გადახდილი 20 მილიონი დოლარი მაინც დაგვრჩაო (ო. არშბა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, „ედინაია როსიას" წევრია და 1994 წლის აპრილამდე რუსული უშიშროების ოფიცერი იყო). არსებული ინფორმაციებით, ლებედევის გვერდით იმ წლებში იდგა რუსეთის ახლანდელი პრემიერის, დიმიტრი მედვედევის მეგობარი, „გაზპრომის" გამგეობის წევრი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, „კა-გე-ბე"-ს ყოფილი ოფიცერი კონსტანტინ ჩუიჩენკო. ასევე, „გაზპრომბანკის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ილია ელისეევი.

ეს ჯგუფი ნებისმიერ სამუშაოზე თანახმაა. ასე, მაგალითად, 2001-2002 წლებში ლებედევი და მისი მეგობრები — ალექსანდრ ჟუკოვი (ბორის ბერეზოვსკის მეგობარი ქალის, დარია ჟუკოვას მამა), მარკ გარბერი, ანდრეი ვაჟნიკი, „კა-გე-ბე"-ს ყოფილი ოფიცერი ანატოლი ფედორენკო, ასევე, უკრაინის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ევგენი მარჩუკი და უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი, შემდგომში, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ყოფილ იუგოსლავიაში, იტალიის სამართალდამცავმა ორგანოებმა, 30 ათასი „კალაშნიკოვისა" და 10 ათასამდე სხვადასხვა რაკეტის კონტრაბანდის გამო დააკავეს. ისინი გაასამართლეს ქალაქ ტურინის სასამართლოში და ერთი წელი და 11 თვე მიუსაჯეს, მაგრამ რუსეთის მთავრობის ჩარევის შედეგად, 2004 წელს გაათავისუფლეს.

აი, ასეთი შემადგენლობაა წარმოდგენილი გაზისა და ნავთობის თანამედროვე ევროპულ ბაზარზე რუსული ოფშორული ენერგოკომპანიების სახით, რაც ნებისმიერი გარიგების გაფორმებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია.

# გაიაფდება თუ არა ბენზინი და დიზელი საქართველოში?



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**ბენზინისა და დიზელის საწვავის გაიაფების რა რესურსი აქვთ ნავთობპროდუქტების კომპანიებს საქართველოში და შემცირდება თუ არა ბენზინის ან დიზელის ფასი — ბოლო დროს, საზოგადოების ყველა ფენას, სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ეს კითხვები აწუხებს. ზოგადად, საწვავის ფასზე, თითქმის ყველა სახის პროდუქტის ფასია დამოკიდებული, რადგან ფასწარმოქმნის სისტემაში, ტრანსპორტირების ხარჯი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. არანაკლებ აქტუალურია, არსებობენ თუ არა მონოპოლიური კომპანიები საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე. შემთხვევითი არ არის, რომ საკმარისია, მონოპოლიასა და, ზოგადად, მონოპოლისტებზე ჩამოვარდეს საუბარი, ნებისმიერს მაშინვე ცნობილი ნავთობპროდუქტების ან ფარმაცევტული კომპანიები ახსენდება. რა ხდება სინამდვილეში? მონოპოლიზებულია თუ არა ნავთობპროდუქტების ბაზარი და გაიაფდება თუ არა საწვავი საქართველოში? „ვერსიას“ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი ესაუბრება.**

## საწვავის გაიაფების რესურსები

ბენზინისა და დიზელის საწვავის მაღალი ფასი, მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ ეს პრობლემა აშშ-ს, ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებს თანაბრად აწუხებს: **„მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში, საწვავის მაღალი ფასის გამო, გადამზიდავები და ფერმერები გაიფიცნენ. მშრალ სტატისტიკას რომ გადავავლოთ თვალი, შარშან, ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასის კორექტირება 20-ჯერ მოხდა, ფასი 12-ჯერ შემცირდა, 8-ჯერ გაიზარდა და საწვავის რეკორდულად მაღალი ფასი დაფიქსირდა როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე — ამერიკის შეერთებულ შტატებში. რაც შეეხება ბოლო პერიოდის დინამიკას, საწვავის ფასი რამდენჯერმე შემცირდა, მაგალითად, 2012 წლის სექტემბრიდან, ამავე წლის დეკემბრის ბოლომდე, 20 თეთრით გაიაფდა და ამ პერიოდში, საწვავის ფასის მატების შემთხვევა არ დაფიქსირებულა“.**

საწვავის გაიაფება ზოგადი ტენდენციაა, მაგრამ სულ სხვა თემაა, რა რესურსი გააჩნია ამა თუ იმ კომპანიას. „ვერსიასთან“ საუბრისას, ვანო მთვრალაშვილმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია, ნავთობპროდუქტების კომპანიებს საწვავის ფასის შემცირების რესურსი ჰქონდეთ და პროდუქტს არ აიაფებდნენ:

**„ბიზნესი მშვიდ გარემოში უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ რამდენიც უნდა ვისაუბროთ თავისუფალ ბაზარზე, ბიზნესი მაინც დიდი ყურადღებით აკვირდება ხელისუფლების რიტორიკას, რომელიც სხვადასხვა კომპანიებს ფასების შემცირებისკენ მოუწოდებს. ამ ფონზე, თუ კომპანიას რესურსი აქვს, ის აუცილებლად შეძლებს ფასის დაწევას. ზოგადად, საწვავის გაიაფების რესურსის არსებობა დამოკიდებულია საერთაშორისო ფასებსა და იმაზეც, რა პოლიტიკას განსაზღვრავენ ნავთობკომპანიები სამომავლოდ. გასულ წლებში, ამ კომპანიებს საინვესტიციო პოლიტიკა და ინფრასტრუქტურული განვითარება განსაზღვრული ჰქონდათ. მეტიც, წინა ხელისუფლება აქცენტს დიდბიუჯეტიან პროექტებზე აკეთებდა და აქედან გამომდინარე, ნავთობკომპანიებმა საკმაოდ დიდი ფულადი რესურსი ჩადეს. მაგალითისთვის, ცენტრალური მაგისტრალის გორის მონაკვეთზე ორ, მულტიფუნქციურ ბენზინგასამართ სადგურს შეგახსენებთ, რაც „სოკარმა“ და „ვისოლმა“ განახორციელა — აქ საერთაშორისო სტანდარტის სუპერმარკეტი, ავტომობილის ტექ-მომსახურება, კაფე, დასასვენებელი ადგილი და სველი წერტილი ფუნქციონირებს“.**

რაც შეეხება ბენზინისა და საწვავის ფასის კორექტირებას, ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ ეს თავიდან ბოლომდე, ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასზეა დამოკიდებული. ნავთობპროდუქტების კომპანიას, გარკვეული რენტაბელობაც სჭირდება, ეს არის ფასნამატი, რომელიც კომპანიის მიმდინარე ხარჯებისა და ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს: **„ალმაშენებლის ხეივანზე რომ გაიაროთ, სხვადასხვა ტიპის ბენზინგასამართი სადგური შეგხვდებათ, ბრენდირებულიც და უსახელოც. ისინი მომხმარებლებს საწვავის სხვადასხვა ფასს სთავაზობენ, მაგრამ ფასს შორის სხვაობა, 5-10 თეთრია. უსახელო ბენზინგასამართი სადგურების მიმდინარე ხარჯი დიდი არ არის და აქ სრულიად თავისუფლად შეიძლება, ბენზინისა და დიზელის საწვავი შედარებით იაფად გაიყიდოს. რაც შეეხება დიდ, ქსელურ კომპანიებს, მათ დიდი ხარჯი აქვთ, რადგან ასეთ კომპანიებში საკმაოდ დიდი რაოდენობის პერსონალია დასაქმებული. გარდა ამისა, ქსელურ კომპანიებს კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა აქვთ, რაც დსთ-ს სივრცეში, ერთ-ერთი საუკეთესოა, ვგულისხმობ „სოკარს“, „ვისოლსა“ და სხვა ქსელურ კომპანიებს. თითოეული ქსელის ინფრასტრუქტურა ევროკავშირის პარამეტრებს შეესაბამება, ამიტომ იქ ჩადებული დანახარჯი გაცილებით დიდია, ვიდრე ცალკე აღებულ, რომელიმე ბენზინგასამართ სადგურზე. სასტუმროების მაგალითზე რომ ავხსნათ, ხომ არსებობს სამი, ოთხი და ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები? შესაბამისად, ეს სასტუმროები მომხმარებლებს სხვადასხვა ფასებსა და მომსახურებას სთავაზობენ. უსახელო ბენზინგასამართ სადგურებსა და დიდ, ბრენდირებულ ქსელურ კომპანიებს შორისაც სწორედ ასეთი სხვაობაა“.**

ვანო მთვრალაშვილმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ ვინაიდან საქართველოს სტრატეგიული მიმართულებაა ტურიზმის განვითარება და გვაქვს მაგისტრალი, სადაც დიდი რაოდენობით ტრანზიტული ტვირთები გადის, აუცილებელია, ბენზინგასამართი სადგურების ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული და მიმზიდველი იყოს. მისი თქმით, ესეც ქვეყნის სახე და იმიჯია, რადგან ტურისტი ან ტრანზიტორი ბენზინგასამართ სადგურს გვერდს ვერ აუვლის. ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ ბოლო წლებში, ნავთობკომპანიების ძირითადი მიმართულება, ქვეყნის იმიჯზე ზრუნვა იყო.

## მონოპოლისტები ნავთობპროდუქტების ბაზარზე

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისა და ხელისუფლების გადაბარების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილი, პრემიერ-მინისტრის რანგში, პირველად ბიზნესმენებს შეხვდა, კატეგორიულად მოსთხოვა მონოპოლიების დაშლა, პროდუქტებზე მონოპოლიური ფასების დაწესების მიზნით, კარტელურ გარიგებაში მონაწილეობა აუკრძალა და ფასების შემცირებისკენ მოუწოდა. ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ნაციონალური მოძრაობა ბიზნესს ატერორებდა, ახლა კი სამართალდამცავი სტრუქტურები ქონებაჩამორთმეული მეწარმეების საჩივრებს ველარ აუდიან.

საინტერესოა, არის თუ არა ნავთობპროდუქტების ბაზარი მონოპოლიზებული ან კონკრეტულად, რა საფრთხეს გრძნობდნენ ბიზნესმენები წინა ხელისუფლების პირობებში:

> **„რამდენიც უნდა ვისაუბროთ თავისუფალ ბაზარზე, ბიზნესი მაინც დიდი ყურადღებით აკვირდება ხელისუფლების რიტორიკას, რომელიც სხვადასხვა კომპანიებს ფასების შემცირებისკენ მოუწოდებს“**

**„ანტიმონოპოლიური რეგულირების აღდგენა ანუ კონკურენციის პირობების შექმნა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ასეთი კანონმდებლობა ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მოქმედებს. მონოპოლისტად მიიჩნევა კომპანია, რომელიც ამა თუ იმ ბაზრის 100%-იან წილს ფლობს. ნავთობპროდუქტების ბაზარზე კი 5 კომპანია ფუნქციონირებს, რომელთა ხვედრითი წილი ბაზარზე, ჯამში, 90%-ია ანუ ამ ბაზრის 10% აუთვისებელია. ეს კი ნიშნავს, რომ ამ ბაზარზე მონოპოლისტები არ არიან, მომხმარებელს არჩევანის საშუალებაც აქვს და თვითონვე წყვეტს, „გალფის“ საწვავი შეიძინოს, „ვისოლისა“ თუ „სოკარის“. ასე რომ, ბაზარზე გიგანტი კომპანიები არიან. ზოგადად, ნავთობკომპანია რომ განვითარდეს, რამდენიმე კომპონენტია საჭირო და ზურგს ნავთობგადამამუშავებელი ან ქარხანა უნდა უმაგრებდეს. ასეთ შემთხვევაში, ბაზარზე მისი დომინანტობა გარდაუვალია. „სოკარს“, „ლუკოილსა“ და „რომპეტროლს“, რომელიც „ყაზმუნაიგაზის“ შვილობილია, საკუთარი ქარხნები აქვთ, რაც შეეხება „ვისოლს“, დიდი ხანია, ეს კომპანია ბაზარზე ოპერირებს და პირველი ქართული ნავთობკომპანიაა, რომელმაც ქსელური განვითარება დაიწყო. მართალია, „ვისოლს“ საკუთარი გადამამუშავებელი ქარხნები არ აქვს, მაგრამ საუკეთესო მენეჯმენტის ხარჯზე განვითარდა. რაც შეეხება „გალფს“, ამ თემაზე საუბარი ჩემგან არაკორექტული იქნება, რადგან საზოგადოებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. რაც მთავარია, მიმდინარეობს გამოძიება, ძველი მფლობელები ჩივიან და საკუთარი უფლებების აღდგენას აპირებენ. ერთი მხარე ამბობს, რომ „გალფის“ ამჟამინდელმა მფლობელებმა კუთვნილი კომპანიები წაართვეს, მეორე მხარე კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს“.**

მართალია, ვანო მთვრალაშვილი აღნიშნავს, რომ ნავთობპროდუქტების ბაზარზე მონოპოლისტები არ არიან, მაგრამ საინტერესოა, თვენახევრის წინ, რატომ აუკრძალა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებს კარტელურ გარიგებაში მონაწილეობა ან როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ კონკურენტი ნავთობკომპანიები ზუსტად ერთსა და იმავე დღეს, 5-10 თეთრით აძვირებდნენ ან პირიქით, აიაფებდნენ საწვავს:

**„ამ კომპანიებს შორის იყო და ახლაც არის კონკურენცია. რომელ კომპანიასაც მეტი რეალიზაცია ექნება და მომხმარებელს უკეთეს მომსახურებას შესთავაზებს, ცხადია, არჩევანს მასზე შეაჩერებენ. ნავთობკომპანიებს შორის კონკურენცია დღესაც გრძელდება. შეთანხმების გამო, არც ერთ კომპანიას არ გაუძვირებია საწვავი, მაგრამ, როდესაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლება, რის გამოც, ერთმა კომპანიამ ბენზინი ან დიზელი გააძვირა, მეორეც იძულებულია, ასე მოიქცეს, რათა მომხმარებელი არ დაკარგოს. შარშანდელი სტატისტიკა რომ ავიღოთ, კომპანიების რეალიზაცია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე წინა წლებში და როდესაც საწვავის მოხმარება არ მცირდება, კომპანიები ხელოვნურად ნამდვილად არ გარიგდებიან“.**

ბოლო დროს, ბევრს საუბრობენ, რომ მეზობელ სომხეთში საწვავი 40 თეთრით იაფია, ვიდრე საქართველოში. რაც მთავარია, სომხეთში ნავთობპროდუქტები სწორედ საქართველოს გავლით შედის. ვანო მთვრალაშვილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს: **„ასე არ არის, სომხეთში საწვავი 10-15 თეთრით მცირეა, ისიც იმიტომ, რომ საქართველოსა და სომხეთის საგადასახადო კანონმდებლობა, რომლითაც იმპორტირებული საწვავი იბეგრება, განსხვავებულია. საქართველოში, დიზელის საწვავის აქციზის ფიქსირებული გადასახადი, 1 ტონაზე — 150 ლარია, დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) — 12%, სომხეთში კი — 1 ტონა დიზელზე, საბაჟო ღირებულების 10%-იანი გადასახადია. ბენზინის შემთხვევაში, აქციზის გადასახადი სომხეთში იმის ნახევარია, რაც საქართველოში მოქმედებს. მთავარი კომპონენტია საწვავის ხარისხი. მეზობელ ქვეყანაში უხარისხო საწვავი იყიდება, რასაც ადგილზე, სხვადასხვა მინარევებს ამატებენ“.**

## ვინ არიან ნავთობპროდუქტების ბაზრის მონოპოლისტები



## „ოცნების“ დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ქუთაისი საპორტო ქალაქი გახდეს



ქუთაისის საპორტო ქალაქად გადაქცევის იდეა ტელეკომპანია „რიონი 2“-ის ეთერში „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრმა, პროფესორმა ომარ ნიშნიანიძემ გააჟღერა. მისი თქმით, არსებობს აკადემიკოსების მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ქუთაისის საპორტო ქალაქად გადაქცევა სრულიად შესაძლებელია, თუ რიონის დაღრმავება მოხდება ვარციხემდე. ნიშნიანიძის თქმით, ამის შემდეგ ,,ქუთაისის პორტში“ საოკეანო გემების ვერა, მაგრამ საზღვაო გემების შემოსვლა შესაძლებელი გახდება.

**„მაგალითად, ქუთაისი შეიძლება იყოს საპორტო ქალაქი, შეიძლება, ეს ოცნების სფეროა, მაგრამ წამიკითხავს უამრავი გამოჩენილი აკადემიკოსების სტატია, ეს ეხებოდა ვარციხემდე რიონის დაღრმავებას. იყო ვარაუდი“,** — განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ.

*„ნიუპოსტი“*

## „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტი“ აზარტული თამაშების რეკლამირების აკრძალვას ითხოვს



არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტი“ მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით აზარტული თამაშების რეკლამირების აკრძალვის ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განცხადება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობასთან გამართულ აქცია-ბრიფინგზე გააკეთეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია აპირებს, რომ ამ იდეას კანონპროექტის სახე მისცეს და განსახილველად პარლამენტში შეიტანოს.

*„მედიანიუსი“*

## იულია ტიმოშენკოს სამუდამო პატიმრობა ემუქრება



უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატის, ევგენი შჩერბანის მკვლელობის გამოძიება დასრულებულია, — ამის შესახებ ბრიფინგზე უკრაინის გენერალურმა პროკურორმა, ვიქტორ პშონკამ განაცხადა. გამოძიების მიხედვით, მკვლელობის შემკვეთები იულია ტიმოშენკო და პაველ ლაზარენკო იყვნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ლაზარენკომ დანაშაულებრივ ჯგუფს 500 ათასი დოლარი გადაუხადა, ხოლო ტიმოშენკომ — 2,3 მილიონი. ისინი პირადად ხვდებოდნენ დამნაშავეთა ჯგუფის ლიდერებს და მათთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, მკვლელობის მოტივი კი, ბიზნესინტერესები იყო. წაყენებული ბრალდების გარდა, ახალი ბრალდების დამატების შემდეგ, უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სამუდამო პატიმრობა ელის. ტიმოშენკოს ადვოკატი ყველა ბრალდებას უარყოფს და დახმარებისთვის საერთაშორისო საზოგადოებას მიმართავს.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# სააკაშვილთან გატარებული ათი ღამე



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**„სააკაშვილს ნუ გადავაყენებთ, მტრისას, ისეთ სუნს დააყენებს!“ — ეს 20 იანვარს, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან გამართულ გამაფრთხილებელ აქციაზე, რომელსაც ორგანიზატორებმა „ღირსების შეკრება“ უწოდეს, ყველაზე აქტუალური ხუმრობა იყო, თუმცა ხუმრობის ავტორს არავინ მოუსმინა და აქციაში მონაწილე ასეულმა ადამიანმა, კოალიცია „ერთსულოვნებასთან “, თემურ შაშიაშვილის, კახა კუკავას, დავით თარხან-მოურავისა და ჯონდი ბაღათურიას პარტიებთან ერთად, სააკაშვილი პრეზიდენტობიდან ჯერ ნაშუადღევს „გადააყენა“, შუაღამისას კი, საქართველოდანაც „გააცილა“.**



სპეციალური რეპორტაჟი პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან „დაცემული“ ღირსების კარვიდან

**20 იანვარს, 13 საათისთვის, საპრეზიდენტო რეზიდენციის რკინის მესერი სააკაშვილის შიშველი ნახატებით იყო მორთული. „გაშიშვლებულ მეფეს“ სახელდახელოდ მოწყობილი სცენიდან აქციის ორგანიზატორები და მონაწილეები მიმართავდნენ. ამასთან, კოალიცია „ერთსულოვნებამ“ საგანგებო განცხადება გააკეთა, დღეიდან, 10 ღამის განმავლობაში, სახალხო ზეიმს გავმართავთ და პრეზიდენტის პოსტიდან სააკაშვილის მოშორებას ვიზეიმებთო. ამასობაში, აქციას ცნობილი სპორტსმენები, ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეებიც, მათ შორის, ნუგზარ კვაშალი, რევაზ ძოძუაშვილი, რეზო ჩხეიძე, ნონა გაფრინდაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ვახტანგ ტატიშვილი და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა სახეები, და ასევე ლადო ბედუკაძეც შეუერთდნენ. როგორც „ვერსიას“ ვახტანგ ტატიშვილმა განუცხადა, მანაც და, საერთოდ, იქ შეკრებილებმა საქართველოს კონსტიტუცია მშვენივრად იციან და პრეზიდენტი მათ ვერ გააცურებს:** „არ ვიცი, ამ აქციებით რა შეიცვლება, მაგრამ ვიცი, რომ არასოდეს შევიცვლები, რადგან მინდა, საქართველოში სამართლიანობა დამყარდეს! არ აქვს მნიშვნელობა, კანონსა და კონსტიტუციას მე დავარღვევ, პრეზიდენტი თუ მომავალი მთავრობა, კანონდარღვევაზე პასუხი ყველამ უნდა აგოს! სააკაშვილი არაადეკვატური ადამიანია, არ მგონია, ამ აქციით რამე შეიცვალოს, მაგრამ ჩვენი მიზანია, საკუთარ და საერთაშორისო საზოგადოებას ვაჩვენოთ, რომ არ ვტყუვდებით და კონსტიტუცია ძალიან კარგად ვიცით! სხვათა შორის, აქციების შედეგი უკვე სახეზეა — პრეზიდენტის გადადგომაზე ხელს მილიონზე მეტი ადამიანი აწერს. ის კი არ გვინდა, არიქა, სააკაშვილი დავხვრიტოთ ან რეზიდენციაში შეუცვივდეთ, არამედ, მხოლოდ იმას ვაფიქსირებთ, რომ ქართველი ხალხი არ ტყუვდება“.

**„ღირსების შეკრებას“ რამდენიმე პოლიტპატიმარიც შეუერთდა. „ხალხის სახელით“ ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიტპატიმარი მელორ ვაჩნაძე გვესაუბრა:** „რა თქმა უნდა, არ გვაქვს უფლება, სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოვართვათ, მაგრამ ის ქვეყნის პრეზიდენტი აღარაა. ძალიან ბევრი გიჟი ვიცი, ვინც თავს გენერალს უწოდებს. ახლაც, ერთ-ერთი ასეთი გიჟი ამ სასახლეშია, ამიტომ, უნდა შევუძახოთ: მიშა, შენ პრეზიდენტი აღარ ხარ, უბრალო მოქალაქე ხარ! მივმართავ ახალგაზრდებს: ამოვიდნენ რეზიდენციასთან, აქ ერთად გავატაროთ საღამოები და სააკაშვილს მოვთხოვოთ, დატოვოს პრეზიდენტის სკამი. ჩვენ ვაღიარეთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტობა 21 იანვრიდან ოფიციალურად გადაეცემა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს“.

**პარტია „ქართული დასის“ მიმართვის ერთი ადრესატიც დავით უსუფაშვილი იყო. „დასის“ ლიდერმა, ჯონდი ბაღათურიამ „ვერსიას“ განუცხადა, პარლამენტმა საკუთარი გადაწყვეტილებების კორექტირება მილიონი ადამიანის ნებისა და ხელმოწერის მიხედვით უნდა მოახდინოსო:** „ჩემი პარტია ემხრობა კოალიცია „ერთსულოვნების“ მოთხოვნას — პრეზიდენტი, რომელმაც ამდენი დანაშაული ჩაიდინა, თანამდებობიდან უნდა გადადგეს და სასამართლოს გადაეცეს. ჩემი აზრით, ეს სავსებით რეალური და შესრულებადი მოთხოვნაა, რადგან მილიონი ხელმოწერა, რაც შევაგროვეთ, ქართველი ხალხის ნებას გამოხატავს. ამ ხელმოწერებს, სხვათა შორის, ორი ადრესატი ჰყავს: პრეზიდენტი და პარლამენტი. სამართლებრივი პროცედურები პრეზიდენტის იმპიჩმენტით უნდა დაიწყოს და შემდეგ, მომზადდეს სააკაშვილის გასამართლებისთვის. ახალი ხელისუფლება და პარლამენტი კი საკუთარი პოლიტიკური ნების კორექტირებას ხალხის ნების გათვალისწინებით მოახდენს. ასე თუ არ იქნება, მაშინ ჩვენც საპასუხო მოქმედებები გვექნება!“

**საპასუხო მოქმედებებს კი „ვერსიისთვის“ უკვე „თეთრების“ ლიდერი და „ღირსების“ შეკრების ერთ-ერთი ორგანიზატორი თემურ შაშიაშვილი აანონსებს:**

„მილიონი კაცის სახელით, მივმართავ ევროპარლამენტის ასამბლეას — არც ერთი ქვეყანა ასეთ პრეზიდენტს არ იგუებდა, მაშინ საქართველოს რას ერჩით? თუ პარლამენტი არ მიიღებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის გადაწყვეტილებას, რისი იურიდიული უფლებაც აქვს, ე.ი. მან დაიჩოქა სააკაშვილის უცხოელი მეგობრების წინაშე! საქართველოს კი დაჩოქილი პარლამენტი და პრეზიდენტი არ სჭირდება! პირველი ოქტომბრის მონაპოვარი მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის გასამართლება... 21 იანვრიდან კი, სააკაშვილი უკვე ჩვეულებრივი მოქალაქეა და ადმინისტრაციას უნდა მოვთხოვოთ, რეზიდენციაში საშვის გარეშე აღარ შეუშვას!“

**როგორც შეკრების მიმდინარეობისას დაანონსდა, 20 იანვრიდან, მომდევნო 10 დღეს აქციის მესვეურები და მონაწილეები სააკაშვილის რეზიდენციასთან დაცემულ ბანაკში გაატარებენ და ამ „თეთრი ღამეების“ მერე სასურველ შედეგს თუ არ მიიღებენ, უფრო რადიკალურ მოქმედებებსაც დაიწყებენ.**



# „ნატახტარში“ OHSAS 18001:2007 სტანდარტები დაინერგა

**კომპანია „ნატახტარმა“ ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის OHSAS 18001:2007 სერტიფიცირება წარმატებით გაიარა. OHSAS-ის სტანდარტების დანერგვა კომპანიაში უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და სამუშაო რისკების შემცირებას უზრუნველყოფს. „ნატახტარი“ პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელმაც ამ სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო. ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის მთავარი ამოცანაა, საშუალება მისცეს ორგანიზაციას, გააკონტროლოს ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების რისკები და გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა. OHSAS 18001:2007 სერტიფიკატისა და სტანდარტების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი ხათუნა ჩხაიძე გვესაუბრება.**

პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის სერტიფიცირება გაიარა



— ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის OHSAS 18001:2007 სერტიფიცირება კომპანიამ წარმატებით გაიარა. მართლაც საამაყოა, რომ საქართველოში პირველი კომპანიაა „ნატახტარი“, რომელმაც ამ სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო. სერტიფიცირების პროცესი საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა, თუმცა ეს სტანდარტი დღეს ეხმარება კომპანიას გააუმჯობესოს უსაფრთხოების კულტურა, შეამციროს სამუშაო რისკები, შექმნას უსაფრთხო გარემო ბიზნესის წარმოებისთვის.

**— ქალბატონო ხათუნა, კონკრეტულად რა პროცედურების გავლა მოუწია კომპანიას სერტიფიკატის მისაღებად?**

— სერტიფიცირების პროცესში ჩართული იყო კომპანიის მთელი პერსონალი. ჩვენ დავუკავშირდით „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას“ და ამ სერტიფიკატის მიღების სურვილი გამოვთქვით. სერტიფიცირების ფარგლებში, მოვიწვიეთ ექსპერტები, რომელთა ზედამხედველობით, პერსონალთან, ასევე წარმოებასთან დაკავშირებული ყოველდღიური საფრთხეები შეფასდა და მათი შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებები განხორციელდა. კერძოდ, ექსპერტებმა დაათვალიერეს ქარხანა, გადაიღეს ფოტოები და დეტალურად მოგვაწოდეს ინფორმაცია არსებული რისკების შესახებ. იყო ელემენტარული პრობლემები, რომლებიც დაბალ რისკებად შეფასდა და რომელთა აღმოფხვრა, ერთ საათშიც შესაძლებელი იყო, თუმცა არსებობდა უფრო მაღალი რისკებიც, რაზეც შედარებით ხანგრძლივი მუშაობა დაგვჭირდა. ამისთვის კომპანიაში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ტექნიკური დირექტორით, ლოჯისტიკის დირექტორითა და ყველა იმ პასუხისმგებელი პერსონალით დაკომპლექტდა, რომლებსაც არსებულ რისკებთან უშუალოდ შეხება ჰქონდათ. კვირაში ერთხელ, კომიტეტის შეხვედრა იმართებოდა, სადაც დავალებებს ანაწილებდნენ, შემდეგ თითოეული წევრი და პასუხისმგებელი რგოლი ცდილობდა, დროულად აღმოეფხვრა რისკები. ამ სერტიფიკატის მიღების სურვილი საკმაოდ დიდი იყო ქარხანაში, ამიტომ მიზნის მისაღწევად, დიდი ძალისხმევა და მონდომება გაგვიჭირდა. მთავარი იყო, მომსახურე პერსონალის ცნობიერების ამაღლება და გარკვეულწილად, მათი ფსიქოლოგიის შეცვლა, რომ ეს აუცილებელი პროცედურაა. როდესაც ექსპერტი ორი თვის შემდეგ ისევ გვესტუმრა, გაოგნებული დარჩა, ისე დროულად დახვდა ყველაფერი მოგვარებული. საბოლოოდ, სამოთხ თვეში, იმ დონემდე მივედით, რომ აუდიტის ჩასატარებლად, უკვე მასერტიფიცირებელი ორგანოს TUV SUD-ის ექსპერტები მოვიწვიეთ. პროცესი საკმაოდ მკაცრად წარიმართა, თითოეული წვრილმანი გადამოწმდა, თუმცა ჩვენ ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ და საბოლოოდ, სერტიფიკატი მივიღეთ.

**— აღნიშნული სერტიფიკატის მიღება ნიშნავს, რომ კომპანია საბოლოოდ აკმაყოფილებს სტანდარტებს, თუ სამომავლოდ, პერიოდულად გადაამოწმებთ არსებულ სისტემას?**

— რისკი ყოველთვის იარსებებს, უბრალოდ, ჩვენ მაქსიმალურად დაცულები უნდა ვიყოთ. სიფხიზლეა საჭირო, რათა არსებულ რისკზე სწრაფი რეაგირება მოვახდინოთ, რადგან წარმოებაში, პრევენციას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა არსებობს საფრთხეები, რომლებსაც ვერ აღმოფხვრი. OHSAS 18001:2007 – ეს არის სტანდარტი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას, გააკონტროლოს მომსახურე პერსონალი და მათი სამუშაო პროცესის რისკები, ასევე გააუმჯობესოს არსებული მდგომარეობა. რა თქმა უნდა, არსებულ სისტემას პერიოდულად გადავამოწმებთ და მოწვეული ექსპერტები აუდიტსაც ჩაატარებენ.

**— თანამშრომლები თუ არიან ინფორმირებული სისტემის შესახებ და როგორია მათი დამოკიდებულება?**

— თანამშრომლების ერთსულოვნება დიდი იყო. გარკვეული ტრენინგების ჩატარება ნამდვილად დაგვჭირდა, თუმცა ყველა პასუხისმგებლობით მოეკიდა თავის საქმეს. რამდენჯერმე განვახორციელეთ ხელოვნური განგაშიც და გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით, საკმაოდ ძვირადღირებული, პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობა შევიძინეთ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ სამუშაო პროცესში, თანამშრომლებმა თავი უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნონ. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ნებისმიერი წარმოება მოიცავს გარკვეულ რისკებს და ვცდილობთ მათ მინიმიზაციას. OHSAS-ის სერტიფიკატი იმის დასტურია, რომ კომპანია „ნატახტარის“ თანამშრომლებისთვის სამუშაო პროცესის გამართულობა, ასევე უსაფრთხოება, უკვე ჩვევა და ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

ქვათა მატიანე

# ნაისას გამოცანები

## ცენტრალური ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი











ნაისას ტაძრის ხედები, მისი ბალავარი და წარწერის ფრაგმენტი

პრტენას სამხრეთიდან თითქმის ზედ აკრავს მეორე ქართული სოფელი ჩუნჩხა. მიჯნად მიჩნეულია ერთი საკმაოდ ძველი სტელა და იქვე შემორჩენილი რომელიღაც დანგრეული ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვა. პრტენის მსგავსად, მოსახლეობის 35 პროცენტი აქაც ხულოს რაიონიდან 1989 წელს მოსული ეკომიგრანტია. დანარჩენი მოსახლეობა აბორიგენია: **მელიქიძეები, სასაძეები, ზარიძეები, თოთაძეები, ბერიძეები, ლონდარიძეები, ლომსაძეები, ბარამიძეები, აღდგომელაძეები, ნათენაძეები, ოქროაძეები** და **გოგოლაძეები. არიან ცერცვაძეებიც, რომლებიც ადრე გოროხოვები ყოფილან.**

ჩუნჩხის ეკლესია მხოლოდ 1835 წელსაა აგებული ძველი საყდრის ადგილზე. აღსანიშნავია, რომ აქ წირვა-ლოცვა გასული საუკუნის 30-იან წლებამდე მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ, კომუნის ჩამოყალიბებისთანავე, სოფლის აქტივისტებს მღვდლები (კავილაძე და ლომიძე) გაუძევებიათ, სამრეკლოდან ზარი ჩამოუხსნიათ და ეკლესია ბეღლად უქცევიათ.

სოფელში, ლონდარიძეების ფუძესთან, შემორჩენილია 4-5 ტონა ტევადობის უზარმაზარი მარცვლეულის ქვევრი და ძველებური, გვირგვინიანი საცხოვრებელი დარბაზი, რომელიც თანამედროვედ მოუწყიათ.

ჩუნჩხის მიდამოებში არის შემდეგი ნასოფლარები და ნაეკლესიარები: **გოჩა, ნაისა, ალჯუა, ცხეკნელა.** ჩვენ სწორედ მათ სანახავად მივეშურებით და ჩუნჩხიდან ფარავნისწყლის (იგივე ჯავახეთის მტკვრის) ქარაფზე ჩამავალ გზას მივუყვებით. სანამ ნაისამდე მივალთ, გოჩა უნდა გავიაროთ, რომელიც, ერთი თვალის შევლებით, წინარე ქრისტიანულ ნამოსახლარს ჰგავს. საამისო ეჭვს აღძრავს შემაღლებულ ადგილზე შემორჩენილი ციკლოპური წყობის კოშკის ფრაგმენტი, ქარაფზე ჩამავალი გალავნის ფუძე და სამიათასწლოვანი კერამიკის ანაკრეფი მასალა. ეს გორა-ნამოსახლარის კვალია.

გზიდან მოშორებით, თუმცა თვალმისაწვდომ მანძილზე, ერთი მოხუცი რუს პირს უფართოვებს. მიახლოებული თვალს არ ვუჯერებ — თითქოს მამაჩემი გაცოცხლებულა! დარბაისლური ღიმილით გვეგებება და ნაჯაფარ მაჯას გვიწვდის.

— მგონი, უფალმა გამომიგზავნა თქვენი თავი.. კინოს იღებთ? — მეკითხება დაბნეულს.

— დიახ, — უპასუხებს ჩემს ნაცვლად ჩემი ქალიშვილი სალომე, — ნაისას ტაძარი ახლოსაა?

— ახლავე, თქვენ გენაცვალეთ. ეს რა კარგ საქმეზე ყოფილხართ ჩამოსულები, — ამბობს და მარჯვენა ფეხის მოცვლისას ვამჩნევ, რომ ძლიერ აწუხებს. — ჩემი ოქრო ქალი, ჩემი ოქრო შვილიშვილი, აბა, მომეხმარე პაპასა და წინ-წინ ვიაროთ. — მიმართავს იგი სალომეს.

წინ-წინ მიდიან. მოხუცი ცალი ხელით ჯოხს ეყრდნობა, ცალით სალომეს მხარს (სიარულიც მამაჩემს უგავს) და რაღაცაზე ეხუმრება, მე და ოპერატორი მგონი, აღარ ვახსოვართ. ათი წუთის შემდეგ ტაძარს მივუახლოვდით. მოხუცი დიდი გაჭირვებით, ისევ სალომეს დახმარებით, ტაძრის მორღვეულ ლოდზე დგება და ხელჯოხით რაღაცაზე მიანიშნებს. სოზარი კამერას შტატივზე ამაგრებს და მუშაობას იწყებს — თავდაპირველად „პაპა-შვილიშვილს“ იღებს.

ჩვენი თხრობა მთლად გამოცხადებას რომ არ დაემსგავსოს, ნაისელი მოხუცი ახლოს უნდა გაგაცნოთ. იგი **შალვა მელიქიძე** გახლავთ, ჩუნჩხელია, მაგრამ მთელ ზაფხულს ნაისას ბაღში ატარებს და ჩოდოლში (იქვე გამართულ დროებით სახლში) ცხოვრობს. მწყაზარი სახე, დაბინდული



შალვა მელიქიძე და სალომე ქოქიაშვილი

ცისფერი თვალები, პატარა, კეხიანი ცხვირი და დახვეწილი ქართული მეტყველება აქვს. ტიპიური ჯავახია. როგორც გვიან შევიტყე, პროფესორ ბორის ლომსაძესთან ერთად, ჩუნჩხა-ხერთვისის ახალი სამანქანო გზის გაყვანის ინიციატორი და ორგანიზატორი სწორედ ბატონი შალვა ყოფილა.

— მელიქიძე კი ვარ, მაგრამ ჩემი შორეული წინაპრები ზევდგინიძეები ყოფილან, — ამბობს იგი.

— გვარი ცერცვაძეებსაც აქვთ შეცვლილი, ადრე გოროხოვები იყვნენ, არა? — ვახსენებ მე.

— დიახ, მაგრამ ჩვენ ზევდგინიძეთა ისეთივე ჩამომავლები ვართ, როგორც ამილახვრები, ეგენი კი ძირად რუსები არიან. ცერცვაძეებს მეტსახელად დრაგუნებსაც ვეძახდით სოფელში და ამით იმას ვმოწმობდით, რომ მათი წინაპარი რუსის ჯარს ჩამორჩენილი დრაგუნი იყო. ახლა ნაისაზეც გეტყვით. ნა სპარსულად ლერწამს ნიშნავს. გახსოვთ, რუსთაველი რომ ამბობს, „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“?

პარტენიდან მოყოლებული ჩუნჩხამდე ფარავნის წყლის ხრამში სხვა საბალე ადგილებიც არის: **ლოდრონა, თეთრლოდები, ბუღუტაური, სამლებრო, საფუტკრე, კირის ჭალა, წითელკოტაკი და ქოროღლის გზა.**

ამ ადგილებში ყველგან ცივი და გემრიელი წყაროებია, რომლებსაც სასმელადაც იყენებენ და სარწყავადაც. მაღლა, ჩუნჩხაში წყარო არ არის და სოფელი წყალს აქედან ეზიდება სახედრებით. ნაისას ტაძარი X საუკუნისაა. იგი სუფთად გათლილი დიდი, ღვინისფერი კვადრებითაა აგებული. დარბაზული ეკლესიის კამარა ჩამონგრეულია და თაღების ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. ჩამორღვეულია სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების დიდი ნაწილიც. ასე თუ ისე, შემონახულია აფსიდი კონქით და დასავლეთ კედელი.

როგორც გარე, ისე შიდა პერანგიდან არაერთი თლილი ქვაა ამოვარდნილი. სამხრეთის მორღვეულ კედელთან გდია დიდი არქიტრავი (ბალავარი). მასზე ამოკვეთილ კალატოზის რელიეფურ გამოსახულებას დიდი გაჭირვებით თუ გაარკვევთ, ასომთავრული წარწერები კი ასე თუ ისე იკითხება: **1) „წმიდაო სვიმონ, შეიწყალე იოვანე სულითა“, 2) „წმიდაო სვიმონ, შეიწყალე ფოცხვერ გალატოზი და ჩანგა გალატოზი“.** როგორც წარწერებიდან ირკვევა, ფოცხვერ და ჩანგა კალატოზებს ვინმე იოანეს (შესაძლოა, მაღალი სამღვდელო პირის) დაკვეთით წმ. სვიმონ მესვეტის სახელზე აუგიათ ეს მშვენიერი საყდარი.

ნაისას ამ ტაძრის მოპირდაპირედ, ფარავნისწყლის გაღმა, ასევე კლდეზე, დგას IX-XIII საუკუნეების მონასტრის ორი ეკლესია, რომელიც ასპინძის რაიონის სოფელ თოკს ეკუთვნის. ნაისას და თოკის ეკლესიებს აქაურები **და-ძმის საყდრებს** უწოდებენ. ერთი ლეგენდის თანახმად, ძალიან დიდი ხნის წინათ გზაზე დამდგარ და-ძმას აქ დაღამებია და გაავდრებია. ადიდებულ მდინარეს დამხრჩვალი და-ძმა გაღმა-გამოღმა გაურიყავს და რაკი ორ ნაპირს შორის კავშირი დიდხანს ვერ აღდგენილა, ისინი მოპირდაპირე სოფლებს თავიანთი მიწისთვის მიუბარებიათ. მოგვიანებით ამ ადგილებში ეკლესიები აუგიათ.

ნაისიდან დასავლეთით, ქარაფის ერთ მონაკვეთს **ალჯუა** (ალის ჯუარი) ჰქვია. კლდეში რამდენიმე უძველესი გამოქვაბულია, რომელიც შემდგომში, თურქთა ბატონობის ჟამს, სახიზრად გამოუყენებია სოფელს. როგორც სავარაუდოა, აქ ვინმე ალის თუ ალექსანდრეს ჯვარიც აღუმართავს სალოცავად. გამოქვაბულთა ეს კომპლექსი კარგად ჩანს ფარავნისწყლის ხეობაში გამავალი ასპინძა-ახალქალაქის საავტომობილო გზიდან. როგორც ბატონი შალვა გვიხსნის, **სოფლის სახელწოდება ჩუნჩხა, თურმე, ამ სახიზრებიდან მომდინარეობს: მტრის ერთ-ერთი შემოსევისას გამოქვაბულებს ადამიანები ვერ დაუტევია და ერთმანეთზე აჩონჩხლილან.**

გამოქვაბულთა მაღლა ნასოფლარი **ცხეკნელა** (ცხიკნელა) გვეგულება, მაგრამ იქ ასვლა ძნელია, უმჯობესია, ზევიდან მივუდგეთ. ბატონ შალვას ვემშვიდობებით და ნაისიდან კვლავ ჩუნჩხაში ავდივართ. ცხეკნელა ორი მტკვრის შესართავთან ახლოს, ზედ ქარაფის პირზეა და არც თუ იოლი მისაგნებია. ჩუნჩხიდან დასავლეთით, დაახლოებით 3 კილომეტრში მანქანას ვაჩერებთ და ქარაფის ნაპირს ფეხით მივუყვებით. კარგა ხნის შემდეგ ერთ მოზრდილ ნასახლარს — ყორეთა კვალსა და სხვადასხვა ნაგებობათა საძირკვლის ნაშთებს მივადექით. ერთგან თავდაყირა დაგდებულ ტაძრის კაპიტელს ვხედავთ. მას ორ მწკრივად ამოკვეთილი რელიეფები აქვს. ტაძრის სხვა ქვები დიდი ხნის წინათ უნდა იყოს გაზიდული.

ვდგავარ და ვფიქრობ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ტოპონიმი ცხეკნელა. სავარაუდოდ, იგი ორი სიტყვის (ციხე და სკნელი) კომპოზიტია. რაკი სკნელი გარკვეული საზღვრული სივრცის აღმნიშვნელია (ქვესკნელი, ზესკნელი, უკანასკნელი), ცხეკნელა ციხით საზღვრულ ადგილს უნდა ნიშნავდეს და შესაძლოა, რომელიღაც დიდი დასახლების განაპირა ციხე-გოდოლზე მიგვანიშნებდეს, მაგრამ რომელი ციხე-ქალაქისას? ამ შეკითხვას ვეცდებით მომავალ წერილებში გავცეთ პასუხი.





ჩუნჩხა: ძველი სტელა და XIX საუკუნის აღდგენილი ტაძარი

ავტორის ფოტოები

## დღეს ბარაკ ობამას ინაუგურაცია გაიმართება



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელმაც ნოემბრის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე თავის მეორე ოთხწლიან ვადას იწყებს — იგი ქვეყნის კონსტიტუციაზე დაიფიცებს. ამასთან, თეთრ სახლში, ვაშინგტონის ცენტრში აღლუმისა და სხვადასხვა საზეიმო ღონისძიების თანხლებით, ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია გაიმართება.

როგორც პრეზიდენტის პრესმდივანი ჯეი კარნი იუწყება, ინაუგურაციის ცერემონია თეთრი სახლის ცისფერ ოთახში გაიმართება. ცერემონიალს დაესწრებიან პრეზიდენტის ოჯახის წევრები, უახლოესი თანაშემწეები და ჟურნალისტების მცირე ჯგუფი. ძირითადი კანონის მიხედვით, ობამამ უნდა წარმოთქვას შემდეგი სიტყვა: **„მე საზეიმოდ ვფიცავ და ვადასტურებ, რომ პატიოსნად შევასრულებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას და რამდენადაც იქნება ჩემ შესაძლებლობებში, დავიცავ და გავუფრთხილდები შეერთებული შტატების კონსტიტუციას“.** ხოლო სიტყვის დასასრულს, პრეზიდენტი დასძენს: „ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“.

ცნობილია, რომ უკანასკნელ დღეებში, პრეზიდენტი ობამა ინაუგურაციაზე წარმოსათქმელ სიტყვაზე ბევრს მუშაობდა, რომელიც კონგრესის წინაშე უნდა წარმოთქვას. ვარაუდობენ, რომ მასში საუბარი იქნება ადმინისტრაციის მომავალ ოთხწლიან ამოცანებზე, მორალურ პრინციპებსა და საკაცობრიო ღირებულებებზე, რომელიც სახელმწიფოს მართვისა და სოციალური განვითარებისთვის აუცილებელია.

## ხელვაჩაურში ჩაის პლანტაციას ხანძარი გაუჩნდა



ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ავგიაში, ჩაის პლანტაციის ერთ ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე ცეცხლი, დაახლოებით, 2 საათის განმავლობაში მძვინვარებდა. შემთხვევის ადგილზე 2 სახანძრო ბრიგადა მუშაობდა. მიუვალი ადგილის გამო, ხანძრის ჩაქრობა მეხანძრეებს გაუჭიანურდათ.

ადგილობრივების ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ხანძარი ბოლო წლებში ხშირად ჩნდება. შედეგად, დამხმარე ნაგებობა და პირუტყვის საკვები დაეწვა ამავე რაიონში სოფელ ზანაქიძეებში მცხოვრებ ზვიად ფუტკარაძის ოჯახსაც. ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ხელვაჩაურის რაიონული პოლიცია იძიებს.

## ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა მუშაობა განაახლა




ოთხდღიანი შეფერხების შემდეგ, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა მუშაობა განაახლა — 20 იანვარს კომპანია „აირზენამ“ ბათუმი-ოდესის რეისი შეასრულა.

ფრენების აღდგენას კომპანია „პეგასუსის“ წარმომადგენლებიც ვარაუდობენ, რომლის რეისები, ძლიერი ქარის გამო, 16 და 18 იანვარს გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ უამინდობის გამო, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ოთხი დღის განმავლობაში შეფერხებით მუშაობდა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# „ახალი ხმის“ სკანდალური პოლიტიკური კულუარები

თამარ ლომსაძე

**პროექტი „ახალი ხმა“ დასრულდა, გამარჯვებულიც გამოვლინდა და კრებაც მხიარული დარჩა, მაგრამ როგორც ირკვევა, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს უსამართლობის განცდა დაეუფლა და კულუარებზეც პოსტ ფაქტუმ ალაპარაკდა. „ვერსიაში“ დარეკა ადამიანმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, თუმცა პროექტის პროდიუსერ დავით იმედაშვილის მიმართ არაერთი ბრალდება გააჟღერა და აქცენტი მის პოლიტიკურ შეხედულებებზეც გააკეთა, ფილმ „აგვისტოს ხუთი დღის“ პროდიუსერიაო, დასასრულს კი განაცხადა: „ეს „ნაცმოძრაობის“ ბოლო შოუპროექტი იყო“... რამ გამოიწვია ინკოგნიტო რესპონდენტის გაღიზიანება და რას პასუხობს მის ბრალდებებს პროექტ „ახალი ხმის“ პროდიუსერი? — ამას ქვემოთ შეიტყობთ.**




რატომ არ დაესწრნენ „ვოისის“ ბანკეტს სტეფანე და მაია დარსმელიძე, რა ფარული კავშირი ჰქონდა „ვი თი ბი ბანკს“ „ლაივშოუსთან“ და რას პასუხობს „აგვისტოს 5 დღის“ პროდიუსერი ინკოგნიტო რესპოდენტის ბრალდებებს

„ძალიან ბევრი უსამართლობა მოხდა... განსაკუთრებით — ფინალში. პროექტის მიმდინარეობისას ჩართული იყო „ფეისბუქგამოკითხვა“, რომლისთვისაც დიდად ყურადღება არავის მიუქცევია. საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ ეს ხმები დაემატა სმს-ებს და გამარჯვებულიც ასე გამოვლინდა, რაც, ვფიქრობ, არასწორი იყო“, — **ასეთი გახლავთ პირველი ბრალდება, რომელზეც დათო იმედაშვილს მარტივი პასუხი აქვს:** „საერთოდ, პატარა ქვეყნებში სმს პრობლემას ქმნის, რადგან ერთმა კონკრეტულმა ჯგუფმა, შეიძლება, თანხის კონცენტრირება მოახდინოს კონკრეტული შემსრულებლის სასარგებლოდ, რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ხალხის არჩევანია. ფინანსური ზეწოლა როდესაც ხორციელდება კონკურსის მიმდინარეობაზე, ძალიან საფრთხილოა, შოუს ორგანიზატორებმა მაქსიმალურად დაიცვან სამართლიანობა. მე კი ეს მოვახერხე. ფინალამდე ნამდვილად გამოცხადდა, რომ სმს-ებს დაემატებოდა „ფეისბუქრეიტინგი“, რადგან ეს უფასოა და ერთ „იუზერს“ მხოლოდ ერთი ხმის მიცემის უფლება აქვს. ამან თამაშიდან გამოთიშა ის კონკურსანტები, რომელთა სასარგებლოდაც შეიძლება მობილიზებულიყო თანხა“.

**თუმცა, აქაც ჩნდება ერთი, „მაგრამ“, კონკრეტული ადამიანის მიერ რამდენიმე „იუზერის“ შექმნაც არ წარმოადგენს პრობლემას. ასე რომ, სრულ გამჭვირვალობას ვერც ასეთ შემთხვევაში ვაღწევთ და არც არსებული სიტუაციიდან გამოსვლის პოვნაა იოლი. იმედაშვილი კი, კონკურსის მაქსიმალურ სამართლიანობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ერთ დღეში ასობით „იუზერის“ შექმნა საკმაოდ რთულია, თუმცა გვეთანხმება, რომ საქართველოში რთულია, „ლაივშოუ“ ჩაატარო და მაქსიმალურად დაიცვა სამართლიანობა:** „პირდაპირ გეტყვით, ხშირად ვიყავი უკმაყოფილო, რადგან შეიძლება, სამართლიანობას გასცილებოდა ყველაფერი, რაზეც რეაგირება მოვახდინე. შემდეგისთვის, ვეცდები, გაკონტროლდეს და ერთი ნომრიდან მხოლოდ ერთი, ან ხუთი ესემესი გაიგზავნოს. აქ მეორე პრობლემაც ჩნდება, ადამიანს ათი და ასი ნომრის ყიდვა შეუძლია, მაგრამ ეს უკვე ტექნიკურად რთულდება და ერთდროულად, ასობით მესიჯს ვერ გამოგზავნის. ვფიქრობ, ეს სისტემა ბევრად გამჭვირვალეს გახდის კონკურსის მიმდინარეობას“.

**სხვა საკითხია, რამდენად უნდა ავლენდეს კონკურსის გამარჯვებულს სმს-ები. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ როგორც კი მსგავსი „ლაივშოუები“ ქართულ რეალობაში გაჩნდა, პროფესიონალ ავტორთა თუ შემსრულებელთა ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მესიჯებით გამარჯვებულის გამოვლენის ტენდენციას და მიზეზად, ქართველი მსმენელის დეგრადირებულ გემოვნებას ასახელებდა, რასაც იმედაშვილი არ ეთანხმება:** „კატეგორიულად არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას. როგორ, ხალხი ვერ ხვდება, რა არის კარგი და რა — ცუდი?! ნამდვილად არ ვიცი, რა ხდებოდა ადრე, მაგრამ ახლა, ქართული საზოგადოება აბსოლუტურად ადეკვატურ, სამართლიან და სწორ ემოციურ მხარდაჭერას უცხადებდა იმ ადამიანებს, ვინც კარგად გამოდიოდა სცენაზე, ნამდვილ საშემსრულებლო ხელოვნებას გვიჩვენებდა და არაფერი ეშლებოდა. ასე რომ, საზოგადოებას უდავოდ აქვს გემოვნება. როდესაც „ვოისის“ სცენაზე გამოდიან შემსრულებლები და კარგად ასრულებენ ჰიტებს, მსმენელი ამას ხვდება იმიტომ, რომ პულსზე უდევს ხელი და შესაბამისად რეაგირებს. ამის ნათელი მაგალითია პროექტის ფინალი, როცა ორ ადამიანს — სალომე ქათამაძესა და ნინი ცნობილაძეს ხალხმა ისეთი მხარდაჭერა აღმოუჩინა, ფინანსური ინტერვენციაც ველარ მოერეოდა. საზოგადოება აგრესიულად აფიქსირებდა თავის პოზიციას“.

**ინკოგნიტო რესპონდენტის შემდეგი ბრალდება ისაა, რომ იმედაშვილი ერთპიროვნულად იღებდა გადაწყვეტილებებს:** „ვერ გეტყვით, ჰქონდა თუ არა უფლება, მაგრამ ფაქტია, პირობები კონკურსის მიმდინარეობისას შეცვალა და ეს დიდი უსამართლობაა. ვერავინ დაუშვებდა მსგავს რამეს და თუ სამართლიანობა უნდოდათ, რატომ არ აამოქმედეს ეს სისტემა დროულად? მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ცნობილაძის სასიკეთოდ მუშაობდა — „ვი-თი-ბის“ თანამშრომელია და ბანკს ფულის ჩადება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. საერთოდ, გაუგებარია, თუკი გამარჯვებული „ჯეოსელის“ აბონენტებმა კი არა, „ფეისბუქის“ „ლაიქებმა“ გამოავლინა, რატომ გადასცა გამარჯვებულს პრიზი „ჯეოსელმა“? გამოდის, პროექტის პარტნიორი „ფეისბუქი“ ყოფილა და მოეწვიათ, მაშინ, ცუკერბერგი. კონკურსს აქვს თავისი წესები! ესაა შოუბიზნესი და არა, უბრალოდ, გაველი და ვიმღერე! აქ ახალგაზრდა მომღერლების ბედი წყდება და როცა შენ, თორმეტი საათით ადრე მიცვლი პირობებს, ეს, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობაა“...

**დათო იმედაშვილი კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება, სმს-ებს „ფიესბუქის“ ლაიქები დამატებოდა, მარტო არ მიუღია:** „სხვათა შორის, ჩემს ტელეფონზე ბევრი ზარი განხორციელდა, მათ შორის, მუქარის შემცველი, რომელზეც რეაგირება არ მომიხდენია, რადგან დარწმუნებული ვარ, სწორად მოვიქეცი. გამარჯვებული უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც აირჩევდა ხალხი და არა — კონკრეტული ჯგუფი. თვითნებური გადაწყვეტილება ნამდვილად არ მიმიღია. წინა „ლაივშოუს“ შედეგები გადავგზავნე ფორმატის მფლობელ „დალპასთან“ და მათგან მივიღე თანხმობა, ხმების დათვლა მომხდარიყო კომბინირებულად. არავის მოეწონებოდა, გაემარჯვა არა ხალხის რჩეულს, არამედ, მას, ვისაც მეტ ფულს ჩაურიცხავდნენ“.

**ინკოგნიტო რესპონდენტს კი მიაჩნია, რომ ნინი ცნობილაძე ფინალში მოხვედრას არ იმსახურებდა:** „დიახ, არ იმსახურებდა ფინალში გადასვლას... როდესაც ზის კომპეტენტური ჟიური და გამოდის გოგონა, რომელიც საოცარი ხმით მღერის, შენ, როგორც პროფესიონალმა, ხომ უნდა განსაზღვრო, ეს მისი ბუნებრივი ხმაა თუ დაყენებული? ცნობილაძის გარემოცვა ამბობს, რომ მას ძალიან ჩვეულებრივ ხმა აქვს და ეს მისი ტემბრი სულაც არ იყო. ასე არ შეიძლება, მულტფილმს ხომ არ ვახმოვანებთ?!“

**იმედაშვილი, რა თქმა უნდა, არც ამ მოსაზრებას იზიარებს და აცხადებს, რომ „ნინისნაირი ინდივიდუალური ხმის ტემბრი ბევრს არ აქვს მსოფლიოში. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საუკეთესოთა შორის და მას რომ გაემარჯვა, ამაში პრობლემას ნამდვილად ვერ ვხედავდი“. პრობლემა კი, როგორც ჩანს ისაა, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის ვილაცები მიუღებლები აღმოჩნდნენ.** „თქვენ მოისმინეთ, როგორ შეასრულა ქათამაძემ ჰიუსტონის სიმღერა? ეს საშინელება იყო და არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ურჩევდა, ასე აღარ მოქცეულიყო. ეს კლასიკაა და ჰიუსოტნის გაუპატიურების უფლება არავის აქვს“, — **აცხადებს ინკოგნიტო რესპონდენტი და „ვერსიას“ უმხელს, რომ დათო იმედაშვილმა კონკურსანტების დაჯილდოების გენერალური რეპეტიცია ფინალამდე სამი საათით ადრე მოაწყო, რასაც მისი ოპონენტი კატეგორიულად უარყოფს და ამ ბრალდებას სისულელეს უწოდებს ისევე, როგორც იმას, თითქოს, კონკურსანტების შავი პიარი მიდიოდა და მათი გამორჩევა პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა:** „ფორმატი არ ითვალისწინებს შოუს მიმდინარეობის დროს პოლიტიკური შეხედულებების დაფიქსირებას, აქედან გამომდინარე, შიგნით ეს არ იგრძნობოდა... გარეთ კი, ვის რა პოლიტიკური სიმპათია, ან ანტიპათია აქვს, მხოლოდ მისი პირადი საქმეა და ეს საერთოდ არ ახდენს გავლენას კონკურსის მიმდინარეობაზე. ასე რომ, ამ თემაზე არც გვიფიქრია და მით უმეტეს, არც აქცენტები გაგვიკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ახალი პროდუქტისთვის არასასურველ დროს დაიწყო. მაშინ ქვეყანაში სხვა დუღილი იყო და არსებობდა საფრთხე, მას სასურველი რეზონანსი არ მოჰყოლოდა. თუმცა ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. რაც შეეხება კონკურსანტების წინასწარ დაჯილდოებას, ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს — სისულელეა! როგორ უნდა მცოდნოდა, ვინ გავიდოდა პირველ და ვინ მეორე ადგილზე, როდესაც მონაცემები ყოველ წუთს იცვლებოდა. სხვათა შორის, ეს ბრალდება პირადად ჩემთანაც გაჟღერდა, აბსურდია და მეტი არაფერი“.

**ინკოგნიტო რესპონდენტი კი ირწმუნება, ყველაფერი ნამდვილად ასე მოხდა და ამას კონკურსანტებიც დაადასტურებენო. მით უმეტეს, რომ სტეფანე და მაია ბანკეტს არ დაესწრნენ და არც მათი გუნდის წევრები გამოცხადებულან „ახალი ხმის“ კორპორატიულ ფართიზეო. სხვათა შორის, დავით იმედაშვილი ამ ფაქტს არ უარყოფს და „ვერსიასთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ სტეფანე და მაია საღამოს ნამდვილად არ დასწრებიან, თუმცა კატეგორიულად გამორიცხავს, რომ ისინი რაღაცაზე განაწყენდნენ:**

„არ მესმის, რატომ უნდა განაწყენებულიყვნენ? თუ გული დასწყდათ, მათი გუნდის წევრმა რომ არ გაიმარჯვა, ეს სხვა საკითხია, თუმცა ამის გამო ჩემთან პრეტენზია არ გამოუთქვამთ, პირიქით, მწვრთნელები ძალიან კმაყოფილები არიან, რომ ასეთი წარმატებული პროექტი შედგა და მათ მონაწილეობა მიიღეს.

რაც შეეხება ბანკეტს, არ იყვნენ, მერე, რა?.. დაღლილები იყვნენ, წავიდნენ, დაისვენეს... კახუჩელას ფართი იყო და იქ წავიდნენ. პრეტენზია კი არ გამოუთქვამთ და ვერც გამოთქვამდნენ იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის, პროექტის დაწყებიდან მის დასრულებამდე ვცდილობდი, პრობლემები არავის შექმნოდა და არ ჰქონდა შეგრძნება, რომ ვილაც დაიჩაგრა. ამის გამო, ხშირად შეიძლება, უხეში საუბარიც მქონია არაერთ ადამიანთან, მათ შორის, მონაწილეებთან, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის კეთდებოდა, რომ მათი ნომრები ყოფილიყო ასეთი მაგარი. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გახდა „ახალი ხმა“, ფაქტი ისაა, რომ ჩვენ დავინახეთ ძალიან ბევრი მაგარი მომღერალი სცენაზე და მართალია, ამბობდნენ, ქართული ესტრადა მოიკოჭლებსო, „ახალმა ხმამ“ საპირისპირო დაამტკიცა — ეს ბავშვები „გლეჯენ“, დანარჩენი კი, როგორ გამიყენებენ ამ ნიჭს, მხოლოდ მათ მარიფათზეა დამოკიდებული. ფაქტია, საქართველოში ბევრი ადამიანი ძალიან კარგად მღერის და სამწუხაროა, რომ მათ რიცხვს მე არ მივეკუთვნები“.

**P.S. ასეთია დაპირისპირებული მხარეების კომენტარები, თუმცა როგორც უნდა დასრულდეს ნებისმიერი პროექტი, ყოველთვის დარჩება უკმაყოფილო ადამიანთა ნაწილი, ვინც უსამართლობაზე გაამახვილებს ყურადღებას. ხოლო იმას, თუ ვინაა ღირსი, იდგეს დიდ სცენაზე და ვინ — არა, დრო განსაზღვრავს.**




## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 5 | 8 | 2 | 6 | 7 | 4 | 3 |
| 8 | 4 | 6 | 3 | 1 | 7 | 5 | 2 | 9 |
| 7 | 3 | 2 | 9 | 5 | 4 | 6 | 1 | 8 |
| 5 | 6 | 3 | 1 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 7 | 3 | 5 | 2 | 6 | 4 |
| 4 | 2 | 7 | 6 | 9 | 8 | 3 | 5 | 1 |
| 3 | 8 | 1 | 2 | 6 | 9 | 4 | 7 | 5 |
| 2 | 7 | 4 | 5 | 8 | 3 | 1 | 9 | 6 |
| 6 | 5 | 9 | 4 | 7 | 1 | 8 | 3 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 | 6 | 2 | 3 |
| 2 | 3 | 1 | 7 | 6 | 5 | 9 | 8 | 4 |
| 9 | 8 | 6 | 2 | 4 | 3 | 5 | 1 | 7 |
| 1 | 9 | 8 | 6 | 3 | 4 | 2 | 7 | 5 |
| 6 | 7 | 5 | 9 | 2 | 1 | 3 | 4 | 8 |
| 4 | 2 | 3 | 5 | 8 | 7 | 1 | 6 | 9 |
| 3 | 1 | 2 | 4 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 8 | 6 | 7 | 3 | 5 | 2 | 4 | 9 | 1 |
| 5 | 4 | 9 | 8 | 1 | 6 | 7 | 3 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 9 | 7 | 8 | 5 | 6 | 4 | 2 |
| 8 | 7 | 2 | 1 | 6 | 4 | 9 | 5 | 3 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 6 | 5 | 8 | 9 | 7 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 3 | 4 | 1 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 | 9 |
| 2 | 9 | 7 | 6 | 4 | 1 | 8 | 3 | 5 |
| 7 | 2 | 6 | 5 | 1 | 8 | 3 | 9 | 4 |
| 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 | 6 |
| 4 | 1 | 3 | 2 | 9 | 6 | 5 | 7 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 9 | 2 | 1 | 5 | 7 | 3 | 8 |
| 1 | 3 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 | 4 |
| 2 | 5 | 7 | 4 | 3 | 8 | 1 | 9 | 6 |
| 9 | 4 | 6 | 1 | 8 | 3 | 2 | 7 | 5 |
| 3 | 8 | 2 | 5 | 9 | 7 | 6 | 4 | 1 |
| 7 | 1 | 5 | 6 | 4 | 2 | 9 | 8 | 3 |
| 8 | 2 | 4 | 7 | 5 | 1 | 3 | 6 | 9 |
| 6 | 9 | 1 | 3 | 2 | 4 | 8 | 5 | 7 |
| 5 | 7 | 3 | 8 | 6 | 9 | 4 | 1 | 2 |



# ჰოროსკოპი
## 21 იანვარი

***ვერძი*** — დღეს მეტად გამჭრიახი და საზრიანი ხართ, არ გსურთ საქმეში სხვის გაკვალულ გზას მიყვეთ. მზად იყავით, სასურველ მიზნამდე მისაღწევი გზა იოლი არ იქნება. დღის მეორე ნახევარი მეგობრებთან ან რომანტიკულ პაემანზე გაატარეთ. მოგწონთ, როცა ყურადღებას გაქცევენ, ზოგჯერ ამისთვის ორიგინალურ და ექსტრავაგანტულ საქციელსაც არ ერიდებით.

***კურო*** — ეს დღე საქმეში სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაძლოა, გაგიფუჭდეთ ურთიერთობა კოლეგებსა და უფროსობასთან, არ არის გამორიცხული, მტრებიც გაიჩინოთ. რთულ სიტუაციებში ნუ მოგერიდებათ, რჩევისთვის ძველ მეგობრებს მიაკითხოთ — ისინი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან. დღეს ინტუიცია მეტად გამახვილებული გაქვთ, თუმცა, შესაძლოა, ცუდი გავლენის ქვეშ მოექცეთ, ამიტომ მეტი სიფრთხილის გამოჩენა მოგიწევთ.

***ტყუპები*** — საკმაოდ რთული დღეა, ემოციური ფონი კი — არასტაბილური, რის გამოც, შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანთან კამათი მოგივიდეთ. ფინანსური მხარეც არ არის სტაბილური, დიდია დანაკარგების ალბათობა, არ ღირს სერიოზულად განიხილოთ წინადადებები, რაც სამსახურის შეცვლას ეხება.

***კირჩხიბი*** — კარგი დღეა ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის. არის შანსი, სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის პროფესიული გეგმები. შესანიშნავი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სასურველს აუცილებლად მიაღწევთ. არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად. ახალი ნაცნობობა შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს. ნუ მოგერიდებათ ინიციატივის გამოჩენისა და საკუთარი გრძნობების გამხელის.

***ლომი*** — დღე კარგად ჩაივლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს უყურადღებობითა და წინდაუხედაობით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, დიდი ფულის განკარგვა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება. სამაგიეროდ, შეგიძლიათ, თქვენს მიმართ სიმპათიით განაწყოთ ნებისმიერი ადამიანი. ბევრი ლომი დაფიქრდება, ხომ არ მისცეს დიდი ხნის რომანს ოფიციალური ფორმა. კარგი დღეა ასევე საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის გამოსაცვლელად.

***ქალწული*** — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება, შესაფერისი დღეა. გავლენიანი ადამიანები, ვისი დახმარების იმედიც გაქვთ, არ გიღალატებენ. შესაძლოა, ისეთი მაცდური წინადადებაც მიიღოთ, რომ საკუთარი ბედნიერების თავად არ გჯეროდეთ. შესაფერისი დროა, ინიციატივა გამოიჩინოთ პირად ურთიერთობებში — ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგებათ. ის ქალწულები, ვინც საკუთარ „მეორე ნახევარს“ ეძებენ, მზად უნდა იყვნენ საინტერესო ნაცნობობისთვის.

***სასწორი*** — დღე საშუალებას მოგცემთ, თქვენი დიპლომატიური უნარით გაიბრწყინოთ. მისი წყალობით შეძლებთ კონფლიქტების მოგვარებას, შეურიგდებით ადამიანს, ვისაც უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია, რაც ნებისმიერი საქმისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ. საღამო, პირიქით, უფრო მშვიდად შეგიძლიათ გაატაროთ — დაისვენოთ, სასიამოვნო ურთიერთობებს დაუთმოთ დრო.

***ღრიანკალი*** — ფინანსების მხრივ საკმაოდ წარმატებული დღეა. გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ საიმედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც დააბანდოთ. შეგიძლიათ გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები არ ხდება. შეეცადეთ, ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ გარკვეული დრო.

***მშვილდოსანი*** — დღეს შეგიძლიათ, საკმაოდ ნაყოფიერად იშრომოთ, თუკი გადაწყვეტთ, არავის დაიხმაროთ და ყველაფერი თავად მოაგვაროთ. სულაც არ არის აუცილებელი, რაიმე გრანდიოზულს მიადგეთ. სასიკეთოა ფინანსური სურათიც, შესაძლოა, ფულადი გზავნილი მიიღოთ. პირად ცხოვრებაში დიდია ალბათობა, ისეთ ადამიანს შეხვდეთ, ვის მიმართაც სიმპათია სწრაფად გადაიზრდება სერიოზულ გრძნობაში.

***თხის რქა*** — თუ მთელი დღის განმავლობაში ენერგიული და საქმიანი იქნებით, კარგ შედეგებს მიაღწევთ, მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა მოეშვათ, თუ არ გინდათ, თქვენი შრომის ნაყოფი სხვას დარჩეს. დღე დაკავშირებულია საინტერესო საუბრებთან, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასთან. მთლიანობაში, მოვლენების განვითარება თქვენს გეგმებსა და მოლოდინს შეესაბამება.

***მერწყული*** — დღეს მეტი გონივრულობა და აკურატულობა გამოავლინეთ. არის შანსი, დაგროვილი საქმეები მოაწესრიგოთ. შეეცადეთ, მომთხოვნი იყოთ საკუთარი თავის მიმართ, სხვებისადმი კი — შემწყნარებელი. ეს კარგ ურთიერთობებს შეგინარჩუნებთ ყველასთან. არ არის სასურველი, რთული და მნიშვნელოვანი საკითხები განიხილოთ ახლობლებთან, რადგან ამას შესაძლოა, კამათი მოჰყვეს. მათ კრიტიკულ შენიშვნებს კი ძალიან განიცდით.

***თევზები*** — თევზებისთვის შედარებით, რთული საქმეებით დაკავების დროა. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. პირად ურთიერთობებში კი გარკვეული პრობლემები იჩენს თავს. იმდენად ენერგიული ხართ, რომ ეს ღლის გარშემომყოფებს. ნუ შეეცდებით, ახლობლებს თქვენი ცხოვრების რიტმი მოახვიოთ თავს და ნუ განაწყენდებით, თუ თქვენს შეთავაზებებს ენთუზიაზმით არ აიტაცებენ.

# ოპერა სახლში გამოძახებით



სტოკჰოლმის ოპერის მომღერლები საკუთარი ხმების ძალას „კერძო გამოძახებისას“ იყენებენ, რათა ადამიანებს განწყობა აუმაღლონ. „საოპერო დახმარებად“ წოდებული ეს იდეა ბრიტანელ მხატვარს, ჯოშუა საფეირას დაებადა. მასთან ერთად ოთხი მომღერალი მუშაობს: ორი სოპრანო, ერთი მეცო და ერთიც ბარიტონი. ისინი XVIII-XIX საუკუნეების კლასიკურ ნაწარმოებებს ასრულებენ. გარდა მუსიკისა, მომღერლები ვიზიტისთვის ფსიქოლოგიურადაც უნდა მოემზადონ — როგორ დაიჭირონ თავი, როგორ მოიქცნენ, მოუსმინონ, გარკვეული კითხვები დასვან და ზოგ კითხვას კი თავი აარიდონ. როგორ ჩანს, ნორვეგიაში ოპერის ფანატების ოცნება ასრულდა, თუმცა მხოლოდ კლასიკური მუსიკისადმი სიყვარული არ არის საკმარისი, მომღერლები სახლში რომ გამოიძახო და სპეციალურად დამუშავებული არია მოისმინო. ნებისმიერმა, ვისაც ასეთი მომსახურების მიღების სურვილი აქვს, შეკვეთისას უნდა განმარტოს, მუსიკით რა პრობლემის გადაჭრა სურს.

# პარფიუმერია საკვებად ვარგისი იქნება






სავაჭრო მარკამ **Lucy McRae** სრულიად უნიკალური პარფიუმი დააანონსა. გამოგონება, რომელსაც **Swallowable Parfum** (ანუ საკვებად ვარგისი) უწოდეს, სავსებით შეესაბამება სახელწოდებას. სიახლე, რომელიც ბიოლოგ შერეფ მენსისთან ერთად შეიქმნა, არა გარეგანი, არამედ შინაგანი „მოხმარებისთვის“ არის განკუთვნილი. ამ უნიკალური პარფიუმის პრინციპი მეტად ორიგინალურია. დილით, სამსახურში წასვლამდე, ადამიანი ყლაპავს კაფსულას, რომელიც უნიკალურ ნაერთებს შეიცავს. ნივთიერებათა ცვლის პროცესში, სისხლში გამომუშავდება არომატული ნივთიერებები, რაც ნელ-ნელა, კანის ფორებიდან გამოდის. ამის წყალობით, აღარ იქნება საჭირო ყოველდღიურად სუნამოს მიპკურება. ამასთან, ახალი პარფიუმის ავტორების მტკიცებით, მის მომხმარებლებს სრულიად განსხვავებული სურნელი ექნებათ, რადგან კაფსულას შემადგენლობა ადამიანის სეკრეციებს შეერევა. ამგვარად, **Swallowable Parfum**-ის გადაყლაპვით ადამიანი ერთადერთ, უნიკალურ არომატს მიიღებს, რასაც ანალოგი არ მოეძებნება. სიახლის კიდევ ერთი უნიკალური თვისება სუნის ინტენსივობას უკავშირდება. რადგან ის ოფლთან ერთად გამოიყოფა, დასვენებულ მდგომარეობაში ადამიანი ნაკლებად შესამჩნევ არომატს აფრქვევს, სხეულის აქტიური მოძრაობისას კი, ტემპერატურის მატებასა და პულსის აჩქარებასთან ერთად, სურნელი ძლიერდება. დღეისთვის „საკვებად ვარგის“ პარფიუმზე ლაბორატორიული მუშაობა დასრულებულია და როგორც სავაჭრო ფირმა Lucy McRae აცხადებს, გასაყიდად ბაზარზე ის სულ მალე გამოჩნდება.

# ამერიკელები უფიქრო ბიბლიოთეკას ხსნიან



ცოტა არ იყოს, ალოგიკურად ჟღერს, მაგრამ სწორედ ასეთი ბიბლიოთეკა გაიხსნება ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში. „ბიბლიოთეკი“ მსოფლიოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა იქნება, სადაც ჩვეულებრივი წიგნები მთლიანად ელექტრონულით შეიცვლება. პროექტის ინიციატორი ადგილობრივი მოსამართლე ნელსონ ვულფია. მისი თქმით, ელექტრონული სამკითხველოს შექმნის იდეა Apple-ის დამფუძნებლის, სტივ ჯობსის ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ გაუჩნდა. წიგნების დიდი მოყვარული ვარ და პირველი გამოცემების ათასამდე კოლექცია მაქვს. წიგნები ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, მაგრამ მსოფლიო იცვლება. ვფიქრობ, ეს პროექტი ეფექტური მეთოდი აღმოჩნდება, წიგნების კითხვას უფრო მეტი ადამიანი რომ მიეჩვიოს, — აცხადებს მოსამართლე. ელექტრონული ბიბლიოთეკა უფასო იქნება. ერთადერთი, რაშიც შეიძლება მკითხველმა ფული გადაიხადოს, ეს მასალის ამობეჭდვაა. თავდაპირველად, 10 ათასამდე წიგნი იქნება წარმოდგენილი, თუმცა კოლექცია თანდათან შეივსება.

# ტარაკნიან შოკოლადს ვჭამთ?



ადამიანების უმრავლესობას, ვისაც შოკოლადზე ალერგია აქვს, ავადმყოფური რეაქცია არ აღენიშნებათ კაკაოზე ან შოკოლადის სხვა ინგრედიენტებზე. უმეტეს შემთხვევაში, გაღიზიანებას იწვევს ჩვეულებრივი ტარაკნების უმცირესი ნაწილები, რაც პროდუქტის ყოველ პარტიაში არსებობს. **ABC News**-ის მონაცემებით, საშუალო შოკოლადის ფილა ამ მწერის რვა ნაწილს მაინც შეიცავს. ყველა პროდუქტი, რომელშიც 100-გრამიან ფილაზე ტარაკნების 60-ზე ნაკლები ნაწილაკი მოდის, მოხმარებისთვის უსაფრთხოდ მიიჩნევა. ალერგოლოგები დარწმუნებით ამბობენ, რომ პროდუქტების უმრავლესობა შეიცავს ბუნებრივ დამაბინძურებლებს. შოკოლადის გარდა, ტარაკნების ნაწილაკები ხვდება არაქისის კარაქში, მაკარონში, ყველში, პოპკორნსა და ხორბალში. ასეთი დამაბინძურებლების ჭარბი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს იმ ადამიანებზე, ვისაც ასთმა აწუხებს, ისინი ასევე იწვევს შაკიკს, ციებას, ქავილს ან გამონაყარს სხეულზე. ალერგენი ტარაკნებისა და მათი ექსკრემენტებისგან დაბინძურება გარდაუვალია, რადგან ფერმებში, სადაც კაკაო მოჰყავთ და ამუშავებენ, ისინი ჭარბად არიან. საერთოდაც, მწერების გარეშე საკვები წარმოუდგენელია, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი რაოდენობით პესტიციდების გამოყენებაა საჭირო, რაც ბევრად უარესია, ვიდრე რამდენიმე მწერის დაგემოვნება.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | 1 | 6 | | | |
| 4 | | 9 | 5 | | 8 | | | 6 |
| 7 | | 5 | 4 | | | | | |
| 6 | | | 2 | | | | | 3 |
| | 4 | | | | | | 9 | |
| 2 | | | | | 4 | | | 5 |
| | | | | | 7 | 4 | | 2 |
| 9 | | | 6 | | 3 | 5 | | 1 |
| | | | 8 | 4 | | 3 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | 6 | | | | 4 | |
| | | 8 | | | | | | |
| | 1 | | | 5 | 3 | 2 | | 7 |
| 3 | | | 1 | | 6 | 7 | | 4 |
| | | | | | | | | |
| 8 | | 7 | 2 | | 5 | | | 6 |
| 6 | | 5 | 7 | 9 | | | 8 | |
| | | | | | | 9 | | |
| | 7 | | | | 8 | | | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | | | 8 | | | | |
| | | | 7 | | 9 | 6 | | 3 |
| | | | | | | | 9 | 8 |
| | | | 8 | | | | 6 | |
| 8 | | | 4 | | 3 | | | 9 |
| | 7 | | | | 2 | | | |
| 4 | 3 | | | | | | | |
| 9 | | 1 | 6 | | 7 | | | |
| | | | | 2 | | | 1 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | 9 | 6 | 1 | |
| | | | | 1 | | | | 8 |
| | 9 | | 6 | 5 | | 4 | | |
| | | | | | | 9 | | 3 |
| | 2 | | 4 | | 1 | | 5 | |
| 6 | | 5 | | | | | | |
| | | 7 | | 3 | 6 | | 2 | |
| 2 | | | | 4 | | | | |
| | 1 | 4 | 9 | | 5 | | | |



## გასხდომა კანფეტის ჭამითაც შეიძლება

უკრაინაში, ლუგანსკის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პედაგოგმა სამი სახეობის შოკოლადის კანფეტი მოიფიქრა, რომელიც ორგანიზმს ზედმეტი კალორიების დაწვაში ეხმარება და თან ადამიანი არც ტკბილეულზე ამბობს უარს. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს სამიდან ერთ-ერთი — „იმპულსი“, „დრაივი“ და „სპორტის ენერგია“ სპორტის სახეობის შესაბამისად, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს. ახალი კანფეტები უკვე გამოსცდეს უკრაინელ სპორტსმენებზე. ხელბურთის ოლიმპიური ნაკრების წარმომადგენელთა განცხადებით, მათი სპორტული მაჩვენებელი უკეთესობისკენ შეიცვალა. საქმიანმა პედაგოგმა უკვე მოასწრო ამ შოკოლადის კანფეტების გასაყიდად გამოშვება იმის მიუხედავად, რომ გამოგონებას ჯერ მეცნიერებისგან მოწონება არ დაუმსახურებია. ამ გასახდომი შოკოლადის მცირე კოლოფი 10 დოლარზე მეტი ღირს. თუ გამოგონება სწავლულების მაღალ შეფასებას დაიმსახურებს, დიეტოლოგიის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ლუგანსკელ პედაგოგს ნობელის პრემია ელოდება. ტკბილეულის შემადგენლობას გამომგონებელი საიდუმლოდ ინახავს, თუმცა უდავოა, რომ ინგრედიენტებს შორის არის გარგრის ჩირი, ნიგოზი და ქიშმიში. ექიმები და დიეტოლოგიის სპეციალისტები ეჭვით უყურებენ ახალ კანფეტს და ამბობენ, რომ წარმოუდგენელია ტკბილეულმა კალორიები დაწვას.

## ყველაზე სასარგებლო სასმელი გამოავლინეს



ლონდონის სამეფო ბოტანიკური ბაღის მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ყველაზე სასარგებლო, უნივერსალური სასმელი ყავის ხის ფოთლებისგან დამზადებული ჩაია. ეგრეთ წოდებული, ყავიანი ჩაი გემოთი არც ისე მწარეა, როგორც ჩვეულებრივი ჩაი და არც ისეთი ძლიერი — როგორც ყავა. ის უამრავ კომპონენტს შეიცავს, რომელიც დიაბეტისა და გულის დაავადებების განვითარების რისკს ამცირებს. დღეს მსოფლიოში 90-ზე მეტი სახეობის ყავაა აღმოჩენილი, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, ყველა მათგანისგან თუ შეიძლება ყავიანი ჩაის დამზადება. რაც შეეხება მარცვლებს, ინტერესი მხოლოდ ორი — არაბულისა და კონოლეზიურის სახეობის მიმართაა.

## მამის გაცოცხლება დააპირა

უჩვეულო ინციდენტი მოხდა აშშ-ს ქალაქ დეტროიტში. პოლიციელებმა 93 წლის მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს საყინულეში, იმ სახლის სარდაფში, რომელიც მის შვილს ეკუთვნის. სამართალდამცველებმა მიცვალებულს მას შემდეგ მიაგნეს, რაც დაადგინეს, რომ ქალაქის სასაფლაოდან მამაკაცის ნეშტი იყო მოპარული. კლარენს ბრაიტის გვამი საკუთარმა შვილმა გაიტაცა იმ მიზნით, რომ ლოცვების წაკითხვით მას მკვდრეთით აღადგენდა. მამაკაცის დაკრძალვა რამდენიმე დღის წინ შედგა, მაგრამ მისი კუბო ჯერ კიდევ სასაფლაოს მავზოლეუმში იდგა, რადგან მიწა დასამარხად ძალიან სველი იყო. ამ დღეს კლარენსის შვილი ყველას გასაგონად ამბობდა, — დიდი ადამიანი ვარ, აი, ნახავთ, რას გავაკეთებ, ყველანი გაოგნდებითო. ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ის იესო  ქრისტეს როლის მორგებას აპირებდა.



## მოტეხილობას წებოთი შველიან



შვედეთის სამეფო ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები მზად არიან, ქირურგიაში რევოლუცია მოახდინონ. მათ უნიკალური წებო შექმნეს, რომელიც ყველაზე რთულ მოტეხილობასაც უმკურნალებს, ისეთს, როგორიცაა ხერხემლისა და თავის ქალის ტრავმა, თანაც — მეტალის ფირფიტის გარეშე, ადგილობრივი ნარკოზის გამოყენებით. წებოს მოტეხილობის ადგილზე უსვამენ და ჰალოგენური ლამპის მეშვეობით ამკვრივებენ. როგორც კი წებო ტოქსიკურობაზე შემოწმებას გაივლის, ტესტირებას ცხოველებზე დაიწყებენ. შვედი მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, ყველაფერი კარგად დასრულდება და  ოპერაციების გაკეთება ამ უნიკალური წებოს მეშვეობით, წელსვე იქნება შესაძლებელი.

## ადამიანებს ასუქებს... რეკლამა

აშშ-ს იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მთელი რიგი ექსპერიმენტები ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ მოქმედებს ადამიანებზე ტელევიზიით ნანახი საჭმლის რეკლამა. ერთ-ერთი ექსპერიმენტისას აღმოჩნდა, რომ 7-11 წლის ბავშვები, რომელთაც ნახევარსაათიან მულტფილმს აჩვენებდნენ საჭმლის რეკლამის ჩართვებით, ტელევიზორის წინ 45%-ით მეტ საკვებს ჭამდნენ, ვიდრე ის პატარები, ვისაც ანიმაციურ ფილმებს რეკლამის გარეშე აყურებინებდნენ. საჭმლის მომატებული რაოდენობით მოხმარებამ კი, შესაძლოა, წონის მატება განაპირობოს, საშუალოდ, 10-15 კილოგრამით. სხვა ექსპერიმენტში, რომელშიც უფროსები მონაწილეობდნენ, უჩვენებდნენ ჯანმრთელობისთვის საზიანო საკვების რეკლამას. აქ მონაწილეები ტელევიზორის წინ უფრო მეტს ჭამდნენ, ვიდრე ის ჯგუფი, ვისაც ჯანსაღი და სასარგებლო საკვების რეკლამას აწვდიდნენ. ამგვარად, ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ პირდაპირი და თანაც საკმაოდ ძლიერი კავშირი არსებობს საკვების სატელევიზიო რეკლამასა და ადამიანების მიერ მოხმარებული კალორიების რაოდენობას შორის. რეკლამის ჩვენება საკვების ავტომატურად მიღებას პროვოცირებს იმის მიუხედავად, მშიერია ადამიანი თუ არა. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმსუქნის ეპიდემიაზე. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ბავშვებმა ტელევიზიით საკვების რაც შეიძლება ნაკლები რეკლამა უნდა ნახონ.





# ჰოროსკოპი
## 22 იანვარი

***ვერძი*** — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობებს გპირდებათ. საბედნიეროდ, საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ, ამით რომ ისარგებლოთ. შესაძლოა, თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენონ ან საქმიანი ურთიერთობა აღადგინოთ დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.

***კურო*** — კუროებისთვის დღე საკმაოდ წარმატებულია. განსაკუთრებით ძლიერი პოზიტიური ტენდენციების გავლენა პირად ცხოვრებაში იქნება. თქვენ კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. შესაფერისი დღეა გრძნობების გამოსამჟღავნებლადაც. შესაძლოა, ცოტა დაეცეს საქმიანი აქტიურობა, რადგან სამუშაო მოსაწყენია, მაგრამ საკმაო პასუხისმგებლობის გრძნობაც გაქვთ, საქმე რომ არ მიატოვოთ.

***ტყუპები*** — დღე თავიდან წარუმატებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია იცვლება და საღამოსკენ უკვე ცხადი გახდება, რომ ფორტუნამ არ მიგატოვათ. მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად შეგიძლიათ, დახმარებისთვის უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ. მშობლები და სხვა ნათესავები ჩვეულებრივზე მეტად ერევიან თქვენს საქმეში. კარგი დღეა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისთვის. შეგიძლიათ სამსახურიც შეიცვალოთ, მაგრამ ამისთვის ახალ სფეროს ნუ აირჩევთ.

***კირჩხიბი*** — რთული დღეა. შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს, მოგიწევთ ხარჯების შემცირება, სულ ცარიელზე რომ არ დარჩეთ, თუმცა მალე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. ამ დღეს დადებული გარიგებები შემოსავალს მოგიტანთ. კარგი დღეა ოჯახური საქმეებისთვის. შესაძლოა, ახალი რომანტიკული ურთიერთობის წამოწყებაც.

***ლომი*** — დღე პროფესიულ გამარჯვებებს გპირდებათ, გაქვთ შანსი, კარიერულ კიბეზე მაღლა ახვიდეთ. თქვენი ლიდერის თვისებები აშკარად გამოვლინდება. კარგი დღეა საკუთარ ბიზნესპროექტებზე სამუშაოდ. სასურველია, მაღალი საზოგადოების წვეულებას დაესწროთ — ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა ძალიან გაგახარებთ. დღეს შეგიძლიათ კარგი ტანსაცმელი ან სამკაული შეიძინოთ, ავტომობილის ყიდვისგან კი თავი შეიკავეთ.

***ქალწული*** — დღეს თქვენ შესაშურ გამბედაობას ავლენთ. მისი წყალობით მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

***სასწორი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური საქმეებისაა და პრობლემების მოსაგვარებლად. სიამოვნებით დაკავდებით სახლის მოწყობით — ავეჯს, საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ინტერიერის საგნებს შეიძენთ. კარგი დღეა სტუმრების მისაღებადაც. მზად ხართ, დაეხმაროთ იმათ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, შეგიძლიათ, საღამოს კარგად გაერთოთ, დაღლილობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ.

***ღრიანკალი*** — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ. მას ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევის გაღება მოგიწევთ. სიხარულს ვერც კი იგრძნობთ, ისე დაიქანცებით. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ. ორიგინალური იდეებიც გაგიტაცებთ და შესაძლოა, ამან ყოველდღიური მოვალეობები დაგავიწყოთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი. ყველა საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით. კარგად ჩაივლის მოლაპარაკებები, იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. ადვილად იძენთ ახალ ნაცნობებს. შესაძლოა მცირე ფინანსური დანაკარგები, წარუმატებელი შენაძენი ან საქმიანი გარიგება.

***თხის რქა*** — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის, რაც თვითდისციპლინას მოითხოვს. საკმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რომ დასახული ამოცანა გადაჭრათ. ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ცდილობენ ხარჯების შემცირებას, უარს ამბობენ დაგეგმილ საყიდლებზე, თუმცა ამის აუცილებლობა სულაც არ არის. შესაძლოა სერიოზული უთანხმოებები ახლობლებთან. თავი შეიკავეთ საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებისგან.

***მერწყული*** — მერწყულებს კარგი დღე აქვთ ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ფულს სწორად და აზრიანად ხარჯავთ, შესაძლოა, ძვირფასი საჩუქარიც მიიღოთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სიხისტეს, რამაც შესაძლოა, პატარა კონფლიქტიც კი გამოიწვიოს. სურვილი გაგიჩნდებათ, პირად ცხოვრებაში რაღაც შეცვალოთ. ახლობლები მზად არიან, ყველა წამოწყებაში მხარი დაგიჭირონ.

***თევზები*** — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ნუ შეგეშინდებათ სიახლის შეტანის. ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ინტუიცია. გარშემომყოფები ხშირად რჩევისთვის გაკითხავენ. დღეს შეგიძლიათ რამე უჩვეულო, ორიგინალური ნივთი შეიძინოთ ან უკვე არსებული გადააკეთოთ, განაახლოთ. გულთან ახლოს მიგაქვთ ყველაფერი, რაც თქვენს ირგვლივ ხდება და ამის გამო დღეს განცდები არ მოგაკლდებათ.

## ამინდის პროგნოზი

| | ორშაბათი | სამშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +11 | +13 |
| ქუთაისი | +12 | +19 |
| ბათუმი | +15 | +19 |
| სოხუმი | +11 | +18 |
| თელავი | +8 | +11 |
| ზუგდიდი | -2 | +2 |
| ბაკურიანი | -2 | +2 |
| მესტია | +3 | +10 |


## შენდობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**გთხოვთ დარეკოთ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



იკითხეთ თქვენი www.versia.ge

# ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699



მისამართი: ქ.თბილისი,
სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com